საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

# არილი

ფასი 2 ლარი



2020 / მაისი
2 (288)

## ივა ფეზუაშვილი
## სტერილური, ნული!

1134
2020

# სარჩევი


კათედრა 1 პეტერ ჰანდკეს სიტყვა, წარმოთქმული ლიტერატურაში ნობელის პრემიის მიღებისას

*გერმანულიდან თარგმნა კატია ვოლტერსმა*

პროზა 6 ივა ფეზუაშვილი | სტერილური, ნული!

დრამატურგია 24 გუგა მგელაძე | მედეა

პოეზია 30 გიორგი კეკელიძე

34 ნათია გიორგაძე

თარგმანი 37 სქოლასტიკ მუკასონგა | აქა ამბავი ძროხათა ქებისა

*ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ*

ესე 45 მარიო ვარგას ლიოსა | კირჩხიბის ტროპიკი

*ინგლისურიდან თარგმნა დათა ხარაიშვილმა*


გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი


# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"



რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.


არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა

*სულხან-საბა*

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი

*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი

*ხალხური*


ელექტრონული ფოსტა: [illegible]
ვებგვერდი: [illegible]

გამოდის 1993 წლიდან



© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია



ჟურნალი გამოდის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

მწერალთა სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პეტერ ჰანდკეს სიტყვა, წარმოთქმული ლიტერატურაში ნობელის პრემიის მიღებისას

*გერმანულიდან თარგმნა კატია ვოლტერსმა*



ეროვნული ბიბლიოთეკა

ითამაშე. ნუ იქნები მთავარი გმირი. დაპირისპირებას ნუ გაექცევი, მაგრამ ნურც ნურაფერს განიზრახავ. ნუ იქნები ანგარებიანი. იყავი სუსტიც და ძლიერიც. შეერკინე, ოღონდ არად ჩააგდო გამარჯვება. ნუ დააკვირდები, ნუ გადაამოწმებ, უბრალოდ, იფხიზლე და დაელოდე ნიშანს. გაგაჩნდეს შეძრწუნების უნარი. ნუ დამალავ თვალებს, სხვებს უხმე მათ სიღრმეში ჩასახედად, იზრუნე სამყოფ სივრცეზე და ყველას თავისი სურათის ფონზე დააკვირდი. გადაწყვეტილებები აღფრთოვანებულმა მიიღე. დამარცხდი მშვიდად. ნუ დაიმანებ დროს და შემოვლითი გზით იარე. არ გამოგეპაროს ხეებისა და წყლის ჩურჩული. იქ ჩამოხდი, სადაც მოგესურვება და შენთვის მზე გაიმეტე. დაივიწყე ნათესავები, გაამხნევე უცნობები, წვრილმანისთვისაც ნუ დაიზარებ დახრას. განმარტოვდი უკაცრიელ ადგილებში, აბუჩად აიგდე ბედისწერის ლახვარი, დასცინე შუღლს. ნუ დაკარგავ ნამდვილ სახეს, სანამ სიმართლე შენს მხარესაა და ფოთლების შრიალი საამოდ ჩაგესმის. იარე სოფლების გავლით".

აი, ასეთი დასაწყისი ჰქონდა გრძელ და დრამატულ ლექსს - იარე სოფლების გავლით", რომელიც დაახლოებით ორმოცი წლის წინ ერთმა ქალმა უთხრა ერთ კაცს.

ბავშვობაში, თავისუფალი დრო როცა ჰქონდა, დედაჩემი ერთი სოფლის მცხოვრებლებზე მიყვებოდა ხოლმე. სოფელს სლოვენიურად *Stara Vas* ერქვა, გერმანულად *Altes Dorf* - ძველსოფელი; ეს იყო მოკლე, პატარა ამბები, რომელიც მანამდე არავისგან გამეგონა. კარგად არ მახსოვს, შესაძლოა, იმ დროს ჩემი და-ძმაც იქ იყო, თუმცა დღემდე მგონია, რომ დედაჩემის ერთადერთი მსმენელი მხოლოდ მე ვიყავი ყოველთვის.

მაშინდელი ამბებიდან ერთ-ერთი ასეთი შინაარსის იყო: ერთმა ფერმერმა, რომელსაც მთაში ჰქონდა ფერმა, ერთი იდიოტი (ანუ, როგორც მაშინ ეძახდნენ, ჭკუასუსტი) მოსამსახურე ქალი გააუპატიურა. ქალი დაფეხმძიმდა და გააჩინა ბავშვი, რომლის დედობაც და აღზრდაც ფერმერის ცოლმა აიღო თავის თავზე, მის ნამდვილ დედას კი, მოსამსახურე ქალს, ბავშვთან ურთიერთობა საერთოდ აუკრძალეს. ბავშვსაც თავისი გამზრდელი მიაჩნდა ნამდვილ დედად. ერთხელაც ეს პატარა არსება, რომელმაც უკვე ლაპარაკი იცოდა, ფერმის ბოლოში თამაშისას მავთულის ღობეში გაიხლართა. რაც უფრო ბეჯითად ცდილობდა თავის დახსნას, მით უფრო მეტად იბურდებოდა მავთულებში. ბოლოს, რომ ვერაფერი გააწყო, სასოწარკვეთილი ყვირილი მორთო. მანამდე ყვიროდა, სანამ, როგორც თავად მთხრობელი იტყოდა სვინსკა პლანინასა და კარავანკეს შორის მდებარე დასახლებაში გავრცელებულ კილოკავზე, die Treapn-მა, ანუ იდიოტმა თუ ჭკუასუსტმა" არ გაიგონა მისი ხმა და საშველად არ გამოიქცა. ის იყო, ქალმა ბავშვი გამოიხსნა და გამზრდელიც მოვიდა, რომელმაც მოსამსახურეს უბრძანა, თავის საქმეს დაბრუნებოდა ბოსელსა თუ ყანაში. და სწორედ ამ დროს, ბავშვი მას მიუბრუნდა და ეკითხება: დედა, რატომ აქვს ამ ჭკუასუსტს ასეთი რბილი ხელები?"

მოგვიანებით ეს ამბავი, წიგნში მოკლე ხერილი ხანგრძლივი გამოთხოვებისათვის", გადაიქცა ბალადად, რომელსაც ფილადელფიაში (პენსილვანია, აშშ) ღამის ბარში მღეროდა ერთი მომღერალი და ყოველ სტროფს ასეთი შეძახილით ამთავრებდა: და ეს ბავშვი მე ვიყავი! და ეს ბავშვი მე ვიყავი!"

დედაჩემი თავის ამბებში ძირითადად ჩვენს ნათესავებზე ან თემზე ჰყვებოდა, სადაც მთავარი გმირი აუცილებლად მეორე მსოფლიო ომის დროა ბრძოლის ველზე დაცემული" დედას რომელიმე ძმა იყო. შევეცდები, მათგან ორი ასევე მოკლე, მაგრამ ჩემი სამწერლო ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი ეპიზოდის შესახებ გიამბოთ: პირველი დედაჩემის უმცროს ძმაზეა, ოჯახის ნაბოლარა შვილზე, და, ასე ვთქვათ, ომებს შორის პერიოდში, 1936 წელს მოხდა: შუაგული შემოდგომის ღამეა. ალიონი ჯერ შორსაა და ჰანსი, ანუ, სლოვენიური სოფლის ენაზე რომ ვთქვათ, იანეცი ან ჰანცეი, ე.წ. მარიანუმის" მოწაფე, რომელიც დასავლეთით, სახლიდან დაახლოებით ორმოცი კილომეტრის სავალზე, კარინტიის დედაქალაქ კლაგენფურტში ერთი თვის წინ წავიდა და სასულიერო სემინარიის მომავალ სტუდენტთა ინტერნატში ცხოვრობდა, უკან ბრუნდება. მშობლიური კარ-მიდამო შუაღამის სიჩუმეშია გაყურსული, მამლის პირველ ყივილამდე საკმაო დრო რჩება, და ამ დროს, მოულოდნელად, ეზოში ცოცხის ფხაჭუნი ისმის. იმ წკვარამში ვიღაცა თავდაუზოგავად, მთელი მონდომებით გვის ეზოს, არ ჩერდება. ეს სწორედ ის ნაბოლარა შვილია, ჯერაც ბავშვი, რომელიც ქალაქიდან უკან, სოფელში მონატრებამ - domotozje (სლოვენიურად, არტიკლის გარეშე) წამოიყვანა. ბარემ ისიც აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიჭი ბეჯითი, სწავლას მოწყურებული მოწაფე იყო. ის შელამებულზე გადმომხტარა ინტერნატის პირველი სართულის ფანჯრიდან და შინისკენ მიმავალ შარაგზას დასდგომია. სახლში მისულს კი, რომლის არცერთი კარი არასოდეს არ ჩარაზულა, შიგნით შესვლის ნაცვლად ცოცხისთვის წამოუვლია ხელი და ეზოს დაგვა დაუწყია. იმ დღეს, როგორც დედაჩემი ჰყვებოდა, შაბათი ყოფილა, კვირა დღის წინა დღე, შაბათობით კი ეზო უნდა დაგვილიყო - ასეთი იყო წესი", და მისი ძმაც იქამდე გვიდა, სანამ თავზე არ დაათენდა, და სანამ ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა, თუ სწორად მახსოვს, ეს რომელიმე მშობელი კი არა, მისი და უნდა ყოფილიყო, შინ არ შეიყვანა. ამის შემდეგ ის ვაჟთა საეპისკოპოსო სემინარიაში" აღარ დაბრუნებულა და მეზობელ სოფელში წასულა დურგლისა თუ ხუროს ხელობის შესასწავლად.

ეს ამბავი ჩემს თხზულებებში, ჩემს ეპიკურ ექსკურსიებში, გნებავთ, ერთი კაცის ექსპედიციებში, ასე ვთქვათ, ბუნებრივად, ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე, ხშირად იცვლება ხოლმე და სხვადასხვა სახით გვევლინება. მის მომდევნო ეპიზოდს კი ასეთი მეტამორფოზა ჯერ არ განუცდია. წიგნს, რომელსაც ერქმევა განმეორება", ღმერთის, იღბლის, თუ ვინმეს ან რაიმეს წყალობით, ჯერ კიდევ წინ აქვს მეორე განმეორება".

დედაჩემი ჰყვებოდა, რომ 1943 წლის აგვისტოს მიწურულსა თუ სექტემბრის დასაწყისში მისი მეორე, ძმებიდან ყველაზე უფროსი ძმა, რუსული ყირი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ომიდან რამდენიმე კვირიანი შვებულებით" ჩამოვიდა. და ისე მოხდა, რომ ფოსტის ავტობუსიდან ჩამოსულს პირველი ის კაცი შეეფეთა, ვისაც იმ მხარეში ფრონტიდან მოსული ცუდი ამბები ადრესატებამდე მიჰქონდა. ეს ადამიანი მისი სოფლის გზას ახლაც სწორედ იმისთვის დასდგომდა, რომ რომელიღაც იქაური ოჯახისთვის ტუნდრაში სამშობლოსთვის გმირულად დაცემული" ნაბოლარა ძმის სიკვდილის ამბავი შეეტყობინებინა. და რადგან სიკვდილის მაცნის წინ ამ ოჯახის ერთ-ერთი წევრი მდგარა, მას გზა აღარ გაუგრძელებია, შეტყობინება შვებულებით ჩამოსულისთვის გადაუცია და თვითონ უკან გაბრუნებულა. შინ მისულ გრეგორს შინაურები დედაჩემის სიყმაწვილის დროინდელი ხალისიანი სიმღერებითა და ყიჟინით შეეგებნენ, მაგრამ მოხდა ისე, რომ უმცროსი ძმის სიკვდილის ამბავი, რომელიც ფრონტიდან მოწერილ წერილებში თავის თავს ტუნდრელ ჭაბუკად" მოიხსენიებდა, მას სახლში არ გაუმხელია. როგორც მთხრობელი ჰყვებოდა, მშვიდობიანობის დროს ოჯახში ყველაზე თბილი და მოსიყვარულე გრეგორი მთელი შვებულების განმავლობაში თავს არიდებდა სახლს, მშობლებს, დას თუ დებს, თავის სოფელ სტარა ვასსაც კი, და დილიდან საღამომდე, ზოგჯერ კი ღამღამობითაც, მეზობელ სოფლებში, ენცელნა ვასში, ლიპაში, რუდაში, გლობაბსნიცაში, კიეკშეში, რინკოლაში, კრცანიეში დახეტიალებდა და ნაცნობებთან თუ უცნობებთან, ისევ დედაჩემის სიტყვებით რომ ვთქვა, ტირილით გულს იოხებდა". ტირილით გულს იოხებდა? ვინა, ის, ცალთვალა? - დაუჯერებელია. მას შემდეგ ტირილი არ შეუწყვეტია. არც არასოდეს შეწყვეტს". მხოლოდ შვებულების ბოლო დღეს, როცა ისევ ფრონტზე ბრუნდებოდა, ავტობუსისკენ გზად მიმავალმა გადასცა მან თავის დას, ოჯახის წევრებიდან ერთადერთს, ვისაც გაცილების უფლება მისცა, უმცროსი ძმის დაღუპვის ცნობა. რამდენიმე კვირის შემდეგ კი თვითონაც უცხო მიწის ქვეშ" იწვა, რომელიც (როგორც მისი გარდაცვალების ცნობა და შემდგომ საფლავის ნარწერა იუწყებოდა) მისთვის მსუბუქი უნდა ყოფილიყო".

დრამატული ლექსის, სოფლების გავლით", დასასრულს, სასაფლაოს სცენაში, ლექსის დასაწყისში ჩვენთვის ცნობილი ქალი, მეორეხარისხოვანი გმირი, კიდევ ერთხელ მიმართავს იმ კაცს, პირველ რიგში კი, დანარჩენ dramatis personae*, მთავარ მოქმედ პირებს, და-ძმებს, რომელთაც ერთმანეთთან, ისევე როგორც თითოეულს საკუთარ თავთან, ომი გაუჩაღებიათ. აი, რას ამბობს ეს ნოვად" მონათლული ქალი, რომელსაც ლაპარაკი თანდათანობით უძნელდება:

დიახ, ეს მე ვარ, სხვა სოფლის მკვიდრი. მაგრამ გახსოვდეთ: რომ ჩემი პირით ახალი ეპოქის სული მეტყველებს, და ის თქვენ გეტყვით, დიახაც რომ არსებობს საფრთხე, და შემიძლია მხოლოდ მის გამო გელაპარაკოთ ისე, როგორც ახლა ვლაპარაკობ - თქვენს წინააღმდეგ. ისმინეთ ჩემი დრამატული ლექსი, ისმინეთ. - არაფერია, თუ ოცნებას თავს აღარ მისცემთ, მაგრამ ერთმანეთს ძაღლებივით ყეფით ნუ გამოაფხიზლებთ. არცერთი თქვენგანი არ არის დამნაშავე, იქნებ სწორედ სასოწარკვეთის ამოფრქვევისას შენიშნეთ, რომ სინამდვილეში სულაც არ ხართ სასოწარკვეთილები. სასოწარკვეთილნი რომ იყოთ, მკვდრები იქნებოდით. ამიტომ უდროო დროს ნუ ასაღებთ თავებს მარტოსულ ადამიანებად. კი, სიმართლეა, რომ თქვენს ამბავში ერთი მტკიცე ნუგეშისცემაც კი არ გამოკრთის, მაგრამ შეეშვით ფიქრს ყოფნაზე, არყოფნაზე და თავის მტვრევას: ყოფნაზე ვფიქრობთ და ვიფიქრებთ, არყოფნას კი ფიქრი ვერ სწვდება. იცოდეთ, რამდენად თანაბარნი ხართ - იცოდეთ, რამდენად თანაბარნი ხართ. ამას მხოლოდ მე ვამბობ, მაგრამ მე მხოლოდ მე არ ვარ. მე - მე შემიძლია ცის ქვეშეთში ყველაზე ნაზი და ფაქიზი ვიყო, და ამავე დროს ყველაფერს მოვიცავდე - განვაიარაღებდე. მე!" ერთადერთი გმირი ვარ, თქვენ კი განმაიარაღებლები უნდა იყოთ. დიახ, ეს ის მე-ა, ადამიანებს ადამიანურ სახეს რომ შეუნარჩუნებს! აქედან ომი შორსაა. ჩვენი ჯარები რუხ რაზმებად კი არ დგანან რუხ ქვაფენილზე, არამედ ყვითლად, ყვავილის ყვითელ ფიალებში. ყვავილის წინაშე ქედის მოხრა შეიძლება. ხის ფოთლებში შემალულ ჩიტთან ლაპარაკი შეიძლება. ასე რომ, ეცადეთ, ხელოვნური ფერებით დამახინჯებულ სამყაროში ბუნების ნამდვილი ფერები იპოვოთ. ასეთი ფერია მთების ლურჯი ფერი - პისტოლეტის ბუდის ყავისფერი კი არ არის ასეთი ფერი; ხოლო ვისაც და რასაც ადამიანი ტელევიზორიდან იცნობს, ის მას არ იცნობს. ჩვენი მხრები ცისთვისაა ჩაფიქრებული, ხოლო გზა ცასა და მიწას შორის ჩვენზე გადის. ნელი სიარულით ისეთ ფორმას შეიძენთ, რომელიც არაფერს შეითვისებს მისთვის უცხოს. ბუნება ერთადერთი მყარი დაპირებაა. მაგრამ ის ისევ ზომავს და წონის: და ამ ულუფის მიღება დღეში მხოლოდ ერთხელ შეიძლება. ცაზე მოარული ღრუბლები, მიუხედავად იმისა რომ თვითონ სულ სადღაც მიისწრაფვიან, თქვენს ნაბიჯს ანელებენ. ვინ ამბობს, რომ დამარცხება აუცილებელია? განა თქვენი ომი უკან არ ჩამოიტოვეთ? ასე გაწრთობთ მშვიდობიანი აწმყო და გიჩვენებთ ცოცხლად გადარჩენილთა სიმშვიდეს. ის, რაც შორიდან სიკვდილის მუქარად ჩანდა, ახლოს მისვლისას ბავშვური თამაში აღმოჩნდა. თავიდან გაამზეევთ და დაფერთხეთ თქვენი ათასწლეულის საწოლი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ ბავშვთან შორს მყოფ ურწმუნოებს. ახალ ომს ნუ დაელოდებით: ჭეშმარიტ მშვიდობის მოყვარულთ ბუნების სიახლოვეს იპოვით. თქვენს მოდგმას ეშმაკის პროფილით ნუ დაინახავებით. სიძლიერით სავსე სახლი მეორე ადამიანის სახეა. მადლიერების ზეიმი აქ და ახლაა. ჰოდა, ნურავის ათქმევინებთ, რომ მშვიდობა ვერ გამოიყენეთ: თქვენი გარჯა ღვწას უნდა ჰგავდეს - გაეცით. მხოლოდ ის გასცემს, ვინც შეიყვარა: გიყვარდეთ ერთი - ეს სიყვარული ყველას ეყოფა. შენი სიყვარულით ჩემს თავს შევიცნობ. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობის ამაღლება რთული რამაა - ამაღ-

* - დრამის მოქმედი პირები

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ლებისკენ ისწრაფეთ. თვალი მოარიდეთ ორფეხა პირუტყვს. იყავით ნამდვილები. აედევნეთ ქარავნის ჰანგებს. იქამდე იარეთ, სანამ გზათა ლაბირინთში გზები ხსნისა არ გამოჩნდება; და ისე ნელა, სანამ სამყარო ისევ თქვენი არ გახდება, იმდენად ნელა, სანამ მიხვდებით, რომ ის თქვენ არ გეკუთვნით. დიახ, ძალაუფლების სახით მოსული ძალაუფლებისგან თავი შორს დაიჭირეთ. ნუ დაიჩივლებთ, რომ მარტონი ხართ - უფრო მეტი სიმარტოვე უნდა ეძებოთ. შემოინახეთ შრიალი. ჰორიზონტი იამბეთ, სილამაზე კიდევ ერთხელ არყოფილივით რომ არ გაქრეს. ერთმანეთს ცხოვრებისეული სურათები მოუთხრეთ. რაც კარგი იყო, უნდა დარჩეს. შენელდით და გამოიგონეთ: ამოუხსნელი ოხვრა მძლავრ სიმღერებად გადააქციეთ. ჩვენი ხელოვნება ზეციური ღალადის დარი უნდა იყოს! ნურავის მისცემთ იმის უფლებას, სილამაზეზე უარი გათქმევინოთ - ჩვენი, ანუ ადამიანთა მიერ შექმნილი სილამაზე სულის შემძვრელია. თავი გადადეთ საიდუმლოს ამოსახსნელად, ეს იმ მთავარ საიდუმლოს გაგიმჟღავნებთ. დაიმახსოვრეთ: რამდენჯერაც თქვენკენ მომავალი ბავშვი დამფრთხალი თვალებით შემოგხედავთ, იმდენჯერ თქვენ ხართ ამის მიზეზი. სხვადასხვაგვარად შენიღბვა თქვენი ხვედრი იქნება, და სასაცილო ტყუილს ამჯობინებთ შიშველ სიმართლეს. ითამაშეთ ყოველდღიურობის კომედია. თავის დაკარგვაც თამაშის ერთ-ერთი წესია (და მიუხედავად ამისა: ამაყად მაინც უნიღბო დადის!) გარეთ გამოდით, თქვენთვის უცნობ კონტინენტზე, და ილუზიების არმქონეთ ბოროტად ჩაცინების საშუალება მიეცით: ილუზია შორს ჭვრეტის უნარს იძლევა. დიახ, შემოინახეთ ფორმითა და მონატრებით სავსე ჯანმრთელი სამყარო - ამაზე ქირქილი შეუგნებლობაა, ეს აგონიაში მყოფი ამძორებული სულების ხროტინია. მკვდრები თქვენი დამატებითი სინათლეა. არაფერია, თუკი მათთან გასაუბრება არ შეგიძლიათ: ამისათვის ერთი მარცვალიც საკმარისია. უმჯობესია, ჩვენი არდაბადებულები გახსოვდეთ. ჩასახეთ მშვიდობის შვილი! იხსენით ჩვენი გმირები! ისინი წყვეტენ: ომო, დაგვეხსენ". თქვენ, აქაურნო: თქვენ აგებთ პასუხს. არავის დაგაჯეროთ რომ უნაყოფონი ხართ ჟამის მიწურულს. ჩვენ დასაწყისთან ისე ახლოს ვართ, როგორც არასდროს. მერე რა, რომ ველური ადგილები თითქმის აღარ არსებობს. სამაგიეროდ თავად ველური, მუდამ ახალი, ისევ აქ არის: დრო. საათების წიკწიკი არაფერს ნიშნავს. დრო ის თრთოლაა, რომელიც დაწყევლილ საუკუნეშიც კი გვეხმარება. დროვ, იცოდე, რომ მუჭში მყავხარ! დღეს ის წმინდა დღეა. ვინც იღვწით, მშრომელნო, თქვენ მას შეიგრძნობთ. იქნებ გონივრული რწმენა არ არსებობს, მაგრამ არსებობს ღვთისადმი ძრწოლის გონივრული რწმენა. იხილეთ სასწაული და დაივიწყეთ ის. შეთხზეთ გრძელი წინადადება. სიხარული ერთადერთი კანონიერი ძალაუფლებაა. მხოლოდ მაშინ ხდება ყველაფერი სწორად, როდესაც გიხარიათ. - თუმცა მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე რომ არ არსებობს დამაჯერებელი ნუგეში, ეს ისევ სიმართლედ რჩება. ვინ ზომავს ამას, ვინა წონის? ძალაუფლების სადავით ხელში ბავშვების მკვლელნი დაუსჯელად იმალებიან. სიმშვიდე ეპიზოდურია: მოჩუხჩუხე შადრევნები ბარიკადებად ემხობიან. იმედი ფრთის ამაო ფართქუნია. ყველგან არიან სიხარულის ჩამშხამებლები. სიხარულის მზისქვეშ მავალნი, სულის სიღრმეში სამსალას ვყლაპავთ. ძვირფასო აქაურებო: განგაშის ზარების რეკვა სამარადისოდ გაგრძელდება. თქვენი შეწყალების ვედრება უპასუხობას აღვიძებს. ამიტომ წამოიმართეთ და იხილეთ მუქ პიჯაკსა და თეთრ პერანგში ჩაცმული კაცი. იხილეთ ქალი, მდინარის გაღმა აივანზე მზეზე რომ თბება. თქვენებურად დაადასტურეთ ჩვენი ადამიანური სიჯიუტე! ერთ თუნდაც ნაჩქარევ კოცნას მისი კურთხევა. ახლა კი ყველა თავის ადგილს დაუბრუნდეს. სივრცის დემონიზება მოახდინეთ, განმეორებებით. ფორმა კანონია, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისიც აღდგება. სამუდამო მშვიდობა შესაძლებელია. ყური მიუგდეთ ქარავნის ჰანგებს. .........ცისკენ იყავით მიმართულნი. ამ დრამატულ ლექსს დაუგდეთ ყური. იარეთ ყოველთვის დინების საწინააღმდეგოდ. იარეთ სოფლების გავლით".

- ბავშვობაში დედაჩემის მონაყოლმა პატარა ამბებმა თუ იმისკენ მიბიძგეს, რომ თითქმის მთელი ჩემი ცხოვრება მეწერა და ეს ყოფილიყო ჩემი საქმე, ხელოვნების ნიმუშებმა, და არა მხოლოდ წიგნებმა, ნახატებმა, ფილმებმა (უპირველესად ჯონ ფორდის ვესტერნმა და იაპონელი იასუჰირო ოზუს ისტერნმა") და სიმღერებმა (მაგალითად, ბოლო პერიოდში, ჯონი კეშისა და ლეონარდ კოენის შესრულებით) ამ ბიძგის გამოსაწვევად და გასახმოვანებლად სიცოცხლისთვის აუცილებელი ფორმები, რიტმები, ან, უფრო მარტივად რომ ვთქვა, რხევები და იმპულსები შემძინეს. უფრო ადრეული რხევები და იმპულსები, რა თქმა უნდა, ხელოვნებას არ გამოუწვევია. მათ იმ ბავშვში, რომელიც მე ვიყავი, მისი დაბადების ადგილთან, სტარა ვასთან ახლომდებარე ეკლესიის რომანული თაღების ქვეშ გაჟღერებული სლოვენიურ-სლავური რელიგიური ლიტანიებით შეღწიეს და მონუსხეს ის. მაგრამ ამასობაში ეს ბავშვი სამოცდაჩვიდმეტი წლისა მოიყარა და ზეცისკენ მიმართული მონოტონური და იმავდროულად მელოდიური ღაღადი უწინდებურად მოქმედებს მასზე, სულს ჰბერს და მისი მომავალი სამწერლო გზის სიმებს არხევს; გულში ღიღინებს მისთვის ზეციურ გამებსა და კადენციებს, თითქოს ღვთისმშობლისთვის უგრძეს ლორეტანულ ლიტანიას აღავლენდეს; აქ ჩამოთვლილი ასამდე სახელი და ვედრება შეგნებულად არ არის გადათარგმნილი (შესატყვისი რესპონსორიუმის გამოკლებით: Prosi za nas" - ევედრე ჩვენთვის!"):

Mati Stvarnikova - prosi za nas
Mati Odresenikova - prosi za nas
Sadez modrosti - prosi za nas
Zacetek nasega veselja - prosi za nas
Posoda duhovna - prosi za nas
Posoda casti vredna - prosi za nas
Posoda vse svetosti - prosi za nas
Roza skrivnostna - prosi za nas
Stolp Davidov - prosi za nas
Stolp slonokosteni - prosi za nas
Hisa zlata - prosi za nas
Skrinja zaveze - prosi za nas
Vrata nebeska - prosi za nas
Zgodnja danica - prosi za nas

ამ რამდენიმე წლის წინ ნორვეგიაში გახლდით, რასაც ჰენრიკ იბსენს უნდა ვუმადლოდე, ოღონდ, არა დრამატურგ იბსენს, რომელსაც ჩემი გამოსვლის დასასრულ, მინდა, კეთილი გერმანული სიტყვა შევანიო, ისევე როგორც ჩვენს პეერ გინტს", და თანაც კიდევ ორი პატარა, მაგრამ დაუჯერებელი ნორვეგიული ამბავიც მოგითხროთ: პირველი, ჩემი ხუთი თუ ექვსი პირადი მცველიდან - bodyguards - ერთ-ერთზეა, რომლის გვერდითაც მე შუადღიდან გვიან ღამემდე მომიწია ყოფნა. ამ კაცმა შუაღამისას, ოსლოს ერთ წყნარ საპორტო რესტორანში მობილური ტელეფონიდან თავისი ლექსები ჯერ ნორვეგიულად, მერე კი ინგლისურად წამიკითხა, რომელთაგან ყველა ნაზი სატრფიალო ლექსი იყო.

ერთ-ერთ მომდევნო საღამოს, რომელიც შუაღამის ცარიელ ოსლოში (ან კრისტიანიაში, როგორც ჯერ კიდევ ჰქვია მის დედაქალაქს ახალგაზრდა კნუტ ჰამსუნის წიგნში შიმშილი"), როგორც იქნა მარტოდ დარჩენილმა, აღმა-დაღმა უმიზნო ხეტიალში გავატარე, წიგნების მაღაზიის განათებული ვიტრინის წინ მამაკაცის სილუეტს მოვკარი თვალი. ერთმანეთს რომ მივუახლოვდით და მხარი ვუსწორეთ, კაცი მომიბრუნდა, გამოფენილი წიგნებიდან ერთ-ერთზე მიმითითა და მითხრა: ეს ჩემი პირველი წიგნია!" - დღეს გამოეიდა! დღეს პირველი დღეა!" ძალიან ახალგაზრდა იყო, ჯერ თითქმის ბავშვი, გნებავთ - ყმაწვილი", როგორც წიგნში წერია. მას ისე გულწრფელად უხაროდა, როგორც მხოლოდ ბავშვს შეუძლია გახარება. მაშინდელი სიხარულის განცდა მასში, როგორც ავტორში, როგორც შემოქმედში, დღემდე არ გამქრალა, და არც არასოდეს გამქრალიყოს!

მე ვისარგებლებ შემთხვევით და ორივე მათგანს - კაცს ოსლოს პორტიდან და წიგნების მაღაზიის ვიტრინის წინ მდგარ იმ ყმაწვილს, აქედან დასავლეთით, ან იქ, სადაც ისინი ახლა არიან, მოკითხვას ვუთვლი.

გული მწყდება, რომ ჩემი მაშინდელი პირადი მცველის ვერცერთ სატრფიალო ლექსს ვერ წაგიკითხავთ; რამდენიმე მათგანი კი ჩავიწერე იმ ღამით, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ფურცელი სადღაც დავკარგე. მის ნაცვლად სხვა ლექსს შემოგთავაზებთ, ერთი soulguard-ისას, სულის მცველისას (და გთხოვთ, მომიტევოთ ეს სიტყვებით თამაში):*

## ტომას ტრანსტრომერი

### რომაული თაღები

ტურისტები უზარმაზარ და ნახევრად
ჩაბნელებულ რომაულ ტაძარში.
თაღების მიღმა სხვა თაღები დაუსრულებლივ.
რამდენიმე სანთლის ლიცლიცი.
მე უსახო ანგელოზი შემომეხვია
და მთელ ტანში ჩამჩურჩულა:
არასდროს შეგრცხვეს, რომ კაცი ხარ, და იამაყე!"
შენში თაღები იხსნებიან და მათ მიღმა სხვა
თაღები დაუსრულებლივ.
შენ არასოდეს დასრულდები, ყველაფერი ისე
ხდება, როგორც ჩაითქვა."
ცრემლები მზერადაბინდული
მზით დატბორილ პიაცაზე გამოვირიყეთ
მეც, მისტერ და მისის ჯონსებიც, სენიორა
საბაიტნიც, და პერ ტანაკაც.
მათშიც თაღები იხსნებოდნენ და მათ მიღმა
სხვა თაღები დაუსრულებლივ.

***ლექსი თარგმნა ზვიად რატიანმა***

* - პრემიის გადაცემისას ლექსი პეტერ ჰანდკემ წაიკითხა შვედურ ენაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივა ფეზუაშვილი

# სტერილური, ნული!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1

კოლეგებთან ერთად მამაძაღლი მთვრალი რომ ხელოვნებაზე ლაპარაკობ, აი იმ ლაპარაკებიდან ერთ-ერთს მოყვა სტერილური, ნულის" იდეა. ჩემი მეგობრები ამბობდნენ რომ ხელოვნებაა ნახატი, მუსიკა, კინო, თეატრი და ჯანდაბას ინსტალაციაც და კიდევ უფრო ჯანდაბას პერფორმანსიც, და ხელოვნებას, მითუმეტეს თანამედროვეს, იმისთვის, რომ აუდიტორიამდე მიაღწიოს, სჭირდება კონტექსტი, დრო და სპეციალური ადგილი. ეს სამი ზემოთ ჩამოთვლილი, იმ შემთხვევაშიც კია საჭირო, თუ არტისტის იდეა, მისი იდეის აუდიტორიამდე არ მიტანაა, ოლონდ ამ არმიტანაშიც ყველაფერი გასაგები უნდა იყოს, თორემ ეგრე არ ხდება, არტისტმა თქვას - მე მინდოდაა ხალხს ვერ გაეგო, რა მინდოდაო" თუ ეგ უნდოდა მაშინ ის მაინც უნდა გავიგოთ, რომ არტისტს არ უნდოდა მისთვის გაგვეგო და ზუსტად ამისთვის სჭირდება დრო, კონტექსტი და სპეციალური ადგილიო.

მეთქი, სპეციალური ადგილი, წიპა გამოფენა, ან თეატრი ან რამე ეგეთი?

ეს სამი ერთად უნდა იყოს, ერთ მთლიანობად თორე ცალ-ცალკე არანაირ აზრს არ იძენსო. მეთქი, ეს აზრს არ იძენს" ნამეტანი ყალბი ხო არ არის?

პირველი გვერდია, ეგეთ რაღაცეებს გვაპატიებენ, მეტჯერ აღარ ქნაო,

მეთქი ოკეი და გაეაგრძელეთ - სისულელეა, ხელოვნებას რა-რა და კონტექსტი არ სჭირდება და სპეციალური ადგილი ხომ მითუმეტეს, რას ამბობ, რო ვან გოგის ვარსკვლავებიანი ღამე მომადან ბიკენტიეს საქაბაბეში რომ გადაიტანო, ვან გოგის ვარსკვლავებიანი ღამე აღარ იქნება-მეთქი?

იეპ! ზუსტად მაგას ვამბობთ, პაბალშომუ ხელოვნება მარტო იმათთვის არსებობს, ვისაც ესმის და ბიკენტიეს საქაბაბეში, ორიგინალი იქნება დაკიდებული თუ ასლი, ქაბაბის კლიენტებს ბალი ათი შაური, ბოლე ილი მენეე, მაინც ფეხებზე ჰკიდიათო.

მოკლედ, ჩახლართულად ხსნიდნენ და ფხიზელი თვალით რომ გადახედო, ბევრ ნაკლსაც უპოვი მათ მსჯელობას, მაგრამ ფხიზელი ვინ იყო? მუცელში შვიდი ფენა ალკოჰოლი ირყეოდა და ეს საუბარი კი აბსენტმა გამოიწვია და აბსენტი კიდე ხო იცით როგორი ოხერია და ოხერი ვიყავი მეც და ვამბობდი, რომ რიგითი ადამიანისგანაც კი შეგიძლია ხელოვნების ნიმუში შექმნა და მაგალითად მომყავდა დონალდ ტრამპი, რომელიც საერთოდ არ მჯერა, რომ რეალური ტიპია და არა ვინმეს, ჯანდაბას, ვიხმაროთ ეს სიტყვა - ცოცხალი ინსტალაცია, და ჯანდაბას, ვიხმაროთ ლონგ რანში გათამაშებული პერფორმანსიც.

ჩემი და ჩემი მეგობრების საუბარს ცოტა კონტექსტი რომ მივცეთ, გეტყვით, რომ...

არა, მოდი ესე ვთქვათ, რომ ჩვენ... (დაძაბული დრამი, რამე-რუმე, ცოტაც გავწელოთ პაუზა, ეგაა, საკმარისია! არა მოიცა, ცოტაც, ვსო[illegible] ვთქვათ, რომ ჩვენ მომგვარებლები ვართ და რას და როგორ ვაგვარებთ, ორი სიტყვით ვერ ავხსნი, მაგრამ თუ ამბავს ბოლომდე გაყვებით, დაახლოებითი წარმოდგენა მაინც შეგექმნებათ ჩემზე და ჩემს კოლეგებზეც.

ჩემმა მეგობრებმა ტრამპი ლონგ რანში გათამაშებული, პლოტ ტვისტიანი პერფორმანსი კი არა, დემოკრატიის გამოცდააო.

რკინის არგუმენტია, მაგრამ რკინის არგუმენტებზე მე არ ვზადნავ, როგორც არ ვზადნავ ტექსტში ინგლისური და რუსული სლენგის გამოყენებაზე და ამიტომ, კოლეგებს და მეგობრებს ჩემსას მივუგე, რომ თუ ტრამპი არ არის ვინმეს პერფორმანსი, მაშინ მე სრული არარაობისგან შევქმნი არტს-მეთქი.

რა არტსო?

ხელოვნების ნიმუშს, სიტყვების ეს წყობა გულს მირევს და მეტჯერ ნუღარ გამამეორებინებთ-მეთქი.

და სრულ არარაობაში რას გულისხმობო?

ვის-მეთქი.

რა ვისო?

ვის ვგულისხმობ და არა რას-მეთქი!

ვერ გავიგეთო...

მეთქი, სრულ არარაობას ვიპოვი და მისგან არტს შევქმნი.

მოიცა და...

ვიცდი-მეთქი.

ჯერ ერთი როგორ გავიგოთ შენ მიერ არჩეული ადამიანი მართლა არარაობაა თუ არა და მეორე, ვინ განსაზღვრავს, რასაც შენ შექმნი, ის მართლა ხელოვნების ნიმუშია თუ არაო.

ტრამპზე ხო განსაზღვრეთ რო არ არის არტი და არც ამაზე გაგიჭირდებათ ფხიზელი დასკვნის გამოტანა-მეთქი.

ეგ ჩვენს მეორე კითხვას პასუხობს, მაგრამ პირველზე რა მოგახსენოთო.

კასტინგს დავიწყებ და ყველაზე უნიჭო, შეუხედავი და სრული არარაობა ვინც იქნება, იმას ავიყვან-მეთქი.

რა დისკრიმინაციააო? - თქვა ერთ-ერთმა და მერე ყველამ ერთად თრეშ ფილმების ბოროტი გმირებივით გადავიხარხარეთ.

ბიუჯეტიო? - მეორემ.

მეთქი, რა ბიუჯეტი?

მთელი ამ პროექტის ბიუჯეტი, ჩვენ უნდა დავაფინანსოთ თუ შენით იზამო?

ჩემით ვიზამ, ოლონდ...

რა ოლონდო?

ოლონდ, ისეთი ნიძლავი დავდოთ, როგორიც ფილეას ფოგმა და სხვა ჯენლტმენებმა დადეს დედამიწის გარშემო ოთხმოცდღიან ვოიაჟამდე, ფილეასი მე ვიქნები, სხვები თქვენ, და მოდი ესე ვქნათ, რომ თუ მე ჩემი სიმართლის დამტკიცება შევძელი, ამ სიმართლისთვის შეწირული თანხა, სულ თქვენი ასანაზღაურებელი იყოს-მეთქი.

მოსულა, მაგრამ თუ ვერ შეძელით?

შევძლებ-მეთქი!

და ესე ჩამოვართვი ხელი, ხუთ, არც თუ ისე გადასარევ ჯენლტმენს, ჩემსავით არცთუ ისე სახარბიელო საქმეების მომგვარებლებს, ადამიანებს, რომლებსაც პირად საქმეში სამუშაო ადგილად ერთ-ერთი ყველასგან მივიწყებული კომპანიის მრჩევლების პოზიცია აქვთ მითითებული და ალბათ არ გაგიკვირდებათ, რომ ეს კომპანია სახელმწიფო ბალანსზე ზის და არც ის გაგიკვირდებათ, რომ იმავე სახელმწიფოს ზედმეტ ტვირთად აწევს, ფინანსურად ვერასდროს გადის მოგებაში და შინაარსობრივად კი იმ დიადი ძალის ნაწილია, კეთილი რომ სურს და ყოველთვის რომ ბოროტს იქმს.

მგონი ზედმეტად ჩავახუჭუჭე, მაგრამ რა ჯანდაბა გავაკეთო? მოდი, რახან პირდაპირ ვერ ვამბობთ, ესე ვთქვათ - ჩვენ ხო ვართ მომგვარებლები? ვართ! ჩვენს ზემოთ დგანან დამკვეთები, ჩვენს ქვემოთ საჭირო ხალხი, საჭირო ხალხი კი ფართო ცნებაა და ეგეთივე ფართოა საჭირო ხალხის ნომრები, მისამართები და ეგებ მაკომპრომიტირებელი მასალები ჩემს აიქლაუდზე, გუგლ დრაივზე და სხვა კიდევ უფრო ბევრად დაცულ სერვერებზე. აი ამ გადასარევ ხალხს ქვემოთ დგანან სხვადასხვა სამინისტროს ან სახელმწიფო დაწესებულების პრესსამსახურები, პიარტექნოლოგები და გამონაკლისის სახით ისეთი არაფრის მთქმელი მინისტრები, რომელთა სახელები და გვარები პოლიტიკაში კარგად განაფულმა ამომრჩევლებმა კი არა, ხანდახან ჟურნალისტებმაც კი არ იციან და ეს არცოდნა კიდევ ორ რამესთანაა დაკავშირებული, ან ნამეტანი ხშირად იცვლებიან პოსტებზე, ან ნამეტანი არაფერს ამბობენ, და აქვე დასკვნის სახით დავძინოთ, რომ ნამეტანი არაფერი ვარგა. ამ ყველას ქვემოთ დგას თბილისის მერია, საკრებულოები და სხვადასხვა რაიონის თვითმართველობები. ოღონდ ამ ახალ რეალობაში ისე გამოვიდა, რომ მერია გამონაკლისია და ეგებ ჩვენს ქვემოთ კი არა, კაი ზემოთ და სადღაც დამკვეთების გვერდზეც კი დგას, მიმიხვდით ალბათ რისი თქმა მინდა და რას ვერ ვამბობ. საკრებულოებში ფეხი არ შეგვაყოფინეს, რამეთუ საკრებულოშია მთელი ქალაქის სიძვა და დიდი პოლიტიკოსების ბიზნესინტერესების გაპრავების სოდომ-გომორა, ეგ კი თურმე ისეთი თემაა, რომელიც მომგვარებლებმაც კი არ უნდა იცოდნენ, ათასში ერთხელ ვინმე თუ დარეკავს და საჭირო კაცთან დაკავშირებას გვთხოვს, ეგაა და ეგ. თვითმართველობებს რაც შეეხება, მანდ ჩვენ თვითონ არ გვინდოდა შესვლა, ძალიან დაბალი პლანკაა და აი მაგ დაბალ პლანკას კიდევ ძალიან დიდი ხნის წინ ვახტებოდით და ეხლა რა ღმერთი გაგვიწყრებოდა?

## 2

ვცდილობ გავიხსენო, მქონდა თუ არა მეორე დღეს პახმელიის სინანული. ალბათ მქონდა, მაგრამ ისიც მახსოვს, რომ გადასარევი ვისკიც მქონდა და და ეგება და, ნარკოტიკებს მიძალებული კაცი რომ ვყოფილიყავი, კიდევ უფრო უებარი საპახმელიო ბალახეული და ფხვნილეული და წვეთებიც კი მქონოდა, მაგრამ მომგვარებლებს ნარკოტიკთან მეგობრობა სჯულის კანონით ეკრძალებათ, მე კი ჩემი საქმის, და სჯულის ხომ მით უმეტეს, პროფესიონალი ვიყავი და ესე განსაჯეთ, მეორე დილით სამი რამ მებადა - პახმელია, ვისკი და პროფესიონალიზმი და პახმელია ვისკის დალევას მაიძულებდა, პროფესიონალიზმი კი დამკვეთების ახალი დავალების შესრულებას.

დავალება კი იყო მეტად მარტივი, მაგრამ საპასუხისმგებლო, რამეთუ ჩვენამდე მისი შესრულება ბევრმა სხვადასხვა უწყებამ სცადა და ისე ჩაფლავდნენ რომ კაი დიდი საკადრო ცვლილებები, და თქვენ წარმოიდგინეთ, ამ კონკრეტულ საქმეში სუს-ის ჩვენ ქვემოთ ჩამოლაგება და სუს-ის მთლად უფროსის მარეგულირებელში გაბუნძულებაც კი მოყვა. აი მარეგულირებელი რა არის, რას, როგორ და რატომ არეგულირებს, მაგას ცოტა ქვემოთ გაიგებთ.

მოკლედ, ახალი ტროლების ფერმა იყო გასაკეთებელი, ოღონდ ისეთის, რომ სოციალური ქსელის ყველაზე ორთოდოქს სტალკერსაც კი ეჭვი არ აეღო იუზერის რაობასა და სინამდვილეში.

აი აქ გამოჩნდებიან პირველად საჭირო ხალხი, კულტურის სამინისტროს (მაპატიეთ ამ დროს კულტურის სამინისტრო უკვე განათლების და კიდევ რამდენიმე ერთმანეთთან არანაირ კავშირში მყოფი უწყების უხარისხო კოქტეილია) გაუგებარ ლიტერატურულ პროექტებში მონაწილე, კიდევ უფრო მეტად გაუგებარი მწერლები, რომლებმაც რამდენიმე თვის წინ გადასარევად ჩააბარეს გამოცდა, როდესაც ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე არწაყვანით გაწიწმატებული, იმ დროს ჩვენი დამკვეთებისთვის არასასურველი ხალხის წინააღმდეგ დავგეზეთ. მოკლედ, საჭირო ხალხი მალევე გამოჩნდა - ლიტერატურული სამყაროს ლექი!

ხოლო რატომ ავიყვანეთ ამ საქმისთვის მწერლები და არა წერა-კითხვის უცოდინარი სუს-ის აგენტები, ადვილი მისახვედრია. ამ ჩვენ მწერლებს, კალამი რომ დიდად არ უჭრიდათ, სამაგიეროდ უჭრიდათ გონება და მალევე მიხვდნენ, რომ ტროლინგს და ლიტერატურას შორის დიდი განსხვავება არ იყო. ამ საქმისთვისაც ჭირდებოდათ პერსონაჟები, მათი ბიოგრაფიები, სიუჟეტები, ინტრიგები და კულმინაციები და ნამდვილი ლიტერატურული სამყაროსგან განსხვავებით, ტექსტების დაბეჭდვაზე უარს არავინ ეტყოდათ, უარს კი არა, პირდაპირ ვუთხარი, რაც შეიძლება მეტი წერეთ, შექმენით ხუთი, ათი და ოცდაათი პერსონაჟი, დააშეარეთ მთავრობის ყველა მიღწევა, ყველაზე უმნიშვნელოც, აი ისეთი უმნიშვნელოც კი, როგორც სამინისტროს წინ პანდუსის გახსნაა, გიხაროდეთ ყველაფერი, რაც უხარია მინისტრს, იყავით ყოველთვის მორალისტები, პატრიოტები, მიულოცეთ თქვენს ფრენდებს დაბადების დღეები

და რელიგიური დღესასწაულები, ნურც ხატების ჰიმოფენას დაზარდებით, ნურც კატების და ძაღლების, რამეთუ ღმერთის და ცხოველების მოყვარული ადამიანები, საზოგადოებაში უფრო მეტი ნდობით სარგებლობენ. დღეში ერთხელ მაინც დაპოსტეთ, ოღონდ ყველამ ერთად და ერთი და იგივე არა, ზუსტად მაგით გამოიჭირეს ჩვენი წინამორბედები. ნუ დაიცავთ გრამატიკის ნორმებს და სასვენ ნიშნებს, ათი პერსონაჟიდან გყავდეთ სამი-ოთხი, რომელიც ლათინური ფონტით დაწერს, დანარჩენებმა წერეთ ქართულად, და ბოლოს, გეშინოდეთ სტალკერების, ზუსტად ისე, როგორც გეშინიათ რედაქტორების ცივი უარის. იქითა კვირამდე ათ-ათი ტროლი მომიყვანეთ და მერე დავიწყებთ ტრენინგებს, რა თემაზე როგორ უნდა ეკამათოთ სხვა იუზერებს, როგორ მოუშალოთ ნერვები ყოვლად უვარგისი და პოპულისტური არგუმენტებით და როგორ გამოიყვანოთ წყობილებიდან. ყველა თქვენგანს გეყოლებათ ერთი რჩეული პერსონაჟი, რომელიც სხვა ცხრაზე განსნავლული და განათლებული იქნება და გაცხარებულ კამათში მოწინააღმდეგის ბოლომდე მოსასპობად მას გამოიყენებთ, რითიც ჩვენ მიმართ ლოიალურად განწყობილ, რეალურ იუზერებში გმირის სახელს დაიგდებენ და გამრავლდებიან და გაიხარებენ მომხრენნი ჩვენნი, როგორც აგენტი სმიტი ხარობს და მრავლობს მატრიცაში.

ამ ჩვენს არჩეულ მწერლებში იყო ერთი ნამეტანი მონდომებული, ბუსებრი დრამატურგი და თან პოეტი კაცი რომელმაც -

ძმებო, მოკლე გზას გაწავლით რომ არ განვალდეთო

და გისმენთო ძმებმა (მათ შორის დებიც იყვნენ):

ჩემს მოჩუქურთმებულ სახლში, რომელიც მამაჩემს მისი დამსახურებებისთვის მისცეს, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ იცოდა მთავრობამ ჩვენი ფასი, ერთი მოსკოვური კაბინეტი მიდგას და იმ კაბინეტის უჯრაში კი ერთი დიდებული წიგნი მიდევს, რომელშიც სულ ნაბიჯ-ნაბიჯ და მარცვალ-მარცვალ არის აღწერილი, როგორ უნდა შექმნა იდეალური პერსონაჟი. იქნება ასე ოცდაათიდან-ორმოცდაათ-კითხვიანი ჩამონათვალი და ამ კითხვებზე პასუხის გაცემით ისეთ გადასარევ გმირს მიიღებ, როგორიც, ღმერთო მაპატიე და, არც ვლადიმირი ყოფილა და ესტრაგონი ხომ მითუმეტესო.

და მოყვა მის განცხადებას ტაში და ჩემი მოწონება და მოწონება იმდენად დიდი იყო, რომ იქ და იმ წამს გაირკვა ტროლების ფერმის იდეური მამა ვინ იქნებოდა.

გულზე ხელი რომ დავიდო და სიმართლე ვთქვა, დრამატურგიაშიც და პოეზიაშიც ამ ჩვენს ტროლ მწერლებზე ბევრად მეტი გამეგებოდა და იდეალური პერსონაჟის შექმნაში ხომ მითუმეტეს, ვერცერთი ვერ შემედრებოდა. ისეთი ლპობაშეპარული ხის ნაფოტებისგან მყავს თანამდებობის პირები გამოთლილი, რომ პაპა კარლოსნაირ ფინაჩებს სანთებელისთვის განკუთვნილ ჯინსის ჯიბემდეც ჩავისვამდი, ოღონდ ეგაა, მომგვარებლებს ჯინსი, ქეჟუალ ფრაიდეიზეც კი არ გვაცვია. კაცი თუ საკუთარი გარდეროპის ამბებს ვერ აგვარებ, პოლიტიკოსის რბილ ლ-ს და ტაშტის ხმიან ინგლისურ აქცენტს რას მოუხერხებ? მომგვარებელს პერანგის საკინძზევე უნდა გეტყობოდეს, რომ მომგვარებელი ხარ!

*   *   *

დრო მარტივად გადასაჭრელი პრობლემა იყო, ჩვენ ციფრულ დროში ვცხოვრობთ და ჩემი შერჩეული არარაობაც, პირველად ციფრულ სამყაროში გამოანათებდა.

კონტექსტი ცოტა რთული მოსაფიქრებელი აღმოჩნდა, მაგრამ მარტივ იდეამდე ჩამოვედი - ვქმნი, მაშასადამე დაგცინით! დავცინი ყველა ცნობად სახეს, შოუბიზნესის ვარსკვლავს, გადაცემის წამყვანს, მოკლედ, ყველას ვინც უფრო მეტად ჩანს, ვიდრე ეკუთვნის.

სპეციალური ადგილის არჩევა არ გამჭირვებია, ალბათ არცერთი სხვა ქალაქი ისე არ გავს მეცნიერების საექსპერიმენტო ველს, როგორც ჩვენი, მზის და ვარდების მხარე.

არარას პოვნა ცოტა გამიჭირდა. როგორია სამ მილიონნახევარ ადამიანში იდეალური კანდიდატის პოვნა? კიდე კაი ჩვენს ციფრულ ეპოქაში, ნებისმიერ საძიებო სისტემას ჭკვიანი ფილტრები აქვს და ჩემი ფილტრები კი ასეთი იყო - თვრამეტიდან ოცდახუთ წლამდე, სიღარიბის წარსულიდან, სოციალურ ქსელებში ოცი და ნაკლები მეგობრით, რეალურ ცხოვრებაში კი მაქსიმუმ დედმამით და ერთი დაქალით შემოსაზღვრული, არავითარი უფროსი ძმა, შეყვარებული მითუმეტეს, არარელიგიური, უმუშევარი ან პირიქით, სამსახურით განამებული.

აი საძიებო სისტემის კი, რომელსაც ვიყენებდი, შეშურდებოდა ნებისმიერ ქასთინგ მენეჯერს, გინდ საქართველოში და გინდაც ქალაქ ჰოლივუდში. იუსტიციის სახლის მთლიანი ბაზა ჩემს ხელში იყო, და ჩემს ლეპტოპში იყრიდნენ თავს ნებისმიერი ასაკის, სქესის, ჯურის და მსოფლმხედველობის აიდიქარდის მქონე მოქალაქეები. ეს ბაზა კი თავის მხრივ გადასარევად ჰქონდა გადამუშავებული ძალოვან სტრუქტურებში მომუშავე საჭირო ხალხს და რიგითი მოქალაქეების გვარ-სახელის გვერდით ისეთ უცნაურ რემარკებს წააწყდებოდი, როგორიცაა - ჩვენსკენ იყო, ეხლა იმათკენ გადავიდა", ანდა - ძმა სროკზე ყავს, შეგვიძლია გამოვიყენოთ", ან კიდევ უკეთესი - ამან ზედმეტი იცის", და ბოლოს ჩემი ფავორიტი - მოწყვლადია". რომ იცოდეთ ვისზეა საუბარი ეგრევე მიხვდებოდით, რომ რემარკის ავტორმა იდეალურზე იდეალური სიტყვა შეარჩია ამ პიროვნების დასახასიათებლად.

მოწყვლადები, მისაჯგირყვნები, ოპოზიციონერები და სხვა გადასარევი ხალხი, საძიებო ფილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრებით გავაქრე და არარაობის როლისთვის კასტინგგასავლელთა რიცხვი ხუთამდე დავავიწროვე. სამი გოგო და ორი ბიჭი - გენდერული ბალანსი დაცულიცაა და ცოტა მეტიც, კვოტირებაც გვაქვს და კიდე უკეთესიც. ჩემი ხუთეულიდან, ოთხი ეტყობა იმდენად აპოლიტიკური იყო, რომ სისტემამ მათზე რემარკების დახარჯვისთვის თავი არ შეიწუხა, მეხუთეზე კი ჩემს წინამორბედს ალალად მიეწერა - ჯერ ვერ ჩამოყალიბდა, გეია თუ არა".

რაც არ უნდა ავიწროვო ძებნის არეალი და როგორი გადასარევი ბაზაც არ უნდა გქონდეს, იდეალურ შედეგს მაინც ვერ მიიღებ, თუ ადამიანს პირისპირ არ შეხვდი და თვალებში ჩახედვით არ გაარკვიე, მის გულ-მუცელში და ტვინში რა დუღს. ერთი ეგაა, რომ შეხვედრას მიზეზი სჭირდება. არა, როგორ არ შემიძლია საჭირო ხალხს დავურეკო და ოც წუთში ხუთივე ჩემს კაბინეტში მოვაყვანინო, ოღონდ წინდახედულობა გვმართებს, მომგვარებელს არც აჩქარების უფლება აქვს და არც ჩრდილიდან ტყუილად გამოსვლის, მაგრამ... მაგრამ ამ ხუთიდან ერთ-ერთი ისეთი დაღლილი და გაწამებული სახით იყურება და ისეთი არაფრისმთქმელი თვალები აქვს, რომ ჩემი საქმისთვის იდეალური კანდიდატი მგონია.

მერე დღეები რომ გავა და საჭირო ხალხი მის მისამართს და სამუშაო ადგილს გამირკვევს, მე შემთხვევით შევბოდიალდები ჰიპერმარკეტში, სადაც ის მუშაობს და მაინცდამაინც იმ უგრძელეს რიგში ჩავდგები, რომელიც მის სალაროსთან დგას, და დამეთანხმებით, რომ რიგების გამო, სხვა ბევრად უფრო მიშვნელოვანი საქმეებიც კი გვაქვს გადადებული, მაგრამ ამჯერად არ ვიზარმაცებ და მაინც შევხვდები და მაინც ჩავხედავ თვალებში, და მაინც მივხვდები რომ ის, ისაა... იდეალური... სტერილური, ნული.

### 3

მე მეგონა ისე გაუხარდებოდა, რომ იმ დღესვე დათანხმდებოდა ჩემს შეთავაზებას, მაგრამ ჩემი ფეხები. არც კონსულტანტის ხელფასზე ათჯერ მეტმა ანაზღაურებამ დააინტერესა, არც თავისუფალმა სამუშაო გრაფიკმა და არც პოპულარობამ. რათ მინდა ეგეთი ფული და პოპულარობა, ექვსი თვის მერე თუ ყველამ ჩემზე უნდა იღლიცინოს და მერე ისევ რიგითი კონსულტანტი უნდა ვიყოო.

პოპულარულს მე გაგხდი და შენარჩუნებაზე მერე შენ იზრუნე-მეთქი.

როგორ, როცა ყველას ეტყვი, რომ რასაც უყურებენ, სრული სიყალბეაო.

ვახ, შენ ქართველი სტარები მართლა ისეთები გგონია, როგორადაც თავს ასაღებენ-მეთქი?

არა, მაგრამ მაგათ თამაშს წერტილს არავინ უსვამს და შენ კიდე გინდა პოპულარობის ზენიტში მომცელოო.

რამდენი მოცელილი წამომდგარა, ეგ კი არა, პარლამენტში სამშობლოს ღალატისთვის და პატიმრებზე ძალადობის მუხლით გასამართლებული პოლიტიკოსები გვიზის-მეთქი.

ეგეც მართალიაო.

ეგეც მართალია და ისიც, რომ შენს პლასტიკურ ოპერაციებში და კოსმეტიკურ რემონტში დახარჯული ფულის შედეგი სულ შენთან დარჩება-მეთქი.

მოიცა, პლასტიკას გამიკეთებო?

აბა? ცხვირი, ტუჩი, ტრაკი... მკერდი კაი ზომის გაქვს, მაგას არ დაჭირდება-მეთქი.

აქაჩვა უნდაო.

ავქაჩოთ მაშინ, მაგის დედაც ვატირე-მეთქი.

თვალებიცო - აზარტში შევიდა.

თვალებიც და ყველაფერი, რაც გინდა, და ყველაფერს, რასაც ავქაჩავთ, შენ დაგრჩება, ქამინგ აუთის მერე სახლში ხო არ წავიღებ-მეთქი არა?

ხელი სად მოვაწეროო?

მეთქი, ხელმოწერაზე ცოტა მეტი დაგვჭირდება.

რა, აბაო?

კომპრომატებზე რა იცი-მეთქი?

რა კომპრომატებიო?

გარდა იმისა, რომ ბიფორ და აფთერ პონტი კამერაზე უნდა მქონდეს, რამე ისეთი მჭირდება, რითიც დაგაშანტაჟებ-მეთქი.

ეგეთი არ მაქვს არაფერიო.

ვიცი და მაგიტომ აგირჩიე, მაგრამ ნუ ნერვიულობ, ექვსი თვე დიდი დროა, რამეს ვიპოვი-მეთქი.

მოსულაო.

მეორე დღესვე ჩემს კოლეგებს მივუყვანე და ვაჩვენე, აბა შეხედეთ, არ არის სტერილური, ნული-მეთქი?!

არისო - ყველამ ერთხმად, მაგრამ ჩვენ რა ვიცით ტანსაცმლის შიგნით რას მალავს, გოგონა აბა ერთი თუ ღმერთი გწამს, გაიხადეო.

მეთქი, არაა ადამიანის ესე დამცირება საჭირო.

შენ როდის მერე გახდი ესეთი მორალისტიო - ერთ-ერთმა.

არ ვმცირდებიო - სტერილურმა ნულმა და გაიხადა, ყოველგვარი კომპლექსის და მორიდების გარეშე, ოღონდ ისე ნელა, წვალებ-წვალებით და მოუქნელად, რომ მივხვდი, სექსუალურ ცხოვრებაშიც ვერ ქონდა ყველაფერი რიგზე, ვიცი რომ ცოტა უცნაურად ჟღერს ეს ფრაზა, მაგრამ აი შემდეგი ვან ნაით სთენდი რომ გექნებათ, დააკვირდით, ვინც მოქნილად და სექსუალურად იხდის, ის მამაძაღლი გამოცდილების და ფანდების ოსტატია და ზლაზვნით გამხდელებთან კი ბევრს ვერაფერს გამოკრავთ ხელს. ესაა ჩემი მომგვარებლისეული დაკვირვება და ამ ამბავს თუ ბოლომდე გაყვებით, მიხვდებით, რომ დაკვირვებებში დიდად არ ვცდები, არ ვცდები კი არა, ეგებ ისეც ხდება, რომ ათიდან ცხრანახევარ შემთხვევაში მართალიც ვარ ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტერილური, ნული ჩვენ წინ შიშველი იდგა და ჩემი კოლეგები ისე ათვალიერებდნენ, როგორც მონათმფლობელები ახალ საქონელს, თვითონ კი ისეთი ჯიქური მზერით გვიყურებდა, როგორც ის მონა, რომელიც ჯერ კიდევ დიდ გულზეა, რამეთუ არ უგემია ტანჯვის უღელი და პატრონის მათრახი. მე კი რაღაცნაირად გული ამიჩუყა ამ სანახაობამ, იმიტომ კი არა, რომ სტერილური, ნული შემეცოდა, უფრო იმიტომ, რომ შემეცოდა მისი სხეული, რომელსაც მოვლის მინიმალური ნიშანწყალიც კი არ ემჩნეოდა; გამოკვეთილად ასიმეტრიული მკერდი, მოშვებული მუცელი, განიერი, ცხიმ მოდებული თეძოები, იაფიანი საპარსით დაჩეხილი ნვივები, აქერცლილი პედიკური და თავის ნებაზე მიშვებული, მეჩხერი ბუჩქნარივით მოუვლელი ბიკინის ადგილი.

ხომ კარგად დამათვალიერეთო.

კიო - ჩემმა კოლეგამ.

დაიმახსოვრეთ რასაც ხედავთ, ესეთს მეტჯერ ველარ მნახავთო.

ამ სულისკვეთებით ბევრს მიაღწევო.

ბევრსაც ვაპირებო.

წარმატებები, ექვსთვიანი ნაშზომი ჩაირთოო.

პირველი დღეები სტერილური, ნულის ახალი ბიოგრაფიის წერას მოვანდომეთ. წარსულს გამიზნულად გვერდს ვუვლიდით, მაგრამ თუ ვინმე მაინც ჩაგვეძიებოდა, მარტივი პასუხი გვქონდა, ნამეტანი ავყია კაცზე იყო მითხოვილი, რომელიც სოციალურ ქსელებში ძრომიალის უფლებას კი არა, მეგობრებთან გაგზავნილ მესიჯებსაც კი უკონტროლებდა. საზოგადოების პროგრესულ ნაწილს მსხვერპლი ქვეცნობიერად უყვარს და აი იმ "ბნელებს" კი, ვინც კარგსაც შვებოდა, აბა ეხლა ნახე რა დღეშია, რა ფოტოებს დებს" კომენტარებს დაწერდნენ, ისევ ჩვენი ლიბერალები ჩაქოლავდნენ და ანდაც, აგერ გვერდით ოთახში არ მეჯდა ტროლების მთელი ფერმა?

გამოგონილი პერსონაჟისგან განსხვავებით, რეალურ პერსონაჟზე მუშაობის დროს მისი შესაძლებლობიდან უნდა გამოხვიდე და სტერილური, ნულის უნარ-ჩვევები კი ბევრ არაფერ გასაქანს არ მაძლევდა. ერთადერთი რაშიც გამიმართლა, ის იყო, რომ ნორმალური მეტყველება ჰქონდა და ლოგოპედთან მეცადინეობაში დროის დაკარგვა არ დამჭირდა, ჩემი ჯადოქარი ვიზაჟისტების და თმის ოსტატების წყალობით კი კვირის ბოლოს დაახლოებით გამოიკვეთა, ჩემი მთავარი გმირის მომდევნო ექვსი თვის და, ვინ იცის, იქნებ მთელი სამერმისო ცხოვრების ვიზუალიც და ამ მაკიაჟის რეალურ ცხოვრებაში გადმოსატანად კი პლასტიკის შამანებს მაქსიმუმ ორი თვე დასჭირდებოდათ, თავის ნაოპერაციები ადგილის ჩაცხრომებიანად.

და ავქაჩეთ წარბები და ავქაჩეთ მკერდი და ნავუსვით ცვილი მთელ ტანზე და სადაც ცვილმა ვერ გვიშველა, ის ადგილები დავამუშავეთ ლაზერით და ვუტარეთ შლაკების დასაშლელი მასაჟები და ტაკოს ასაბზეკი სავარჯიშოები და დავაგრძელეთ ჯერ ფრჩხილები, ნამწამები, მერე კი თმა და მერე ყველაფერი, რაც დავაგრძელეთ შევღებეთ იმ ფერებში, რომელიც ჯდებოდა სილამაზის სტანდარტებში, რომელსაც ჩემი კოლეგები, მოდის სფეროს მომგვარებლები იგონებენ, და იგონებენ ძირითადად ქალებისთვის და თუ ამ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებ, ძირითადად ისევ ქალები გაგკიცხავენ და არავის ემახსოვრება, რომ სტანდარტებს კაცები აწესებენ და კაცებივე ანესებენ ფასებს ქალებისთვის განკუთვნილ პროდუქტზე და ამიტომ ღირს ზუსტად ერთნაირი ფორმის, ზომის, წონის და დანიშნულების თავის მოვლის საშუალებები კაცებისთვის უფრო იაფი და ქალებისთვის უფრო ძვირი და ამიტომ არის სამყარო კაცის თვალზე მორგებული და არა მარტო თვალზე, ტანზეც კი, და თუ არ გჯერათ, დაუკვირდით რომ ნებისმიერ დაწესებულებაში კონდიცირების სისტემა და ტემპერატურა კაცის პიჯაკსა და ჰალსტუხში გამოკვანწულ სხეულზეა გათვლილი და კაცებისავე დაწესებულ სტანდარტებში ჩასაჯდომად კოქტეილის კაბებში გამოწყობილ ქალებს უწევთ აბუზული მხრებით და აცახცახებული ძვლებით სიარული და ეგება და, ამ ძვლებისვე გასათბობად აეტმასნონ ვიღაცა ოლრამს, მაგრამ ეგ მსჯელობა ცოტა შორს წაგვიყვანს, ამჯერად მხოლოდ იმას დავჯერდეთ, რომ მსოფლიოში თუ რამე ხათაბალაა, ყველაფერი თეთრი, საშუალო და უფრო მაღალი კლასის კაცების ხელოვნურად მოგონილი პრობლემაა და მეტი არაფერი.

ორი თვის და ორი დღის თავზე შევხედე ჩემს ქმნილებას და დავრწმუნდი, რომ ყველა საშუალო სტატისტიკური მდედრის და მამრის გემოვნებას დააკმაყოფილებდა და ვუწოდე მას გალა, შემოკლებით გალათეასგან, და ვხარობდი ძლიერ და ვსვამდი გრძელ, რთულ ქვეწყობილ სადღეგრძელოებს და წინასწარ ვტკბებოდი სანაძლეოში გამარჯვებით და საზოგადოებისთვის თვალებში ნაცრის შეყრით... მაგრამ ნაცრის სროლას ერთი დიდი მინუსი აქვს, ხელი დასვრილი და გამურული გრჩება და აი ეგ სიბრძნე კი, ისე მოხდა, რომ მაშინ გაგონილი და შესისხლხორცებული არ მქონდა.

## 4

პატარა საგრიმიოროსავით პავილიონი ავაშენეთ და სოციალურ ქსელებში მაკიაჟის ტუტორიალების დადება დავიწყეთ, თითო ვიდეო დღეში. საგრიმიოროს გვერდით ფოტოსტუდიაც მივუდგით და რამდენიმე ფოტოსესიაც მოვცხეთ. სულ რომ ინტერიერში არ ვყოფილიყავით გამოკეტილი, ფოტოგრაფები ლამაზ-ლამაზ ადგილებშიც წავიყვანეთ და იმდენი გაკაშკაშებული ფოტო გადავიღეთ, რომ პროფესიონალ მოდელსაც კი შეშურდებოდა. დღეში მინიმუმ ოთხ სტატიას ვწერდით თავის მოვლის საშუალებებზე, სამს ჯანსაღ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვებაზე, ორს თანამედროვე მოდის ტენდენციებზე, ერთს მოგზაურობაზე. მინიმუმ სამჯერ, ყოვლად ბანალურ და გულის ამრევი ვიზუალით გაფორმებული პაულო კოელიო/ელიფ შაფაქისებრ საინსპირაციო ციტატებსაც ვამზეურებდით სოციალურ ქსელებში და ამ ყველაფერს ისეთი ინტენსიურობით ვბუსტავდით, რომ ერთი კვირის თავზე სამი ათასი რეალური ფოლოვერი შემოგვიჩნდა.

თავიდან სოციალური ქსელების სამართავად და სტატიების დასაწერად ორი პროფესიონალი დავიქირავე, მაგრამ გალა ნიჭიერი ჯეელი აღმოჩნდა, საქმეს მალევე აუღო ალღო და ორი კვირის თავზე, როდესაც ჩვენი ფოლოვერების რიცხვი უკვე გასამმაგებული იყო, ყველაფერს მარტო აკეთებდა - პოზირებდა და თან პოსტავდა, დამხმარეებს მხოლოდ სტატიების სათარგმნად იყენებდა, რამეთუ რა გინდა რა ნიჭიერი იყო, ინგლისურს ესე მარტივად ვერ ისწავლი.

გალას გამოთლაში და დაპიარებაში სამი თვე დავხარჯე, ამ სამი თვის თავზე კი უკვე პირველი სპონსორებიც გამოჩნდნენ. პარფიუმერიის მაღაზიებმა და ფიტნესცენტრებმა რეკლამის სანაცვლოდ ვაუჩერების და უფასო ტესტერების გამოგზავნა დაიწყეს. ღმერთო, რჯული პარფიუმერია და კოსმეტიკა იმდენი გვქონდა იმ მაღაზიებს აქეთ გავუგზავნიდით, მაგრამ აი ფიტნესის იდეამ ძალიანაც მომხიბლა. მარტო მაკიაჟით შორს ვერ წავიდოდით და გალამ სოციალურ ქსელებში ფიტნესვიდეოების გამოქვეყნებასაც მიჰყო ხელი, და თუ აქამდე მხოლოდ მდედრობითი სქესის მიმდევრები გვყავდა, ეხლა იოგას ელასტიკებში გამობზეკილი, მარწყვივით ტაკოს მოყვარული ხელმარჯვე თინეიჯერებიც შემოგვემატნენ და მაშინ მივხვდით, რომ ახალ სეგმენტზე გასვლის შანსი გვქონდა და დავიწყეთ ანაზღად სექსუალური ვიდეოების და ფოტოების დადება და პოზირებდა გალა ხან აუზში და ხანაც ჯაკუზიში და პოზირებდა კიდევ სოლარიუმში და ამზეურებდა თავის უკვე ნავარჯიშებ, გარუჯულ სხეულს და მერე ამ ყველაფერს ვახმარდით ფოტოშოპის დამქაშებს და მოდიოდა ლაიქები და კომენტარები და მამრების სავსე მთვარის დროს ყმუილივით ამოხეთქილი ისეთი პმ...ები და დმ...ები, რომ უმეტესობის წაშლა, დაბლოკვა და განდევნაც კი გვჭირდებოდა. და გამოხდა ხანი და ცხრა ათასი ფოლოვერი გადაიქცა ოთხმოცდაათი ათასად და ინვევდნენ გალას სხვადასხვა გადაცემებში და ლაპარაკობდა თავის მოვლაზე, დიეტებზე, ჯანსაღ კვებაზე და მისთანებზე და მისკდებოდა გული ყოველი პირდაპირი ეთერის წინ, მაგრამ გოგო, რომელიც ჰიპერმარკეტის დახლიდან წამოვაყენე, იმდენად ნიჭიერი იყო, რომ ყველანაირ დაბრკოლებას პარკურის ილეთებით ახტებოდა და მიკვირდა ძლიერ, და ის კი ფიქრობდა ახალ-ახალ ნაბიჯებზე, რამეთუ იცოდა, რომ საზოგადოებას და მითუმეტეს იუზერებს, ერთი და იგივე ხილი მალევე ბეზრდებათ და სულ რომ ქეჩოთი გყავდეს ყველა მათგანი დათრეული, ხვალ ანდა მაქსიმუმ ზეგ თუ ახალს არაფერს შესთავაზებ, ისეთივე სისწრაფით გაგექცევიან, როგორი სისწრაფითაც მოგესიენ, და ამიტომ გალამ თქვა -

რამე ეპატაჟური გვჭირდებაო.

ვახ, რანაირი სიტყვები გისწავლია-მეთქი.

სალღიცინოდ არ მცალია, ორი დღეა ახალი ფოლოვერი არ დაგვმატებიაო.

ცოტა ხანი მაგისთვის არ მცალია, მოდი ეს შაბათ-კვირა გადამაგორებინე და მერე მოგხედავ-მეთქი.

ისე ცივად და მუქარით შემომხედა, მივხვდი, რაღაც საშინელებას დაატრიალებდა, მაგრამ მართლა არ მეცალა, არ მეცალა კი არა, პირიქით, იმდენი დრო დავუთმე, რომ კინაღამ მომგვარებლია კარიერა გავიფუჭე. ბუსებრი, დიდსათვალიანი მწერალი და დრამატურგი ხო გახსოვთ? მაშინ ისიც გემახსოვრებათ, ამ ჩემის ტროლების ფერმის იდეურმა ლიდერმა, დამოუკიდებლად, თავისი რეალური გვარ-სახელის გამოყენებით, ნაციონალისტური ვიდეოების გადაღება და სოციალურ ქსელში გამოქვეყნება რომ დაიწყო. ეგ ყველაფერი დიდი ხათაბალა არ იქნებოდა, ამ გადასარევ კაცს ტროლების ფერმა თავისი საქმისთვის რომ არ გამოეყენებინა და არც ტროლების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებაში იქნებოდა დიდი რამ პრობლემა, რამდენიმე სიმწრით სახელმოხვეჭილი პერსონაჟი რომ არ გაესტალკათ და ამდენ შრომადახარჯული, უშვილო კაცისთვის, შვილივით საყვარელი ტროლის ქსელიდან გამორთვა რომ არ დამჭირვებოდა.

სასტიკი საყვედური გამოვუცხადე და იმ თვის ხელფასის ნახევარი ჩამოვაჭერი.

ამიხტა, დამიხტა და ტლინკები ყარა - მეო, მენო, ვისაო, ჩემი ესე და ისე, მე იცი ვინ ვარ, შენ იცი რას გიზამ, მე რო კონტაქტები მაქ... ვახ ძველი დრო იყოს, შენ თუ არ გამეციმბირებენე, ვისა? როგორ ბედავ? ბაბუად გეკუთვნიო!!!

ერთი ადგილი დააყენე, თორე როგორი ღიმილიც ვიცი, ისეთივე ვიცი ყვირილიც და როგორც გადასარევი ცხოვრება აგიწყვე, ისე გადასარევად დაგინგრევ-მეთქი.

ისეთი თვალებით შემომხედა, როგორითაც გალამ ამ დიალოგის დაწყებამდე და გალას შემთხვევაში თუ მხოლოდ და მხოლოდ სოციალურ ქსელებში გამოჭიმული, სასირცხო ადგილებზე ხინკლებაკრული მისი ნახევრად შიშველი ფოტოები დამხვდა, ბუსებრმა დრამატურგმა ისეთ შარებს გადამყარა, რომ გალას ფოტოები და ფოტოებს ქვემოთ მიწერილი კომენტარები ერთი ფერის, კუბიკ-რუბიკის აწყობასავით მარტივი მოგეჩვენებოდა.

გალას ფოტოები როგორ მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა და მორალის, ეთიკის და ამ შემთხვევაში ხინკლის სადარაჯოზე მყოფი ქართველები როგორ გადაუვლიდნენ და გადმოუვლიდნენ, ხო მიხვდით? იმასაც ხომ მიხვდით, რომ მისი ფოლოვე-

რების რიცხვი ამ ქაჯური გამოხტომის მერე გაორმაგდებოდა? მაშინ იმასაც მიხვდებოდით, რომ გალამ ამ შემთხვევაში თავისი გაიტანა და საყვედური არა მეთქმოდა რა. საყვედური კი არა, პოლიტიკურად იმდენად წყნარი კვირა იყო, რომ ჩემი ტროლები მთქნარებით კვდებოდნენ და ამ ფოტოებმა ისე ალაგზნო სულ ყველა (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით), რომ ჩემგან მწვანე ანთებულებმა ისეთი სტატუსების და კომენტარების წერა დაიწყეს, გალა ლამის ანათემაზე გადასცეს.

აქეთ ბუსებრი მწერალი მეურჩებოდა, იქით გალა მეტუტუცებოდა და დამკვეთებმა კი როგორც იქნა წაიკითხეს ჩემი რეპორტი  არჩევნებში დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდაჭერის და მისი გამარჯვებით მიღებული ბენეფიტების შესახებ" და ცივი უარით გამისტუმრეს.

## 5

მომგვარებლებს ყველაზე მეტად გადაადგილებები გვეზიზღება. ბატონი თუ იცვლება ან რამე მსგავსი, კიდე ხო, რალაცნაირი ჩელენჯია და რისი მომგვარებელი ხარ, თუ ახალ ბატონთან ვერ მოგვარდი, მაგრამ ეგ ძირითადად დეკადაში ერთხელ ხდება და აი, ტყუილ, თითიდან გამოწოვილ ცვლილებებზე კი მართლა გული მერევა.

ისევ ახალი მოურავი მოიყვანეს, თან მაინცდამაინც ზედ არჩევნების წინ, ეტყობა ძველმა ზედმეტი იცოდა ან ზედმეტი ამბიცია გაუჩნდა, ან ზედმეტი მოუვიდა. პრინციპში ძველიც მკიდია და ახალიც, მაგრამ ძველთან არჩევნებში დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდაჭერის გეგმა გაპრავებული მქონდა და ამ ახალმა ჯერ ხო ჩემი უსაფრთხო მომავლისთვის ესრერიგად საჭირო იდეა დამიბლოკა და ეხლა ტვინი უნდა წამიღოს იდიოტური კაპრიზებით -  მე ეს ესე არ მინდა, ესე მინდა!" და მსგავსი ტუტუცობებით. ისე რომ გაუკეთებ, როგორც თვითონ უნდა და რომ მიხვდება, რომ ისევ ისე ჯობდა როგორც აქამდე იყო, გეტყვის, ეს რა სისულელეა, მოდი ახალი რაღაც მოვიფიქრე და ისე გავაკეთოთო, და შემოგთავაზებს ზუსტად იმ იდეას, რომლითაც ამდენი წელი ლაღად მუშაობდი, მაგრამ ახლა მისი პირიდან ნათქვამი ისე გაჟღერდება, თითქოს ამ ყველაფერზე ფიქრში მართლა ღამეები ჰქონდეს გათენებული და შენც ისე უნდა გაუღიმო, თითქოს იდეა მართლა მას ეკუთვნოდეს და უნდა დაიჯერო, იმიტომ კი არა რომ დებილი ხარ, იმიტომ რომ თვითონ არის იმბეცილი და თუ აჩვენებ, რომ მოტყუვდი, ისიც დაიჯერებს, რომ მართალია და  მართალ" კაცთან მუშაობა კი ბევრად ადვილია, ვიდრე იმასთან, ვისაც ეჭვები სჭამს, რომ რაღაცით სჯობიხარ და მასზე მეტი იცი!

ახალ ბატონთან მომგვარებლად მუშაობის შვიდი წლის თავზე, ოთხი მოურავი გამოვიცვალე და ზემოთ ნათქვამ უაზრო ნაბიჯებში დროის ხარჯვა ძალიან მეზარებოდა. ამიტომ მოურავის კაბინეტში წყნარად ვიჯექი, წყნარად ვუსმენდი მის ყვირილს, გინებას და მუქარებს, რომ ძაან თავზე გავედით, რომ ბატონს ძალიან ძვირი ვუჯდებით, რომ ნელ-ნელა დროა დაგვხურონ, რომ საერთოდაც ჩვენი მუშაობის სტილი უკვე ძალიან მოძველდა, რომ ეხლა დროა ყურადღება ჩვენს გამოწვევებზე, მიღწევებზე და ეგეთებზე გავამახვილოთ, ვიდრე ოპოზიციის შავ პიარზე და მერე რა, რომ ვერცერთ გამოწვევას ვერ გაუმკლავდნენ და მერე რა, რომ არცერთი მიღწევა ან რამე ეგეთი არ აქვთ, მთავარია, რომ თუ რამე მაქვს თავის დასაცავად სათქმელი, სჯობს აქ და ახლა ვთქვა, თორემ მერე შანსი აღარ მექნება.

ერთ რამეს ვიტყვი-მეთქი მხოლოდ.

რასო.

რას და, მე ლაპარაკი არ მიყვარს, მირჩევნია ჩემი საჭიროება საქმით დავამტკიცო და მერე ვილაპარაკოთ რამდენად ძვირი ვჯდები და რამდენად დასახურები ვართ-მეთქი.

მემუქრებიო?

როგორ გეკადრებათ, თქვენ ზევითა ხართ, მე ქვევით-მეთქი.

ოფისში დავბრუნდი და ჩემს ტროლებს ინდუსი, მაროკოელი, ვენესუელელი და ნებისმიერი ჩვენგან ძალიან შორს მყოფი ქვეყნის მოქალაქე ტროლების გამოჩეკვა დავავალე.

ბიოგრაფიები და დრამატურგიული ნაბიჯები არ გვინდა, პირიქით, ეგრევე უნდა ემჩნეოდეს, რომ ფეიკ ექაუნთია, იჩქარეთ, ასობით ახალი პერსონაჟი მინდა და დრო სამწუხაროდ მხოლოდ ხვალ თორმეტამდე გაქვთ, მაგრამ ამ ლამის თევას არ დაგივიწყებთ, თვის ბოლოს მამალი ბონუსები ჩემზე იყოს-მეთქი.

ეგრე ხო გაგვსტალკავენო - ბუსებრმა პოეტმა.

შენ ის გააკეთე რასაც გეუბნებიან და გაგვსტალკავენ თუ არა, ეგ მე ვიცი-მეთქი. ხელფასი რომ დავაკელი იმ დღის მერე მაგრად მეშპილკავებოდა, თან სადღაც ხვდებოდა, რომ არჩევნების მერე პენსიაზე ვუპირებდი გაშვებას.

მეორე დღეს, თორმეტ საათზე, ახალმა მოურავმა მოსახლეობას ახალი სამოქმედო გეგმა წარუდგინა. პირველის ნახევარზე სამინისტროს პრესსამსახურმა პრესკონფერენციის ვიდეო სოციალურ ქსელში დადო. პირველს რომ ოცდახუთი წუთი აკლდა, ახალგამოჩეკილმა, ჯერ კიდევ ცხელცხელმა სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე ტროლებმა დასცხეს და ჯერ ხო ალაიქეს და ალაიქეს ეს ვიდეო, მერე კი არ დაეზარათ და კომენტარებში ისეთი საქებარი სიტყვები დახარჯეს, ახალ მოურავს გული რომ ჰქონოდა, აუცილებლად აუჩუყდებოდა. პირველს რომ ოცი აკლდა, ოპოზიციურად განწყობილ ტელევიზიებში და ინტერნეტგამოცემებში მომუშავე საჭირო ხალხს დავურეკე და აბა, თუ არ გეზარებათ, სოციალურ ქსელში მოურავის გვერდი შეამოწმეთ, ლაიქები და კომენტები საიდან მოდის ნახეთ-მეთქი და აი ესე შუადღის პირველ საათზე, ახალი მოურავის სამოქმედო გეგმის მაგივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად, ყველა საინფორმაციო საშუალება მის ახალ ტროლებზე ლაპარაკობდა. ორის ხუთ წუთზე კი თავად მოურავმაც დარეკა და ბოდიში მომიხადა, გუშინ ცოტა გავცხარდი, მოდი საღამოს შევხვდეთ, ყველაფერი სუფთა ფურცლიდან დავიწყოთ, არჩევნები გვაქვს გადასაგორებელი და ერთმანეთის დაჭმა არ გვჭირდებაო.

გეთანხმებით და თქვენც დამეთანხმეთ, რომ დამოუკიდებელი კანდიდატის იდეას უნდა დათანხმებულიყავით-მეთქი.

გეთანხმები და თანახმა ვარ, მიხედე მაგ საქმესო.

ხოდა ეგრე-მეთქი. ეს რო გათიშა, მერე ჩემთვის დავაყოლე, არ მიყვარს მიჩმორებულის ჩაჩექმვა, იმიტო კი არა რო მორალი არ მიშვებს, უბრალოდ ჩაჩექმილი ადამიანი ყველაფერზეა წამსვლელი, მომგვარებლებს კიდე ეგეთი ხალხი მეგობრებად გვიყვარს და არა მტრებად.

ორი სიტყვით  არჩევნებში დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდაჭერის და მისი გამარჯვებით მიღებული ბენეფიტების შესახებაც" უნდა ვთქვა. ორიგინალი რეპორტი სადღაც ას გვერდამდე იქნება, დიაგრამებით, ჩარტებით, ფოტო-ვიდეო მასალით და სხვა თვალსაჩინო თვალთმაქცობებით გაფორმებული, მაგრამ ეგრე არ დაგღლით და ორ სიტყვაში მოგიყვებით რას და რატომ ვგულისხმობდი.

არსებობს პოპულარული და არაპოპულარული კანონები და, სამწუხაროდ, ისე ხდება, რომ ხშირ შემთხვევაში პოპულარული კანონები ქვეყნისთვის საზიანოა და არაპოპულარული კი პირიქით. მაგალითად, კანონი დისკრიმინაციის შესახებ საჭიროა, მაგრამ რეზონანსული, რეზონანსულია და პარტიისთვის საზიანოა, საზიანოა და პარტია ზარალდება, ზარალდება და მირეკავს, რომ გამოსავალი ვიპოვო, მირეკავს და ვპოულობ გამოსავალს, რომელსაც დამოუკიდებელი კანდიდატი ქვია და აწ და მარადის ყველა არაპოპულარულ კანონს დამოუკიდებელი კანდიდატი გაუკეთებს ინიცირებას და იცხოვრებს პარტია უდარდელად და მე კი სქელი ჯიბეებით.

დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდაჭერას, რომლის გამარჯვება და მთელი ცხოვრება პარტიაზეა დამოკიდებული, სხვა უზარმაზარი ბენეფიტებიც აქვს, როგორიცაა ევროკავშირის ელჩების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სკეპტიკოსებისთვის პირში ბოლოკის ჩაჩრა. ოფიციალურად დამოუკიდებელ კანდიდატს და პარტიას არაფერი აკავშირებთ, მერე რა, რომ მის გასამარჯვებლად უზარმაზარი ადმინისტრაციული რესურსი და მთავრობის მიერ მიპრესილი ბიზნესის შემოწირული ფული დაიხარჯება, ფურცელზე პარტია სხვაა და დამოუკიდებელი კანდიდატი სხვა.

* * *

გალა მაგრად აგულავა ერთ-ერთმა სასტუროების კომპლექსმა, მთელი საქართველო შემოატარა, თან არაფერს განსაკუთრებულს არ თხოვდნენ, მხოლოდ ჩექ ინს და ალაგ-ალაგ ლამაზი ფოტოების დადებას, გალას კიდე ეგ ორი ისე გაუჯდა სისხლში, რომ სარკის წინ ფოტოს თუ არ იღებს ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა ეწყება.

მოურავთან კაჩაობის მერე ერთი-ორი დღე დასვენება ჩემთვისაც მისწრება იყო და გალას გაუფრთხილებლად დავადექი თავზე. აუზზე იყო და ვიდეოს იღებდა. მას მერე რაც ფიტნესსაც გადაწვდა, ყოველ კვირა დებდა ვლოგს, სადაც ას მეტრზე ცურვაში წინა კვირის შედეგს აუმჯობესებდა, ამჯერადაც ორი წამით აჯობა საკუთარ თავს და ესე თუ გავაგრძელე, სამ თვეში ოლიმპიურ რეკორდს მოვხსნიო.

სამწუხაროდ, სამი თვე აღარ გდაგვრჩა-მეთქი.

დღეში ასჯერ თუ არ გამახსენებ კარგი იქნებაო - ისეთი წყენით მითხრა რომ გული მომიკვდა.

ნომერში ავალ, გამოვიცვლი და მერე ერთ დიდ ბურგერს გააგლახავებდა კაცი, დღეს მგონი კი დავიმსახურეო.

მიდი-მეთქი.

ფეხები აუზში, ტვინი კი ფიქრში ჩავაწე. გალას მიმართ რაღაცნაირ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი, თან რომ ვხედავდი როგორი ნიჭიერი, მონდომებული და მიზანდასახული იყო, ქამინგ აუთის მერე გასაფუჭებლად და ისევ ძველ წუმპეში დასაბრუნებლად მენანებოდა. ჩემი კოლეგები მაგრად დამცინებდნენ ეს რომ გაეგოთ, გალა კი არა, ისეთი პოლიტიკოსები აგვიმაღლებია და მერე ისე უცბად დაგვინარცხებია, თან ისეთი ჰარდკორ ვიდეოებით, რომ ჩემი ლონგ რანში გათამაშებული პერფორმანსი იმასთან შედარებით მართლა ბავშური გასართობი იყო. ეს ყველაფერი მესმოდა, მაგრამ ეჭვები თუ სინდისი თუ რაც ქვია, მაინც მაწუხებდა, თან ვერ ვხვდებოდი რატომ, სიმართლე ჩემს მხარეს იყო, გალამ წინასწარ იცოდა რაზე მოდიოდა და რაზე აწერდა ხელს, მაგრამ ერთია იცოდე, რომ რაღაც მომენტში უნდა დაგანარცხონ და მეორე იმ მომენტის მერე რომ ველარასდროს აფრინდები.

არსებობს ეგეთი განათლების ცენტრივით რაღაც, მაგისტრატურას და ეგეთებს გიფინანსებენ, თავის სტიპენდიიან ჯიბის ფულიანად-მეთქი.

მერეო?

მერე მანდაც მყავს საჭირო ხალხი-მეთქი.

რო არ ვიცი რა მინდაო.

ეგრე დიპლომით მეც ხელოვნებათმცოდნე ვარ, მაგრამ უნივერსიტეტში რას ისწავლი, მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია ცხოვრებაში რა ცოდნას გამოიყენებ-მეთქი.

ეგეთი ცოდნა ამ ოთხ თვეში ბლომად დავაგროვეო.

ანუ არ გინდა-მეთქი?

მინდა, მაგრამ რა აზრი აქვს ცოდნას, თუ ვერ გამოიყენებო? - ცოტა ხანი ორივე გავჩუმდით. მერე ისევ გალამ იპოვე საჭირო სიტყვები -

იცი, რატომ არ ვარ მე ხელოვნების ნიმუშიო?

მეთქი, ეგ სიტყვების წყობა გულს მირევს.

კაი, იცი რატო არ ვარ არტიო?

რატო-მეთქი.

შენ ხო ამბობ რომ არტს დრო, კონტექსტი და სივრცე ჭირდებაო?

ჩემი მეგობრები უფრო, მაგრამ მგონი, მეც მაგ აზრზე ვარ-მეთქი.

ხოდა, აი დრო და კონტექსტი გასაგებია და სივრცეში იჭედებიო.

მეთქი, ვერ გავიგე.

ანუ აი სად იწყება ჩემში არტი და სად მთავრდება? ქამინგ აუთს რომ გავაკეთებ, მაგ დროს ვარ არტი თუ მაგ დროს ხდება არტი, ვინც ბოლო ექვსი თვე იცხოვრა, თუ მაგის მერე ვინც დარჩება ის იქნება არტიო - დავიბენი.

აი ტილო, ფუნჯი და საღებავი ავიღოთო.

მეთქი, მაიტა.

ეგ სამი ცალ-ცალკე ხო არაფერი არაა, სანამ ნახატი არ დაიხატება, ხოდა, ნახატი რომ დაიხატება, თუ მხატვარმა თქვა, ეს ნახატი არ არის არტიო და გადახია, რა გამოდის, სანამ ხევდა იქამდე იყო არტი თუ რაც დახია ისიც არტიაო?

ჩვენ შემთხვევაში სანამ არ დახევს, იქამდე არტი ვერ გახდება-მეთქი.

ხოდა ეგ ტილო მუზეუმში უნდა დაიკიდოს, ჰა და ჰა კერძო კოლექციაში, მე კიდე გადახეულმა უნდა გავაგრძელო ცხოვრება და მოდი ამიხსენი, ქამინგ აუთის მერეც შენი არტი ვარ თუ ჩემი ახალი მეო

გალა პირდაპირ მითხარი რა გინდა-მეთქი.

თუ გინდა, რომ სანაძლეო მოიგო, ჩემი ქამინგ აუთი არ არის საჭირო, პირიქით, იმად უნდა გავაგრძელო ცხოვრება, რათაც შემქმენი და ეგ იქნება მართლა ორიგინალური და მართლა პირველი ადამიანი იქნები, ვინც ცოცხალი არსებისგან ხელოვნების ნიმუში შექმნაო.

არტი-მეთქი.

არტიო.

არტი, რომელსაც ვერავინ გაიგებს რომ არტია-მეთქი.

შენ ჩამოყალიბდი რა გინდა, არტი, სანაძლეოს მოგება თუ საზოგადოებისთვის დაცინვაო.

სამივე-მეთქი.

სამივე არ გამოვაო - ისეთი ბოროტი სახით და ხმით თქვა ეს წინადადება, რომ მივხვდი, აწ და მარადის, ნებისმიერ ადამიანს გადაუვლიდა, ვინც კი ოდესმე გზაზე გადაუდგებოდა, ნებისმიერს, ოღონდ მე არა, მე ვერა, რაღაცნაირ პასიურ ბულინგში მყავდა, აი სკოლის ასაკში რომ გჩაგრავენ და მერე რომ აღმოაჩენ, რომ მთების გადადგმა შეგიძლია და რომ დგამ ამ მთებს ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ და მერე, წლების მერე, დილმის გზაზე ჩამწკრივებულ რესტორნებიდან ერთ-ერთში, სკოლის დამთავრების ათი ან თხუთმეტი წლის აღსანიშნავ იუბილეზე, პარალელურ კლასელს და მამაძაღლ მჩაგვრელს რომ ხვდები და მის წინ რომ მაინც იგივე ჩმორი ხარ, რაც სკოლაში იყავი, რაღაც ეგეთი ჭირდა გალას ჩემ მიმართ. ან ჩემი პირადი გამოცდილება მატყუებდა, ან არ ვიცი, მოკლედ, ამხელა წლობით დამალული ბულინგის ქამინგ აუთი დავდე და თქვენ კიდე მაინც გალას ამბებში მიძვრებით...

მოკლედ, ეგ არ არის მთავარი, მთავარი ისაა, რომ იმავე ღამეს სასტუმროს ოთახში, საწოლზე წოლად რომ ვიდე და თი ელ სი-ზე დოქტორ ნაზარდენის, მსუქანი... მაპატიეთ, ჭარბწონიანი პაციენტების დრამებით რომ ვლაღობდი და მინიბარის, მინიალკოჰოლურ სასმელებს რომ ტორნადოს ძალით ვნთქავდი, გალამ მომიკაკუნა და რაღაი მომიკაკუნა, გავუღე და რაღაი გავუღე შემოვიდა და რაღაი შემოვიდა, ისეთ უცნაური მიხრა-მოხრა და ტყლარწვა დამიწყო, მივხვდი, რაღაც არაპროგნოზირებადის გაკეთება უნდოდა და არაპროგნოზირებადი კიდე ცხოვრებაში ამინდი მეზარება და ქალი ხომ მითუმეტეს, და გალამ რომ სასტუმროს დაბრენდილი, თეთრი ხალათი გაიხადა, ჩემს ტვინში ალკოჰოლმა კი არ დაიწყო ჭექა და უშნო სისხლის მიმოქცევამ კი არ ამაფორიაქა, არა, პირიქით, მოქანდაკის პრაგმატი თვალი ჩამერთო და კარგად შევათვალიერე ჩემი სკულპტურა და შევაფასე ჩემი ინვესტიცია და თქმად კი ერთი სიტყვა ვთქვი:

ჩაიცვი!

და ჩაწყდა რაღაც ძალიან დიდი გალას შიგნით და გაქვავდა რაღაც მძლავრი გალას სახეზე და იმხელა ენერგია გაჩერდა მის ძარღვებში, რომ წამით მართლა ქანდაკებას დაემსგავსა და სხვა ათი და ათასი თუ მის ადგილას გატრიალდებოდა და წავიდოდა და ტირილად დაემხობოდა საკუთარ ბალიშზე და ანდაც რაიმე სხვა დარდის გამქარვებელს იპოვიდა, გალამ ასკეტური სიზუსტით შეასრულა ჩემი თხოვნა თუ მოთხოვნა და მოიცვა ხალათი და მივიდა მინიბართან და გამოიღო იგივე სასმელი, რასაც რომ მე ვსვამდი და ბოთლი ბოთლს მომიჭახუნა და გაგიმარჯოსო, მითხრა.

და ნებისმიერი სიტყვა ან სიტყვათა წყობა, ან წინადადება, ან ბოდიში, ან მაპატიე ან რაც არ უნდა ამოსულიყო ჩემი პირიდან, უფრო მეტად დაამძიმებდა სიტუაციას და ამიტომ დუმილში ჩავენე და გალამ ჩაცალა ბოთლი და დადგა მაგიდაზე და გავიდა ოთახიდან, და ალბათ ჩემი ზეგავლენის სფეროდანაც.

## 6

რამდენიმეწლიანი ლოდინის, რემონტის და რესტავრაციის შემდეგ როგორც იქნა ოპერისა და ბალეტის თეატრი ისევ დაუბრუნდა მაყურებელს, და დაუბრუნდა როგორც ყოველთვის აბესალომთან და ეთერთან ერთად, და ქალაქში თუ ვინმეს რამე ბეწვის ქურქის მაგვარი რამ ჰქონდა, იმ საკრალურ საღამოს ყველა ოპერაში იყო და იქ იყვნენ საბჭოთა ინტელიგენციის სამუზეუმო ექსპონანტები, მინისტრები, პარლამენტარები, მღვდლები, ეპისკოპოსები, ჟურნალისტები და ალაგ-ალაგ იყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნენ ისეთებიც, ვისაც საჭირო ხალხის წყალობით როგორღაც დაეთრიათ ოქროს ასოებით მოჩუქურთმებული მოსანვევი, მაგრამ ეგეთი ხალხი სათვალავში არ ჩავაგდოთ, ეგენი ხომ მესამე და, ჰა და ჰა მეორე იარუსზე ისხდნენ, და პარტერში, ამფითეატრში და ჯანდაბას, ბენუარის ლოჟებში მყოფი ხალხისგან განსხვავებით ვერანაირ ამინდს ვერ ქმნიდნენ ჩვენს ქვეყანაში. ეგ კი არა, ამ ამინდის შემქმნელებს ეგება და ფონის შესავსებად დაქირავებული ხალხიც კი ეგონათ, აი ისეთი ხალხი, აქციების, მანიფესტაციების და საჯარო გამოსვლების დროს რომ ვქირაობთ ხოლმე.

მრავალწლიანი ლოდინის შემდეგ ვოლდემორივით მოიქნია დირიჟორმა ჯოხი და ალოჰამორა, განიხვენა ფალიაშვილის მუსიკის კარი და შეწყდა გადალაპარაკებ-გადმოლაპარაკებები დარბაზში და ამ ყველაფერს ჩვენს ამბავთან ნესით, არანაირი კავშირი არ უნდა ჰქონოდა, ბედის უკუღმართობით ისე რომ არ მომხდარიყო, რომ ჩვენი ბუსებრი პოეტი, ჩვენს მამა-მარჩენალთან, ბატონპატრონთან და მთავარ დამკვეთთან ერთად რომ არ აღმოჩენილიყო ამფითეატრში და თან ზუსტად ორი რიგით უკან და მერე კი ანტრაქტის დროს ნაგლად რომ არ მიეჭრა მასთან და ისეთები არ ელაპარაკა, როგორებიც ილაპარაკა და ილაპარაკა თურმე ზომიერად და ამ ზომიერ ლაპარაკში, მლანძღა უზომოდ და მთათხა და მოყვა ყველაფერი, რაც ბატონის ახალ მოურავს დავმართე და მერე კი თურმე ისეთი კითხვებიც დაუსვამს, როგორი კითხვებიც ეგება და მთელი ეს დრო თქვენც განუხებდათ, მაგრამ თქმას კი ვერა ბედავდით და კითხვები კი იყო ესეთი - მომგვარებლები რომ ყველას უგვარებენ, თითონ მომგვარებლებს ვინ უგვარებსო?!

სანდო წყარომ მითხრა, ბატონს ამაზე ჩასცინებია, მაგრამ ეგ ღიმილი მაშინ გაუქრა სახიდან, როდესაც ბუსებრმა პოეტმა და დრამატურგმა, შენზე სთქვა, მაგან უკვე ძალიან ბევრი იცის, უმართავი გახდა და თავი მართლა დემიურგი ჰგონიაო.

დემიურგის მნიშვნელობა ბატონს ხეირიანად არა სცოდნია, მაგრამ რაღაცნაირად მუქარის შემცველი სიტყვა რომ იყო, მაგდენს კი მიხვდა და ცოდვა გამხელილ სჯობია, ძველ ბერძნულ სიტყვებში მეც კაი სუსტი ვიყავი, მაგრამ ჩემმა კოლეგებმაც რომ მიხსენეს  დემიურგი" მუქარანარევ დიალოგში, მერე დავგუგლე და გავარკვიე რაც ყოფილა და მერე მივხვდი, რატომ გადანყვიტა ბატონმა ჩემი მოშორება და ეხლა ეს ამ სიგრძე ნინადადება როგორმე რომ შევკრათ და თან როგორმე თქვენს კითხვასაც რომ ვუპასუხოთ, გეტყვით, რომ ეგეთი პროფესია, მომგვარებლების მომგვარებელი არ არსებობს. მომგვარებლებს ისევ მომგვარებლები უგვარებენ და დემიურგზე ლაპარაკის დროს ჩემმა კოლეგებმა ისიც ახსენეს, რომ ანი მეც მოგვარებული მქონდა და ტროლების ფერმა აღარ იყო ჩემი საქმე და კარს მომდგარი საპარლამენტო არჩევნები ხომ მითუმეტეს და ანი მე გადავდიოდი ერთ-ერთ მარეგულირებელ უწყებაში სამუშაოდ, რაც იმას ნიშნავდა, რომ გავდიოდი იძულებით პენსიაზე, მართალია ღირსეული, თვეში რამდენიმე ათასიანი პენსია და თავზე საყრელი დრო მექნებოდა, მაგრამ ასევე მექნებოდა მუდმივი შიშის განცდა, რომელიც ყველა იმ ადამიანს აფორიაქებს, რომელმაც ზედმეტი იცის და საჭირო კი აღარ არის.

ამ შიშებს როგორმე გავუმკლავდებოდი, მაგრამ ჩემს აწ უკვე ყოფილ კოლეგებს შეშინებასთან ერთად ჩემი ბოლომდე გაფარჩაკება და დამცირებაც ჰქონდათ გადაწყვეტილი და სანამ ლეპტოპიდან, ტელეფონიდან, გარე ვინჩესტერებიდან და ქლაუდ სერვერებიდან, პენსიონერი კაცისთვის თავის გადასარჩენად საჭირო ყველა ხელჩასაჭიდ ინფორმაციას მინადგურებდნენ, მინადგურებდნენ თვითშეფასებასაც და მეუბნებოდნენ -

ჩვენს სანაძლეოს რაც შეეხება, ეგ ამბავიც დამთავრებულია.

რას ნიშნავს-მეთქი.

რას ნიშნავს და, გილოცავ, მოიგე, მაგრამ ქამინგ აუთზე, გალასთან ერთად მუშაობაზე და ეგეთებზე აღარ იოცნებო, ძალიან გვიხარია რომ საქმის ყველაზე რთული ნაწილი შენ შეასრულე და ესეთი გადასარევი პერსონაჟი დაგვახვედრე და დანარჩენს ანი ჩვენ მივხედავთო.

მეთქი, რა დანარჩენს?

ოო, მაგას მალე გაიგებო.

ფილეას ფოგის ნიძლავი ხო არ დაგავიწყდათ-მეთქი.

ჩვენ არ დაგვვიწყებია, მაგრამ შენ ისეთ დღეში ხარ, ეხლა მაგაზე არ უნდა ფიქრობდეო.

ჩასაბარებელი უნდა ჩაბარდეს-მეთქი.

ძველი მეგობრობის ხათრით, ჯანდაბას შენი თავი, მარეგულირებელში რომ გადახვალ, პრემიის სახით ჩაგერიცხება ეგ ფულიო.

ხოდა, ეგრე-მეთქი.

ხოდა, ეგრე კი არა, თავი ჩახარე და ეს ბოლო წლები რაც იცხოვრე, დაივიწყე, ვაიდა ისე არ მოხდეს, რომ პირიქით აქეთ შენ დაგივიწყოს ყველამო.

* * *

აი ესე, მომგვარებლიდან დამრეგულირებლად ჩამომაქვეითეს. ცოტა ხანი მაკვირდებოდნენ, ხო კარგად ვიქცეოდი, ზედმეტს ხო არ ვტლიკინებდი ან რამე უფრო მაიმუნური გეგმები ხომ არ მქონდა ტვინში და სადღაც ორ კვირაში, ვერც ერთი ოპოზიციური პარტიის ოფისთან რომ ვერ შემამჩნიეს და ვერც ჩემს სატელეფონო ზარებში და მეილებში რომ ვერ იპოვეს რაიმე საეჭვო, თავი დამანებეს, თან ალბათ ჩემთვის აღარც ეცალათ, წინა საარჩევნო ისტერიკები დღე-დღეზე იწყებოდა და პარტიული თუ მაჟორიტარული სიით წარსადგენი ოღრაშებისგან, სუპერ მოკლე დროში, როგორმე პოლიტიკოსთან მიმსგავსებული პერსონაჟები უნდა გამოეთალათ.

მარეგულირებლებს, რომლებიც ძირითადად გადამდგარი პოლიტიკოსები, ქალაქის ყოფილი მერები, სისტემისგან ხელშეწმენდილი პოლიციის მაღალჩინოსნები ან ბატონისგან რაღაცით ათვალწუნებული და ჯერ რომ ვერ მოუფიქრეს რა უქნან, მაგრამ ცოტა ხნით რომ უნდა მოაკეტინონ, ისეთი ტიპები იყვნენ, ერთი ოქროს წესი ჰქონდათ, პოლიტიკაზე არც ფიქრობდნენ და არც ლაპარაკობდნენ, აი ძალიან ზემოთ ნახსენებ სუს-ის მაღალჩინოსანს, რომლის მარეგულირებლად ჩამოქვეითება ჩემი უშუალო ჩართულობით მოხდა, სახლიდან ფლეისთეიშენი ჰქონდა მოტანილი და მთელი დღე საფეხბურთო ჩემპიონატებს ვატარებდით.

სუს-იდან დაქვეითებული თავიდან ყოველ ჯერზე მიბღვერდა და მის მიმართ ჩემი დანაშაულის შესახსენებლად განზრახ მაძლევდა გაფუჭებულ ჯოისტიკს, მაგრამ მერე მერვედფინალური მატჩის თხუთმეტწუთიანი შესვენებაზე, ირიბად გადაეუკარი, რომ მის ცოდვებზე მეც ბევრი მსმენოდა და შეიძლება ერთი ისეთი ამბავიც კი გამეხსენებინა, რომლის გამოც, აი იქვე, გვერდით ოთახში მჯდომი მარნეულის ყოფლილი მერი, ამ ღვთისგან დავიწყებულ ადგილას აღმოჩნდა და ტვინი რომ დამეძაბა, იმ დიალოგსაც სულ დაწვრილებით გავიხსენებდი, თუ როგორ უპირებდა სოფლის მეურნეობის ყოფილ მინისტრს და ამჟამად ფეხბურთში მის იდეალურ მეწყვილეს დაჭერას და ნასუსარმა გაიღიმა და თქვა -

აქაო ყველა ეგეთი ცოდვილი ვართ, შენ რო მე დამაქვეითე და მე რო მარნეულის მერი, მარნეულის მერმა თავის მხრივ აი, ეგ სოფლის მეურნეობის მინისტრი გააფუჭა, მიწის მოხვნა-დათესვის სუბსიდიების შეჭმის ისეთი უტყუარი ფაქტები დამიდო, მეტი რომ არ შეიძლებოდაო და ამ ჩემის კარგის მინისტრმა ციხეს მხოლოდ იმით დააღწია თავი, რომა, სახელმწიფო ტელევიზიის დირექტორთან მეგობრობს და ეგ დირექტორი კიდე რატომღაც ბატონს ნამეტანი გულში ჰყავს ჩავარდნილი და ისეთი ფართო კალთის ქვეშ მოიქცია, რომ მაგ კალთის ნაკუწები, ამ ნამისტრალისნაირ წვრილფეხობასაც სწვდება და... ისე, მაგ ჩემისამ, რანაირი სისტემა შექმნა, კა გე ბე-ს შეშურდებოდა ჩემმა მზემო.

ეს არის ახალი, ოცდამეერთე საუკუნის კა გე ბე-მეთქი.

და ეეეჰ, ზედმეტები მოგვდის, ვინმემ არ გაგვიგოს, ჩვენ ხარჯზე ისევ არ დაწინაურდესო და ამის თქმაზე ორივეს გაგვეცინა და გადავბჟირდით და თუ თქვენ დიდად ვერ ილაღეთ ამ ხუმრობაზე, აქვე პატარა ახსნა-განმარტებას მოვაყოლებ და გეტყვით, რომ მარეგულირებელი ისეთი ფსკერია, მაგის მერე ჰა და ჰა, დაცვის პოლიციელად დაგაქვეითონ. ზემოთ ყველა გზა მოჭრილია და აი ეგ მოჭრილი გზები იყო ჩვენი ისტერიკული და შიშნარევი სიცილის მიზეზი და გავუწოდე ჩემი მარჯვენა და შენდობა ვთხოვე და ჩამომართვა ხელი მძლავრად და ერთ ნავში ვართ, რაც მოხდა, მოხდაო, მითხრა და მას მერე შევკარით ისეთი ძლიერი საფეხბურთო დუეტი, რომ სულ მალე უწყებათა შორის სამგზის ჩემპიონები, საუკეთესო ბომბარდირები და რეალური ცხოვრებიდან სრულიად მოწყვეტილი ტიპები გავხდით. მაგრამ რა სისწრაფითაც ცდილობ, რომ რეალობას გაექცე, იგივე და შეიძლება უფრო სწრაფი და ჰუსეინ ბოლტის ტემპით მოგსდევს ცხოვრება და სანამ უკან არ იყურები, გგონია რომ ყველაფერი კარგადაა, მაგრამ ჰუსეინ ბოლტი სწრაფია მაშაძაღლი, და დგება ის დღე, როდესაც რეალობა წინ გადაგეღობება და წინ გადაგეღობება ქალაქის კედლებზე ხატებად გაკრული პოლიტიკოსთა პლაკატების სახით და გადაგეღობება ისე სახტად, რომ ამ პოლიტიკოსთა პლაკატებს შორის გალას სახეს დალანდავ... გალას სახეს... პოლიტიკოსთა პლაკატებს შორის... გალას სახეს... გალას, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე დამოუკიდებელი კანდიდატის სახეს... პოლიტიკოსთა პლაკატებს შორის... გალას... სახეს... პოლიტიკოსთა პლაკატებს შორის...

## 7

გალა ჩემი პროექტია, ჩემი ინტელექტუალური საკუთრება, ჩემი საყდრისი", გალა დაცულია იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსით და ერთი ისეთი ვიდეოთი, რომელიც რომ სულ ბოლომდე წერტილს დაუსვამს როგორც მის, ასევე ჩემი ყოფილი კოლეგების კარიერას და ბატონის დამხობას თუ ვერა, ყვერებზე მძლავრად მოქაჩვას მაინც მოახერხებს და დამეთანხმებით, რომ საყრდენგამოცლილი, დალურჯებულყვერებიანი შოგანი დიდი ვერაფერი ტირანია და ეგეთები ეგებ მართლა არჩევნებითაც კი გადააგდოს მოსახლეობის იმ ნაწილმა, დემოკრატიის ჯერ კიდევ რომ სჯერა და ვერა და ვერ მიმხვდარა, რომ ავტოკრატია არჩევნებით არ მიდის... არა!

ავტოკრატია ორ მარტივ პრინციპზე დგას - შიშზე და შანტაჟზე და იმდენად, რამდენადაც ადამიანს ყველაზე მეტად საკუთარი თავის ეშინია - აშინებ იმით, რომ იცნობ, იცნობ ისეთს, როგორიც იყო, იცნობ ისეთს, როგორიც არის, როგორიც სხვამ არ იცის და აი ახლანდელი ბატონის შემთხვევაში კი ავტოკრატიულ მმართველობას მიჯირყვნის კიდევ ერთი ინსტრუმენტი დაემატა, მსხვერპლს ფულს აძლევ, აძლევ უხვად და ოღონდ კი ვალად, და აძლევ შენი ბანკიდან და აძლევ იმ პირობით, რომ, ამ ნასესხებ ფულს წინასაარჩევნოდ თავის კანდიდატურის გასაპიარებლად დახარჯავს და დახარჯავს ნაწილს, ხოლო მეორე ნაწილს მოახმარს პარტიას და მოახმარს ბატონს და მოაწერს უმაღლეს საპროცენტო განაკვეთს ხელს, ისეთ უმაღლესს, რომელსაც რომ სესხის ძირი ჩინოვნიკობის ოთხწლიან პერიოდში ვერა და ვერ დაეფარება და ამიტომ უწევს ჩინოვნიკს, რომ სკამს, მეორე და ეგებ მესამე ვადითაც ჩაებღაუჭოს და ამიტომ ეშინია ჩინოვნიკს ბატონის და თან იცის ჩინოვნიკმა, რომ ბატონს მასზედ, იმაზე მეტი კომ-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრომატი, ვიდეო, აუდიო და ფოტო მასალა აქვს, ვიდრე ერთი რიგითი მონის გაფუჭებას სჭირდება და ეგებ ისიც იცის ჩინოვნიკმა, რომ სავარძელში ჯდომის დროს ერთი-ორჯერ ქრთამიც აქვს აღებული და ალბათ იმასაც ხვდება, რომ ამ ქვეყანაში ქრთამს მხოლოდ ბატონისგან მოგზავნილი ხალხი გთავაზობს და ალბათ სადღაც იმასაც იაზრებს, რომ ქრთამი საციხო საქმეა და უფრო მეტად საციხოა გაყალბებული და ცოლიურების სახელზე გაფორმებული კომპანიებისთვის მიცემული ტენდერები, მაგრამ რა ჰქნას ჩინოვნიკმა, უძიროა ჩინოვნიკის მუცელი და თან ბანკის ვალი აქვს დასაფარი და იქნებ ისეთი ჩინოვნიკებიც კი არსებობენ, ბატონთან დაახლოების დღეს და საათს რომ სწყევლიან და აბაზანაში წყლის ჭავლის ქვეშ რომ ჩუმად დგანან და კვნესით სტირიან და რომ არ აქვთ გასაქცევი არსად და რომ არიან შიშად და ძრწოლად ქცეულნი ბატონის წინაშე და სადღაც თეორიულ მომავალში, რონინად დარჩენილებს, სამ ციხეში ჯდომა ურჩევნიათ, ვიდრე აქ და ახლა ბატონის ყვირილის მოსმენა და ბრიალა თვალების წინ ერთი-ერთზე დგომა.

აი ეგ განსხვავებაა რა გინდა რა მაღალ ჩინოსან ჩინოვნიკსა და რიგით, ან უკვე გადამდგარ მომგვარებელს შორის. იმდენად, რამდენადაც თამაშის წესები მომგვარებლის მოგონილია, მომგვარებელი სუფთაა, თხემით ტერფამდე და მომგვარებელს არ ეშინია, არც წარსულის და არც აწმყოსი, ერთადერთი უცაბედი და ყოვლად მოულოდნელი სიკვდილის შიში აქვს მომგვარებელს, ეშინია ძილის წინ გაზქურა არ დარჩეს ჩართული, ანდაც მის მანქანას მოლიპულ გზაზე მუხრუჭებმა არ უმტყუნოს, ანდაც შემთხვევით რამე მაიმუნური ნარკოტიკი არ ჩაუდონ ჯიბეში და ისეთების გვერდით არ გამომაწყვდიონ ციხეში, ვის დაჭერაშიც დიდი თუ არა პატარა და მნიშვნელოვანი წვლილი მაინც მიუძღვის.

და მიუხედავად იმისა, რომ მომგვარებელი, თუ გინდ ყოფილი, ამ ყველაფერს მშვენივრად იაზრებს და ხვდება, რა ვიწრო ბეწვის ხიდზე იდგა მთელი ცხოვრება და როგორ ნელ-ნელა უთხელდება ძაფი ფეხქვეშ, მაინც კარგავს სიფხიზლეს და სალი განსჯის უნარს. რამეთუ, მარეგულირებელი ეგეთი ადგილია, სადაც რომ დუნდები, დუნდები ისე როგორც ახალგაზრდა მამრები დუნდებიან დაოჯახების პირველ თვეებში და თუ ამათ, მამრებს, მოდუნებისგან მხოლოდ წონა და თეძოში ქონი ემატებათ, ყოფილ მომგვარებელს პირიქით, ბევრი რამ აკლდება და აკლდება უპირველეს ყოვლისა ჭადრაკული აზროვნების უნარი და ზმორებად ქცეული, პირველ, მეორე, მესამე და ეგებ მეხუთე სვლასაც კარგად ალაგებს, მაგრამ აი ქიშამდე და მითუმეტეს შამათამდე მისვლა უჭირს.

და პირველი სვლა და პირველი შეცდომა, არასწორი ადამიანის ნდობა იყო... არა, პირველი შეცდომა ზოგადად ვინმესთვის ნდობის გახსნა იყო და მეორე შეცდომა იყო, სუს-ის ყოფილი მაღალჩინოსნის, ფეხბურთში იდეალური პარტნიორის, მაგრამ ჩახლართულ გეგმებში, ნამეტანი ზედაპირული ადამიანის საქმეში გაყვანა.

მესამე შეცდომა ყველაზე ფრაერული და ოროსნული იყო, რაღაც ისეთი კვანძი ჩავხლართე, რომლის გახსნის ინსტრუქცია მე თვითონაც არ ვიცოდი და ლოგიკურია, რომ არ ვიცოდი, ამ ხლართის გამოფსკვნის შემდეგ რამდენად მოგებული დავრჩებოდი და არც ის ვიცოდი, რომ არიან ისეთები ვიღაცეებიც, ვინც კვანძებს კი არ ხსნიან, არამედ ბასრი დანებით და კატენებით სულ ნაკუწ-ნაკუწ აქუცმაცებენ, როგორც სუ-შეფები აქუცმაცებენ ქორიანდერს..

მეოთხე შეცდომა ბოლომდე შეცდომა არ იყო, მეტიც, შეიძლება ვინმე წესიერ ადამიანს, ჩემი მხრიდან ნამეტანი პატრიოტულ ნაბიჯადაც კი აღექვა, მაგრამ რამდენადაც პატრიოტიზმზე მეტად, მერკანტილური და პრაქტიკული მიზნები მამოძრავებდა, მაინც შეცდომად მეთვლება და შეცდომად მეთვლება თუ გინდ იმ მორალური გადმოსახედიდან, რომელი მორალითაც მართალია არასდროს მიცხოვრია, მაგრამ ამ ჩვენი ჩახლართული ამბის დასრულებისთანავე ნამეტანი შემაწუხებს და ეგებ მცირე დეპრესია, სეროტონინის დაგდება და ისეთი უცნაური წამლების მიღებაც კი დამაწყებინოს, რომლის სახელებიც შემინდეთ და, არ მახსოვს, და ჩანთა კი, რომელშიც წამლის რეცეპტებს ვინახავ ეხლა ცოტა მოშორებით მიდევს და წვდად და მიწვდენად არ ღირს, როგორც არ ღირს მომავალში მოსახდენ ამბებზე დროის დახარჯვა და წუწუნი ჩემი მხრიდან და სამაგიეროდ ღირს იმის თქმა, რომ როდესაც მე აბლაბუდების ქსელებს ვთრთვილავდი, ქალაქის მთლად ცენტრალურ მოედანზე ისევ პერმანენტული აქციები იყო და დიდად თუ არ ვიცოდი რას და რატომ აპროტესტებნენ, სამაგიეროდ ვიცოდი ვინ იყვნენ ამა აქციების ორგანიზატორები და მათ შესახებ ისეთებიც ვიცოდი, დიდად რომ არ უნდა მცოდნოდა, და ვიცოდი მათი მიზნები და დარდები და ტკივილებიც კი და ეს ხალხი იყო ნამეტანი უცნაური, ზედმეტად ახალგაზრდა, პარტიით - უპარტიო, მორალით - წესიერი და შეგნებით - მოუსყიდავი და ეს სიმპტომები კი სისტემის პერმანენტულ თავის ტკივილს და ეგრე განსაჯეთ, შაკიკსაც კი იწვევდა და ზუსტად ეგეთი ორთოდოქსი ლიბერალები მჭირდებოდნენ ახლა და ზუსტად ეგეთებს ვჭირდებოდით მე და ჩემი ფეხბურთის პარტნიორი, და ჩვენ ვთავაზობდით, რომ სულ რაღაც რამდენიმე წერილის მიწერ-მოწერით მსოფლიოს მთავარ სოციალურ ქსელს დომინოს ფიგურებივით მიყოლებით და რიგრიგობით დავახურინებდით სამთავრობო ტროლების ფერმას და გამოვამზეურებინებდით ამა ფერმების დამფუძნებლების და დემიურგების სახელებსა და გვარებს და პლუს ამას, სულ რამდენიმე კვირიანი შრომის თავზე ისეთ ბასრ აპლიკაციას ჩავაბარებდით, რომლის კომპიუტერზე დაყენების შემთხვევაში, სოცქსელებში მოხეტიალე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქე იუზერი სულ ნათლად დაინახავდა ვინ ტროლი იყო და ვინ მასსავით რეალური და მატერიალური არსება და ვისთან ღირდა ხმალდახმალ დუელი და ვისთვის თავის არიდება.

ღმერთი არ გაგიწყრეთ და არ გეგონოთ, რომ რომელიმე სამთაერობო ფეისბუქ გვერდის პაროლი ან ადმინის სტატუსი შემარჩინეს, არაფერი მსგავსი, უბრალოდ აი ეგ სამთავრობო გვერდები სულ ჩემი ხელით მაქვს ზოგი გახსნილი, ზოგი ნაყიდი, ზოგი სახელგადარქმეული და ა.შ. სულ ჩემი დაკვეთით გაკეთებული ვირუსებით არის მილიონობით ადამიანი ისეთ უდღეურ ჯგუფებში შეყრილი, როგორიცაა ტანკლი ტუნკლი ტანკლები", ჩვენ გვიყვარს ჩვენი პატრიარქი" და ჯორჯიან მამსი". სულ ჩემი გეგმით და დაკვირვებით ინრთობოდნენ ფეისბუქ ტროლები და ნარჩევ-ნარჩევი პროსახელისუფლებო ავტორები და რა გასაკვირია ოდესღაც წინდახედულ კაცს, ყველა ამ ფეიჯის, ჯგუფის და იუზერის კოდში რომ მცირე რამ ბომბი ჩამედო და ეს ჩადებული ბომბი კი ერთი შეხედვით ისეთი მარტივი, ისეთი ბუნებრივი და არასაშიში იყო რომ ტროლ ფერმების ახალმა დირექტორებმა და ახალმა მომგვარებლებმა ყურადღების ღირსადაც არ ჩათვალეს და ერთ მშვენიერ დილას, ფეისბუქის ადმინისტრაციისგან ასობით წერილი რომ დახვდათ ელ-ფოსტაზე და ამ წერილში სულ წვრილ-წვრილად რომ იყო ახსნილი მათი სოც. ანგარიშების დახურვის მიზეზები და შედეგები, მხოლოდ მერელა გაიაზრეს, რომ ყველა ამ სამთავრობო გვერდს, ტოპიუზერს და პროსახელისუფლებო ავტორს ერთი რამ აერთიანებდა, ისინი საინფორმაციო სააგენტოებად, პრესის თანამშრომლებად და ზოგადად სალი და თავისუფალი აზრის გამავრცელებლებად იყვნენ დარეგისტრირებული და თუ თქვენ, თქვენი პირადი ექაუნთით ათასი მაიმუნობის და მარაზმის გავრცელება უმტკივნეულოდ შეგიძლიათ, მათზე სულ სხვა წესები და კანონები მოქმედებს და თან მითუმეტეს ეს ტროლები, ჩემი ნასვლის შემდეგ, ყველა გაკუებას პოსტავდნენ და ბუსტავდნენ და ასპონსორებდნენ და იმაზე მეტად იქცევდნენ ყურადღებას, ვიდრე, ინსტაგრამის ყოვლად დაუმსახურებელი ინფლუენსერები და ამიტომ აი ესე მარტივად და რიკინრიკინით დაიხურა დეზინფორმაციის და ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ შავია პიარის კეთების ბრალდებით რამდენიმე ათასი ექაუნთი, რამდენიმე ასეული ფეიჯი და რამდენიმე ათეული ტოპავტორი და ახლა ხომ დააფასებთ ამ ავტორების გვერდით დასმული მიკროფონის სმაილიკის და ლურჯი ვარსკვლავის ძალას და ეხლა ხომ მაინც მიხვდებიან ჩემი ყოფილი დამკვეთები, რომ პროფესიონალებს პანდებით ვერ ჩაანაცვლებ და პანდებს კი პირიქით. ერთნი ზოოპარკში, დაცულ ტერიტორიებზე და, ჯანდაბას ველურ ბუნებაში უნდა იყვნენ, მეორენი კი მომგვარებლის ბზრიალა, ზრიალა და კრიალა სავარძელში.

გეგმის პირველმა ნაწილმა იდეალურად ჩაიარა, სოციალურ ცელს გადარჩენილ ყალბ იუზერებს, გუგლ ქრომის მარტივი ედ ონით და ისეთი მაიმუნი ექსტენშენით ვებრძოდით, რომელიც რომ ტროლების ლუსტრაციას კი ახდენდა, მაგრამ სანაცვლოდ კაი-კაი ღირებული ინფორმაცია გაჰქონდა მთავრობის მიმართ ნეგატიურად განწყობილი მომხმარებლის კომპიუტერიდან და ჩემი მთავარი მიზანიც სწორედ ეგ იყო და სწორედ მაგიტომ დავგეგმე ამხელა ფარსი და სწორედ მაგიტომ წავედი ამხელა რისკზე რომ: ა) ჩემი ყოფილი მამა-მარჩენლებისთვის მეჩვენებინა, თუგინდ განულებულსაც კი, რამდენი რამის თავი მაქვს და ბ) ისევ იგივე მამა-მარჩენლებისთვის რაიმე ღირებული მქონოდა შესათავაზებელი... მაგრამ... მაგრამ, ეგრე სწრაფადაც ნუ აიცრუებთ გულს და ნუ გადაწყვეტთ, რომ ბოლომდე არაკაცი და არარაობა ვარ, თუმც არც მაგ ორის გაჭირვება მქონია ოდესმე, მაგრამ... სადღაც პირველ თუ არა მეორე გვერდზე, ეგებ გოეთეს ციტატის ინტერპრეტაციით გაგაფრთხილეთ კიდეც რანაირი ძალის ნაწილი ვარ... მოკლედ, ჩემს რაობას გადავახტეთ და ამბავს ბოლომდე გავყვეთ. ა და ბ პუნქტი ჩემი გეგმის და ჩემი ფარსის ქვე გეგმა და ქვეფარსი იყო, დრამატურგიაში არის ეგეთი ცნება, ხილული და ფარული მოტივაცია ჰქვია და ჩემი თუ არ გჯერათ, ბუსებრ პოეტსა ჰკითხეთ და ის აგიხსნით, როგორ და რანაირად მუშაობს იდეალური პერსონაჟი და მეც როგორც რამე კარგი ფილმიდან გადმოვარდნილ მთავარ გმირს, ხილულ მოტივაციად ძველი სტატუსქვოს აღდგენა მქონდა დასახული და ფარული მოტივაცია კი, აი, ზემოთ ნახსნები შეცდომის ნაწილი და ისეთი წვრილი ძაფი იყო ჩემს ხლართში, რომელიც თუ გაამართლებდა, კაი შორს გამიქნევდა და თუ არადა ისე ცუდად დავამთავრებდი, როგორ ცუდადაც მარეგულირებლიდან კიდევ უფრო ქვემოთ დაქვეითებული ხორცმეტები, ანუ ჩემნაირები ამთავრებენ.

## 8

ისე, დაკვირვებიხარ, არის მომენტები, როცა სარკეში ვიყურებით და საერთოდ არა ვგავართ საკუთარ თავს, და მერე, ერთი ხელის მოსმით, აჩეჩილ თმებს გავისწორებთ და თითქოს თმასთან ერთად ყველაფერი სწორდება, ლაგდება და თითქოს რაღაი თმა ისე გვაქვს როგორსაც თვალი მიეჩვია, ცხოვრებაც რაღაცნაირ, განსაზღვრულ კალაპოტში ჯდება და ისე ვაგრძელებთ არსებობას, გეგონება დარდს რასმეს და განსაცდელს საერთოდ არასდროს შევუწუხებივართო.

მეთქი, რა ჯადოსნური მომენტი დაგიჭერია ჩემმა მზემ, რამხელა სიბრძნე ჩაგიტევია ერთ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში და სარკეში ერთი ჩახედვით რამხელა ფილოსოფიური დასკვნამდე მისულხარ-მეთქი.

ფილოსოფია არ ვიცი, მარა ამ შენმა პარიკმახერშამ ნამეტანი ამღირჯნა, ესეთ ჩემ თავს ვერ იქნა და ვერ ვგუობო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთქი, დარწმუნებული ვარ, მთელი ცხოვრება ნანეტს იჭრიდი და მაგის ბრალი იქნება-მეთქი.

თმას სულ დედაჩემი მჭრიდა, პირველად უცხო ადამიანმა ჯარში შემკრიჭა და ჯარში ხო ხვდები, როგორც გკრეჭენ, ერთ თარგზე და ერთ სტანდარტზე და მერე, ორი წელი რომ სულ აკვანში გაბრტყელებულ თავებს და ამ თავზე თმის სულ ერთნაირ ფორმებს უყურებ, რაღაც სტაბილურობის განცდა გაქვს და აი მაგ სტაბილურობის შენარჩუნება მინდოდა მთელი ცხოვრება და მაგიტომ ვიჭრიდი, ნანეტს თუ რაც ქვიაო.

მეთქი დღეს ბრძნად ხარ დამდგარი, ჩაინიშნე ეგ ყველაფერი, შენი ცხოვრების დაოს ნუ გაანიავებ-მეთქი.

ეეჰ, დაო რომ გვეხილა, დაო არ იქნებოდა უცვლელი. სახელი რომ გვებოძა, სახელი არ იქნებოდა უცვლელი. ჭეშმარიტად ვინც დაიპყრა ვნებები, იხილა დაო დაფარულისაო - გაკვირვებულმა რომ გადავხედე, გაკვირვებულმა გადმომხედა -

რა იყო, პოლიციელებიც ვკითხულობთ წიგნებსო.

აფერუმ, დიდად გამაკვირვე-მეთქი.

ჯერ სად ხარ, უკეთ რომ გამიცნობ უფრო და უფრო გაკვირვებული დარჩებიო - მითხრა და ხელი მხარზე მომიცაცუნა. არა, არ დამკრა, არც ჩამკრა - მომიცაცუნა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და აი, ისე კი არ მომიცაცუნა ბებიები და ბაბუები რომ გვიცაცუნებენ ხოლმე, ისე მომიცაცუნა, ღამის კლუბებში რომ ჩურებს ვუცაცუნებთ, უფრო ღრმად ჩუცუცუნების იმედით.

მარეგულირებლის შენობის სახურავზე ვისხედით, იმიტო კი არა რო რომანტიკა ან რამე ლამაზი ხედი გვეშლებოდა, უბრალოდ ერთადერთი ადგილი იყო, სადაც წყნარად შეგვეძლო ლაპარაკი და ვლაპარაკობდით და თან რომელიღაც აზიური ფასტ ფუდის ლაფშას ვაგლახავებდით. ხინკალზე გაზრდილ ჩემს მეგობარს ლაფშას საჭმელად განკუთვნილი ორი ჯოხი ისე მოუქნელად ეჭირა ხელში, როგორც ლატვიელ ტურისტებს უჭირავთ ჩანგალზე წამოცმული ხინკალი და ვერ გაუგიათ, კუჭში უნდა უკბიჩონ თუ გვერდში თუ ფერდში, ან კუჭი რომელია ან გვერდი ან ფერდი. ორი წუთი კიდევ ინვალა სუს-ის ყოფილმა მაღალჩინოსამა და ერთჯერად პლასტმასის ჩანგალზე გადავიდა.

ჩემებს... ჩემებს, რა ვინც შემომრჩა სისტემაში, იმათ ველაპარაკე და რავი, მაინც რო იცოდე, დღეს მოგვაკითხავენო.

ვინები-მეთქი.

ბატონის ხალხიო.

აუ, ეგ სულ დამავიწყდა-მეთქი.

ნამეტანი მოდუნებული ხარო

მართალი ხარ, მაგაზე ერთი ორი თავით ზემოთ ვისაუბრე-მეთქი. ვერ გაიგო, ნუ როგორ უნდა გაეგო, აბა რა იცოდა რომ იმ მოთხრობის პერსონაჟად გადაიქცეოდა, რომლის ავტორიც მკითხველთან ესეთ, გულზე ხელი დავიდოთ და, კარგად გაცვეთილ და ბანალურ თამაშს დაიწყებდა.

დამკაწვრელებს" გვიგზავნიან თუ ჩამფარცხველებს" - მეთქი.

ზუსტად არ ვიციო.

რა მნიშვნელობა აქვს, ორივე ერთმანეთზე უარესია, ჩამფარცხველებს", თუ სწორად მახსოვს, ჩემმა კოლეგებმა ერთ-ერთი ყოფილი მინისტრის ჩუმად მიყუჩება დაავალეს და ამათმა კიდე ის საცოდავი გააშიშვლეს და რამდენიმე კვირა ნესტიან სარდაფში ყავდათ გამომწყვდეული, და აი ეგ შენი დამკაწვრელები" კიდე მაგათზე უარესები არიან, გენმოდიფიცირებული ძველი ბიჭები, თუ კაი ბიჭები თუ რასაც ეძახიან თავის თავს-მეთქი.

ისე, აი მაგ ჩამფარცხველების" ვაჟკაცობამ დამაწინაურა, რომ იცოდეო.

ანუ-მეთქი.

ანუ, ძაან მალე გავხსენი ეგ საქმე და კიდევ უფრო მალე ჩავუგდე საჭირო ხალხს სიტყვა, რომ საჭიროზე მეტი ვიცოდი და ვუთხარი რომ ისიც ვიცოდი, რომ საქმის მასალების როგორც გამომზეურება, ისე დაშრედერება შემეძლო და საჭირო ხალხმა იმ დროინდელ მოურავთან შეთანხმებით, მეორე ვარიანტი აირჩიეს და პაგონზე ერთი ლამაზი ვარსკვლავი და ხელფასზე კი ორი ნული დამიმატეს, მაგრამ რათ გინდა, მერე შენ გამოჩნდი და ყველაფერში ჩამიჯვიო.

მეთქი, რომ ჩაიჯვი, მე მაგის მერე გამოვჩნი, რამდენჯერ უნდა განვიხილოთ ეგ თემა-მეთქი.

ნუ, როგორც იყოო.

მეთქი, ეგრე იყო, ხელებს ნუ მაწმენდ, შეცდომის აღიარება უნდა შეგეძლოს.

კაი, ბოდიში, არ მინდოდა შენი წყენინება, შევრიგდეთო? - ნეკა თითი გამომიწოდა. ავხარხარდით და როგორ უცბადაც ავხარხარდით, ისე უცბადვე გავჩუმდით და ჩვენ-ჩვენ ფიქრებში ჩავეწეთ. ლამე მამალი შარი გველოდებოდა და სანამ მომგვარებლებთან, ჩემ ალალ მეგობრებთან და ყოფილ კოლეგებთან მიგვიყვანდნენ, იქამდე მაგრად დაგვჟეჟავდნენ და ვინ იცის, ეგებ ხოშიანადაც დავესახიჩრებინეთ, ამიტომ გინდა არ გინდა, ვაბანკზე უნდა წავსულიყავით.

უნდა წავსულიყავით და წავედით კიდეც და ვაბანკიც იყო და ვაბანკიც, შიგ გალას საარჩევნო შტაბში და შიგ მის კაბინეტში და შიგ მის სავარძელში წამოჭიმული დავხვდი მომხდურებს, და ამ ჩემის ვაჟკაცურ საქციელს აზღვევდა ათობით ტელეკამერა და ასობით ჟურნალისტი და თხუთმეტ წუთში გასამართი ბრიფინგი და ჩემ დანახვაზე გალამ გაიღიმა, გაიღიმა გულწრფელად და კეთილად და იმდენად გულწრფელად, რამდენადაც ამ ღიმილს შემდეგ ჩემი საქმეები ძალიან ცუდად უნდა წასულიყო და იმდენად კეთილად, რამდენადაც შეგიძლია იმ კაცს თანაუგრძნო, რომელიც იცი, რომ სიკვდილის გზას ადგას და გალა იყო ძალიან შეცვლილი, იმაზე მეტად შეცვლილი, ვიდრე სტერილური, ნულიდან გალათეამდე ტრანსფორმაციის შემდეგ, და გა-

ლა იყო მშვიდი და ამავდროულად დაჭიმული და გალა არ იყო არაფერი გარდა მიზნისა და გალა არ იყო არცერთი წამის მეასედით მაინც დაფიქრება, რომ მიზანი არ ღირს საშუალებად და მიზანი საერთოდ არ ღირს არაფრად, თუ ზედაპირზე ბრწყინვალებას და სინამდვილეში კი მონობას გულისხმობს და ვუყურებდი გალას და ვხედებოდი, რომ სადღაც მის ტვინში ნეირონები ისეთ განტოლებებს ხსნიდნენ და ალაგებდნენ, რომელსაც რომ თითონ უმარტივესად ამოხსნიდა და აი, მომგვარებლებს და თვით ბატონსაც კი ისეთ თავსატეხებს გაუჩენდა, რომ ვერა და ვერ აიღებდნენ მასზე კონტროლს, იმიტომ რომ ოდესღაც გალა სტერილული იყო და გალა იყო ნული და გალა ეხლა აქ იდგა და გალას სხვანაირად არ შეეძლო და არ შეეძლო რომ საკუთარი მიზნის მისაღწევად რიგრიგობით არ გაეწირა ყველა და ყოველი და მივხვდი რომ გალასთან დაწყებულ თამაშს აქ და ახლა კი არ ვაგებდი, არამედ დიდი ხნის წინ, და მასზე, როგორც ქალზე უარის თქმის მომენტში წავაგე და ახლა მხოლოდ საკუთარი თავთან და საკუთარი თავის წინააღმდეგ ვთამაშობდი და მთელ ამ აბსურდს მხოლოდ ერთი მაყურებელი ყავდა და მხოლოდ გალა მიყურებდა, როგორ ვიხლართებოდი საკუთარ გეგმებში და გალა მიყურებდა მშვიდად და ისე მშვიდად, რომ მისი სიმშვიდე გადაედოთ დამკაწერელებსაც" და მომგვარებლებსაც და თუ მე და ჩემი სუს-ელი მეგობარი წივილ-კივილს, იარაღების ტრიალს და დამტვრეულ ძვლებს ველოდით, ბატონის ხალხმა მხოლოდ რაციონალური და პოლიტკორექტული წინადადებები შემოგვაგებეს და გვითხრეს, რომ აფასებდნენ იმ ავ საქმეებს, რაც მათ წინააღმდეგ დავატრიალეთ და გვითხრეს, რომ ჩვენს ნიჭსა და ტალანტს პატივსა სცემდნენ და ისიც გვითხრეს რომ აქ და ახლა, ამ წინა საარჩევნო პერიოდში და მის შემდეგ თუ არა, სადღაც ოდესმე, ახლო, ან ძალიან შორ მომავალში, აი ისეთ შორში, სადაც უკვე შვილიშვილები გვყავს და ამ შვილიშვილებთან ერთად ჩვენი სახლის უკანა ეზოში, პამიდვრების ნარგავებს და კვლებს შორის ვთამაშობთ, აი მაშინ მაინც გამოგვასალმებდნენ სიცოცხლეს. და მე ვერ მოვითმინე და ეს მუქარა გავაპროტესტე, ჯერ ერთი რომ განგსტერული ფილმების დიდი მოყვარული გახლავართ და ვერაფრით ვერ ავიტანდი გადფაზერის ესეთი მნიშვნელოვანი სცენის ესეთ ბანალურ ინტერპრეტაციას და მეორეც, საერთოდ არ მინდოდა მთელი ცხოვრება შიშში მეცხოვრა, თან მითუმეტეს მაშინ, როცა ჩემს მიერ დატრიალებული ავი საქმეები, ჩემი და ჩემი სუს-ელი მეგობრის გეგმის მხოლოდ შესავალი იყო და თუ პრელუდია დიდად არ ესიამოვნათ, ეგებ პირველი აქტისთვის ეყურებინათ დიდი რუდუნებით და თანამდებობებზე აღდგენის სანაცვლოდ ჩვენგან წაეღოთ ყველა ის ინფორმაცია, რაც რომ ტროას ცხენივით შეპარულმა ტროლების ამომცნობა პროგრამამ წამოიღო ყველა მამალი ოპოზიციონერის და თვით ბატონის თავის ტკივილად ქცეული, უპარტიო აქტივისტების კომპიუტერებიდან.

ამის გაგონებაზე ჩემი ყოფილი კოლეგები დიდი დუმილით დადუმდნენ და ერთ-ერთმა ბოდიშიც მომიხადა, ხომ იცი ეგეთ საქმეებს მარტო ჩვენ ვერ ვწყვეტთ და ამიტომ ჩვენ ერთი-ორი გადარეკვა, შენ კი ცოტა ხანი ლოდინი მოგიწევსო.

## 9

ჩემს არყოფნაში ყველაფერი თავდაყირა დაუყენებიათ, მამაძაღლი. დამოუკიდებელი კანდიდატის იდეის გარდა კიდევ რამდენიმე მიმართულებით მოიქოქნენ და პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის დაკარგვით შეშინებულებმა ახალი, რიგით მეორე სატელიტური პარტიის დაფინანსება დაიწყეს. ძველი სატელიტი თუ თავს წმინდა პატრიოტულ ორგანიზაციად ასაღებდა, ახალი ღიად პრორუსული იდეოლოგიის მიმდევარი და ნაციონალისტურ-შოვინისტურ-ჰომოფობიური იდეებით ზურგგამაგრებული იყო, მათ ლიდერს ხელში ჯვარ-კომბალი ეპყრა, ვითარცა სკიპტრა და ფეხთ აზიაცკები ემოსა და მარჯვენით ეჯდა ბუსებრი პოეტი და დრამატურგი და თუ ოდითგან და აქამდის მშვენივრად იყოფდნენ სატელევიზიო ველს პატრიოტ სატელიტებთან, აწ და მარადის ჩვენი ბუსებრი პოეტის საციალური ქსელის და იუთუბჩენელის მეშვეობით აწვდენდნენ ხმას თავიანთ პოტენციურ ამომრჩევლებს და ეგ კი არა, ეკელესია-ეკლესიაც ქადაგებდნენ თავიანთი მრევლის წინაშე და ისეთ კიტჩებს და კიჩმაჩურებს ჰგავდნენ და ისეთ უთავბოლო რალაცეებს სჩადიოდნენ, რომ მათი და პატრიოტების ფონზე მმართველი პარტია არჩევნებში გამარჯვების ერთადერთ ღირსეულ და ადეკვატურ კანდიდატად ესახებოდა მოსახლეობას.

მოკლედ, დაყავი და იბატონეს პრინციპიდან გამოვედით, მაგრამ რაც დავყავით იმის შეერთებაც მშვენივრად შეგვიძლია, აი ის ამბები ხო ნახე, პარლამენტის წინ მთელი ამ პატრიოტების და კომბლიანების და კიდევ სხვა ფაშისტების ჯარი რომ გავაერთიანეთ და შენი წყალობით გაფუჭებულ უპარტიო აქციონერებს რომ მივუქსიეთო.

მეთქი, კი ვნახე, მაგრამ ეგ ამბები დიდად არ მადარდებს, რაც გულს მიჭამს ისაა რომ ბუსებრ პოეტზე შურისძიება მინდოდა და თქვენ კიდე ისე წინა პლანზე გამომიჭიმეთ, ალიყური რო ალიყურია იმასაც ვერ ავჰკრავ, ემანდ ეკრანებზე ლოყადაწითლებული არ გამოჩნდეს-მეთქი.

ჩვენ საქმეში ხო იცი არაფერია პირადული, მხოლოდ ბიზნესი და ამიტომ მოგიწევს შეუნდოო.

შენ ოღონდ გადფაზერიდან ციტატების დამახინჯებას შეეშვი და ჯანდაბას შენი თავი და ტანი, როგორმე შევუნდობ-მეთქი.

შევუნდობ არა ჩემი ფეხები, გამორიცხულია! ისეთ დროს გავაფუჭებ, როცა ყველაზე ნაკლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბად ელოდება, პარლამენტის მანდატს რომ მიიღებს, პირველ საშემოდგომო სესიამდე, ან ზედ სესიის დროს, დარბაზიდან მოსაწევად რომ გამოვა იქ დავხვდები, იქ დავხვდები და ყველა ცოდვას გავუხსენებ და ისე გავაფუჭებ, როგორც არასდროს არავინ გაფუჭებულა. თან მითუმეტეს ჩემი სუს-ელიც ალადგინეს თავის პოზიციაზე და უკვე ორნი ვართ, ორნი და მალე გალა დაგვემატება და ჩვენ სამთა გმირთა მნათობთა, ერთმანეთის მონება კი არა, სხვების დამონების სურვილი გვეჭირვება და ვაი იმათი ტყავის ბრალი, ვინც გზაზე გადაგველობება.

გალას მომგვარებლად აღდგომიდან რამდენიმე დღეში შევხვდი, ყოველ დილას ერთი და იგივე მარშრუტს ძუნძულით და ფიზიკურად კარგ ფორმაში ყოფნის სურვილით გადიოდა და გზად ქარხნებში ჩერდებოდა და წინა ღამეს დაკლულ ძროხებს და დეკეულებს ნეკნებს უბეგვავდა და მერე არბოდა ქალაქის ყველაზე მაღალ და გრძელ კიბეებზე და მისდევდნენ ბავშვები და სტუდენტები, პენსიონერები და მეძუძური დედები და მისდევდნენ ისე, როგორც იესოს მისდევდნენ გლახაკნი და კეთროვანნი და მისდევდნენ ისე, როგორც ფორესტ გამპს მისდევდნენ რეპორტიორები და პაპარაცები და მეც როგორც რიგითი, ჯანმრთელი ცხოვრების მოყვარული, ავედევნე ამ გზაზე და გზად კი ისეთ ამბებს ვახსენებდი, როგორების შეხსენებაც დიდად არ სჭირდებოდა, მაგრამ თქმულ არს, გამეორება ცოდნის დედააო და სულ წვრილ-წვრილად და დედაზე დაფიცებით გადავიმეორეთ ის ფაქტები, რომ გალას რეალური გვარ-სახელი და პირადობის მოწმობის ასლი ჯერ კიდევ ჩემს საქაღალდეებში ინახებოდა და რომ მქონდა ერთი ისეთი ვიდეო, სადაც გალა სულ დეტალურად ჰყვებოდა საკუთარი წარსულის და გალათეად ქცევის შესახებ და ამბოდა გამოთქმით და დამარცვლით რომ ჩემი და მხოლოდ ჩემი პროექტია და არავითარი გალა არ არსებობს დედამიწის ზურგზე გარდა ჩემი მოგონილისა და ამ მოგონებას და გამოგონებას, ხელოვნების მიმართ დიდი სიყვარული და ერთი უშნო სანაძლეო ედგა პრეისტორიად, და ამიტომ სტერილური და თან ნული, სთხოვდა საზოგადოებას რომ არ დაუჯერონ იმ სახეებს, ვინც ხშირად სჩანან ეკრანებზე და არ დაიჯერონ არცერთი სიტყვა მათი პირიდან ამოსული რამეთუ ყველაფერი ყალბია რასაც ხედავენ და სიყალბეც კი ყალბია და დადგმულია ყველა ინფლუენსერის, გადაცემის წამყვანის, შოუბიზნესის ვარსკვლავის თუ უბრალოდ, ცნობადი სახის ცხოვრება და...

და ჩემგან რა გინდაო - გალამ.

არაფერი, საერთოდ არაფერი-მეთქი.

აბა ამ ყველაფერს რატომ მახსენებო?

მეთქი, იმიტომ რომ მართალი იყავი.

რაშიო?

რაში და შენ ხელოვნების ნიმუ...

აღარ გერევა გული მაგ სიტყვათა წყობაზეო.

არტი... კაი, ჯანდაბას არტი, მხოლოდ მას მერე გახდები, რაც თავისუფლებას მოგცემ-მეთქი.

რაღაცას მატყუებო.

არაფერს, უბრალოდ ორმაგ აგენტობას გასწავლი, ვითომ ბატონის დაკვეთებს ასრულებ, სინამდვილეში კი ჩემი ჭკვიანი გოგო, ჩემი გალა იქნები და აი მანდ და მხოლოდ მანდ შეიკვრება კვანძი და ეგ იქნება ჩემი ამბის იდეალური ფინალი-მეთქი.

ქალაქის ყველაზე გრძელი კიბეების ბოლო საფეხურები ავირბინეთ და სულის მოსათქმელად გავჩერდით.

ამ დღეს ველოდიო.

კონკრეტულად ამ დღეს-მეთქი?

არა, იმ დღეს, როცა ამ ყველაფერს მეტყოდიო და ისე მოხდა რომ ეს დღე მაინცდამაინც დღეს დადგაო.

მეთქი, მერე?

მერე აი ამ წლის ჩანთას მართლა მარტო იმისთვის კი არ ვიყენებ რომ იოგას შარვალში გამოკვანწული ტაკოს ფოტოები არ გამიბაზრონ უკან აღევნებულმა პაპარაცებმა, სინამდვილეში შიგნით ერთი კოლოფი მიდევსო.

მეთქი, კოლოფი კოლოფად და შიგნით რა დევს?

ნიშნობის ბეჭედიო.

თხოვდები-მეთქი? - ცოტა რაღაც კი ჩამწყდა გულში, მაგრამ დიდად არ შევიმჩნიე.

არჩევნებამდე ორი კვირა დარჩა, ყველა ვარიანტში ვიგებ, მაგრამ პოპულარობა რომ არ დავკარგო, კიდევ ახალი რაღაცის შებზრიალებაა საჭირო და რა ვქნა, ჩემიც უნდა გაიგო, მინევსო.

ამომრჩევლის თვალში ცოტა არასერიოზული ნაბიჯი გამოგივა-მეთქი.

შენ ერთი რამე გეშლებაო.

რა-მეთქი?

ამომრჩევლების კიდევ გჯერა და სინამდვილეში ამ ქვეყანაში ამომრჩეველი კი არა, მოქალაქეც აღარ დარჩა, ყველანი იუზერები ვართ და ანტიკური რომის მერე დიდად არც შევცვლილვართ, ისევ პური და სანახაობა გვინდა, გვინდა რა, გვჭირდებაო.

ეხლა გასაგებია დაყავი და იბატონე ვისი გეგმაა-მეთქი - გამიღიმა, ორი წუთი გაჩუმდა და კიბეებთან შეკრებილ მიმდევრებს გადახედა.

რა უცნაურია, ფოლოვერები რომ მართლა მოგსდევენო.

მეთქი, ხოოო... და ისე ვის მიყვები-მეთქი ცოლად - პროფესიონალ მომგვარებელს, რომელიც ორი წუთის წინ მსხვერპლს აშანტაჟებდა, ესეთი წინდაუხედავი და ემოციური ნაბიჯი არ ეპატიება და არც მე მეპატია და გალამ შემომხედა და გამარჯვებულის ინტონაციით მითხრა,

გააჩნიაო.

დაჟე ასარჩევად გაქვს საქმე-მეთქი?

არა, გააჩნია შენ რამდენად ჭკვიანი ხარ, მაგრამ გიყურებ და აშკარად იდიოტის შთაბეჭდილებას ტოვებო.

პროზა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანუ-მეთქი.

ანუ, კაი, ქალების არ გესმის არ გესმის, მაგრამ ჩემი მაინც როგორ არ გესმის და კაი, ჯანდაბას, ჩემი არ გესმის, იმდენს როგორ ვერ ხვდები რომ ბატონს სამიზნეში ყავხარ, რომ სისტემა აღარ გენდობა და რომ მომგვარებლად დიდხანს ველარ გაქაჩავო.

ამიტომ მჭირდები შენ-მეთქი.

შენ რომ გჭირდები, მეც ზუსტად მაგიტომ მჭირდებიო - წელის ჩანთიდან ნიშნობის ბეჭდის წითელი ხავერდგადაკრული კოლოფი ამოიღო და რეპორტიორებისგან დამალულად გამომიწოდა.

ცოლად მომიყვანო?

დაბნეულმა შევხედე - გპირდები რომ შენი კარგი გოგო, შენი გალა და შენი დიპლომატიური სტატუსის გარანტი ვიქნებიო.

შენ რა ხეირი-მეთქი.

ხო გითხარი, იდიოტი ხარ, ეხლა ნება იბოძე, მუხლებზე დაემხე და ხელი ისე მთხოვე რომ ყველა კამერამ, ყველაზე იდეალური რაკურსით დამაფიქსიროს... არა მოიცა, აქეთა პროფილი არ მივარგა ადგილები გავცვალოთო.

## 10

გალამ პირველივე ტურში და ოცპროცენტიანი ფორით მოიგო, არანაირი ჩაწყობა და გაყალბება, ნუ კაი, დამკაწვრელებთან" აფილირებულმა ძველმა ბიჭებმა, ორასი და ჰა და ჰა სამასი სული ხმა, ციხეზე მჯდომი ძმაკაცების გისოსებიდან დახსნის იმედით მართლა მოათრიეს, მაგრამ ეგ მთლიან სურათს ვერ ცვლიდა, ვერ ცვლიდა და სადღაც წესიერი მოქალაქე, რეალური ამომრჩეველი, ქვეყნის პატრიოტი და ეგებ მომგვარებლად აღდგენილი თქვენი მონა-მორჩილი ისეთებსაც კი ფიქრობდა, რომ ამ ქვეყანას აწ და მარადის აღარაფერი ეშველებოდა და დრო იყო რომ იმდენი ბარგი ჩამელაგებინა რამდენიც გალასთან ერთად ორკვირიან თაფლობის თვეს კი არა, სამშობლოდან სრულად გადახვეწას სჭირდებოდა, მაგრამ როგორც რიგით მოქალაქეს და წესიერ ამომრჩეველს ჰქონდა ფასადური დემოკრატიით რუდუნება დარღვეული, მეც აი მაგ ფასადური სიმშვიდით არა ვღელავდი და არ ვღელავდი კი არა, ისეთი გულწრფელად აღტაცებული და გახარებული ვიყავი რომ მხოლოდ ორი რამე მიღრღნიდან ტვინს, მზისგან დამცავი კრემი სამშობლოდან წამეღო კუნძულ გოაზე თუ იქ მეყიდა, და მჭირდებოდა თუ არა ორივე, ფლიპ ფლოპი და ბირკენშტოკის ჩუსტიკი და თუ ქვიშიანი სანაპირო ფლიპ ფლოპების წაღებისკენ მიბიძგებდა, ჩემში ჩამალულ მერკანტილურ მელეხს ბირკენშტოკების გამომზეურება და ამაყი მარიაჟი ჰქონდა მონადინებული და ამა დრაჟებში ვიყავი გართული, როდესაც ჩემმა სუს-ელმა მეგობარმა დამირეკა, შენი ნახვა მწადიანო.

და ნახვად შევხვდი ქალაქის ყველაზე განაპირა და კრიმინალურ უბანში და სიგარეტით გაბუღულ ისეთ სარდაფში, სადაც რომ იქაურ, მესტნ ავყიობას ფლეისთეიშენის სათამაშო კუთხე მოეწყოთ და ბავშვებს შორის სანაძლეოები და ამ სანაძლეოებს გამო გაფუჭებული, დასახიჩრებული და ალაგ-ალაგ ხრუშჩოვკების მეცხრე სართულიდან გადმომხტარი ბავშვებიც ჩვეულებრივ, დღეს რა კაი ამინდია არა" სასაუბრო თემად ქცეულიყო ამ პოლიციისგან მივიწყებულ ადგილას და მთელ ამ კონსპირაციას ერთადერთი მიზეზი და ისეთი მძიმე და საშიშად ხმადაბლა სათქმელი ედო საფუძლად რომ, გარემოთი უფრო ვითრგუნებოდი თუ ჯერ კიდევ არ თქმული ახალი ამბით, რომელიც ჩემი სუს-ელის პირიდან უნდა ამოსულიყო, ბოლომდე არ მქონდა გასიგრძეგანებული და -

გოაზე არ წახვიდე, იქ სიკვდილის გარდა ვერაფერს იპოვიო, რომ მითხრა, თურმე ამის თქმა არ ყოფილა ჩვენი ფარული შეხვედრის მთავარი მიზეზი და ფეხზე ხელი რომ დამადო და თვალითვალში რომ გამიყარა და -

შენით დაიწყებენ და შემდეგი აუცილებლად მე ვიქნები და ჯანდაბას ჩემი თავი, შენ ხო იცი როგორ მიყვარხარ, შენ დაკარგვას ვერ გადავიტანო - სლუკუნით რომ ამოთქვა და მერე რომ ისე ძლიერად მომიჭირა ყბებში ხელები და ისე ძლიერად რომ მიმიზიდა თავისკენ და ისეთი ვნებით რომ მაკოცა, როგორითაც არცერთ ქალს არ უკოცნია ჩემთვის, აი მანდ უკვე მართლა ველარ ვხვდებოდი, სად იწყებოდა აბსურდი და სად მთავრდებოდა მუქარა და რისი უფრო უნდა შემშინებოდა, გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკის თუ ჩემი მეგობრის, რომელსაც თურმე საერთოდ არამეგობრულად ვუყვარდი.

და ესეთ დროს ალბათ ყველაზე მეტად ფიქრი გჭირდება და ესეთ დროს ალბათ ყველაზე ნაკლებად გაქვს ფიქრის დრო და ამიტომ დაუფიქრებლად და უკანმოუხედავად გავიქეცი და გავიქეცი ჯერ იმ ჯურღმულიდან, სადაც ჩემი მეგობარი სიყვარულში გამომიტყდა და მერე გავიქეცი გალასგან და გავიქეცი მომგვარებლებისგან და გავიქეცი ბატონისგან და გავიქეცი ჩემი აწმყოდან და წარსულიდან ხომ მითუმეტეს და გავიქეცი ისეთი ძალით და სისწრაფით, როგორითაც არასდროს არავინ, და გავიქეცი პირველი რეისით და მერე ნაქირავები მანქანით და მერე გემით და მერე ფეხით და მერე ურმით და გადავჭერი ცხრა თუ ათი საზღვარი და რამდენადაც დიდი ძმა ყოველთვის და ყველგან გპოულობს, ეხლაც გავრბივარ და მთელი ეს დრო არ მასვენებს ფიქრი, რომ სანამ გავრბივარ არ მომსდევენ და როგორც კი გავჩერდები მაშინვე გამოჩნდებიან და გამოჩნდებიან ჩამფარცხველები" და გამოჩნდებიან დამკაწვრელები" და გამოჩნდებიან სუს-ის აგენტები და გამოჩნდებიან ბუსებრი დრამატურგები და მათი გამოჩენა და ჩემი სიკვდილი ერთი იქნება და მოვკვდები ისე, თითქოს არც ვყოფილვარ და თითქოს არც მიცხოვრია და მოვკვდები ისე როგორც სტერილური, როგორც ნული, როგორც სტერილური, ნული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუგა მგელაძე

# მედეა

## სიურეალისტური კომედია

*რამდენიმე სცენად*



ეროვნული ბიბლიოთეკა

*მოქმედების ადგილი: აქ*
*დრო: ახლა*

*პ.ს.პიესაში გამოყენებულია ფრაგმენტები ევრიპიდეს „მედეადან" (მთარგმნელი ნანა ტონია)*

## *I სცენა*

***მედიაქაოსი***

***დიდ ეკრანზე ერთდროულად რამდენიმე (ლიბერალური თუ სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი) ტელევიზია იწყებს მაუწყებლობას. ხმების და რეპორტაჟების კაკაფონიაა. ყველანი: ობიექტურად პროფესიონალებიც და ცალსახად არაპროფესიონალებიც ერთ ამბავს აანალიზებენ. შემთხვევა მართლაც შოკისმომგვრელია. ქ. ბათუმში, ამა და ამ წლის ამ რიცხვში თავისუფლების (ყოფილი ერას) მოედანზე აღმართული კოლხი და, პრინციპში, ყველაზე ტრაგიკული ქართველი ქალის - მედეას ძეგლი გაცოცხლდა (SIC!).***

* * *

ტელეკომპანია რუსთავი ორის" ჟურნალისტის პირდაპირი ჩართვა შემთხვევის ადგილიდან.

კადრში ვხვედავთ კვარცხლბეკის ირგვლივ შეჭეჭყილ სპეცდანიშნულების რაზმს, ჟურნალისტებს, სეირის მაყურებელ თანამოქალაქეებს, ტურისტებს და ა.შ. ცხადია, კვარცხლბეკი ყვითელი ლენტითაა შემოსაზღვრული.

**რუსთავი ორის ჟურნალისტი:** ტელემაყურებლებს შევახსენებ, რომ მედეას ძეგლი 2007 წლის 6 ივლის საზეიმო ვითარებაში ქვეყნის ექსპრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა გახსნა. ოპოზიციის მხრიდან ამ ფაქტს მაშინვე მოყვა მძაფრი კრიტიკა. აღნიშნული შეფასებების მოსმენის შესაძლებლობა ჩვენი არხის საშუალებით სულ ცოტა ხანში გექნებათ. ოპოზიციის წარმომადგენლები პრობლემას ძეგლის დაპროექტებასა და აღმართვაში გაწეულ თანხებში ხედავდნენ, რაც, მათი აზრით, არამიზნობრივი და წამგებიანი იყო... ამის შესახებ კი სპეციალურ განცხადე...

***მის ხმას „სუბიექტივის" გადაცემის წამყვანის გალიზიანებული ხმა გადაფარავს***

***წამყვანი:*** ამაშია საქმე! გვაქვს ჩვენ საამაყო ისტორია, ხომ? მითუმეტეს, ისტორიას ყოველთვის კაცები ქმნიდნენ და ქმნიან. ქალის როლი ამ შემთხვევაში, მინიმალურია. არა, არის გამონაკლისები, როგორ არ არის. თამარ მეფე ავიღოთ, მაგალითად. ავიღოთ ოლღა გურამიშვილი, მანანა არჩვაძე , ანა კალანდაძე, შენ ხარ ჩემი ბატონი და ისა კიდე, ნანი ბრეგვაძე. ვისზე ნაკლები ქალები გვყოლია და გვყავს, მაგრამ ნახეთ რაშია საქმე: როცა იმ ულამაზეს და უნიკალურ ზღვისპირა ქალაქში, თან ცენტრში კაცო, ვიღაც კოლხი ბოზის ქანდაკებას დგამ, არც უნდა გაგიკვირდეს ეგეთი არაპროგნოზირებადი და ქვეყნის დამაქცევარი შედეგები. მოდით, პირდაპირ ვთქვათ: ჩვენ ეგ ქალი ქვეყნის მაშტაბით გვარცხვენს, მეგობრებო. შვილების მკვლელია ეგ და ქვეყნის გამყიდველი. იმ ბერძენ მწერალს კისერიც უტეხია, რაში მანაღვლებს რას წერს და როგორ. ჩვენ ჩვენი უნდა დავაფასოთ, ხომ? (ამოახველებს) ბოდიში, გამიგრძელდა. ახლა პირდაპირი ჩართვა გვექნება მამა საბასთან და მოვუსმინოთ ამ პატიოსან კაცს. იქნება და ღმერთი გვცდის.

***(პირჯვარს იწერს)***

ხაზზე ხართ. გისმენთ, მამაო!

**მამა საბა** (ტანწვრილი კაცია, ჯაგარა თმა-წვერულვაშით!): სწორად ბრძანეთ თქვენ. უფლის რისხვის შედეგი მგონია მე ის მოვლენები, რის წინაშეც ამ რამდენიმე დღის განმავლობაში აღმოვჩნდით. თავის ნებაზე მიშვებული და დედა ეკლესიისგან განდგომილი, მე ვიტყოდი, გონებადაბინდული და დაავადმყოფებული პიროვნებების ბრალია ეს ყოველივე. შავით თეთრზე წერია სახარებაში, რა და როგორ მოხდება. მეორედ მოსვლას ვგულისხმობ, ცხადია. ის ბუნებრივი კატაკლიზმები ზოგს სიცილადაც არ ყოფნის და მასხრად იგდებს, მაგრამ ჯერ სად ხართ! ერთმანეთის ხორცის ჭამას რომ დაიწყებთ, სწორედ მაშინ მოიხედავთ ეკლესიისკენ, ჩვენსკენ ანუ, ღვთისმსახურებისკენ, მაგრამ ბოდიში ბატონო, მერე უკვე გვიანი იქნება. ფაფუ. ჩვენც გვაქვს მოთმინება. რა გახდა მართლა და მართლა! სათითაოდ გირეკოთ წირვაზე რომ მოხვიდეთ? ჩემ მრევლს მივმართავ. გამგები გაიგებს. სახელები არ ჩამომათვლევინოთ, თორემ მერე მთელი ქვეყნის მასშტაბით მოგეჭრებათ თავი.

ახლა დავუბრუნდეთ მთავარ საკითხს: სინოდმა უკვე გააკეთა ოფიციალური განცხადება ძეგლის ქცევასთან დაკავშირებით და მე სრულიად ვიზიარებ მათ პოზიციას. ისინი ემიჯნებიან ლიბერალების, ათეისტების და ათასი ბელზებელის ნაშიერების მიერ მოწყობილ, ქვეყნის დესტაბილიზაციისთვის და ქაოსისთვის შემამზადებელ პროცედურებს, რაც საზოგადოებაში გამოიწვევს სრული უსუსურობის, სკეპტიციზმის და მასობრივი პარანოიის საფრთხეს. მე პირადად, ხალხს მოვუწოდებ სიმშვიდისკენ. ილოცეთ ქვეყნისთვის და თქვენი ოჯახებისთვის. ილოცეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისთვის, რომელიც 3 დღეა დუმს და უარს ამბობს ნებისმიერი სახის კონტაქტზე. ხედავთ სადამდე მიიყვანეთ ადამიანი? ხედავთ? არ ვიცი, რა ტიპის შემთხვევასთან გვაქვს საქმე და შეიძლება, ძეგლის გაცოცხლებასთან პირდაპირი კავშირი არცა აქვთ ევროპული მარაზმისგან გონებადაბინდულ პიროვნებებს, თუმცა ფაქტი ერთია: ესაა ღვთის განაჩენი. ჩვენ ვისჯებით იმ ხორცმეტების უმსგავსო საქციელისთვის. ჩვენ ვისჯებით მათი შვილებისა და ცოლების თავაშვებული ცხოვრების წესისთვის. ხედავთ რას გვანან ჩვენი ქალები, ხედავთ? გადაჯიშებულები რომ არიან, მაგიტომაც ხდება ათასი უბედურება და უფრო მეტიც: აი, ეგ ძეგლი, რომლის მოძრავ კადრებსაც გუშინწინ მოვკარი თვალი, ამ გადაჯიშებული ქალების შორეული წინაპარია. ნუ მომაყოლინებთ ახლა არგონავტების მითს, ცოტა თქვენც წაიკითხეთ რამე...

მოძღვრის კადრს სხვა არხის პირდაპირი ეთერი გადაფარავს.

*ეთერშია თოქშოუ „კონტექსტები"*

*სტუმრად არიან: არასამთავრობო ორგანიზაციის „ძეგლი და იდენტობა" ლიდერი ანა-მარია სისინაშვილი და ნათელმხილველი კობა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

***ანა-მარია სისინაშვილი:*** ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ მოქალაქე მედეას დისკრედიტაციას და მით უფრო ძეგლის მიმართ დაგეგმილი შტურმის განხორციელებას. მე, როგორც გენდერის მკვლევარი, თამამად ვაცხადებ: ქალის, როგორც ბიოლოგიური არსების ხელყოფა, რომელსაც აქვს თავისი სქესი, იდენტობა, განცდები, აზროვნება, ეთნიკური კუთვნილება, სხეული და ა.შ. - არის ყოვლად დაუშვებელი. საინტერესოა, განხორციელდებოდა თუ არა შსს-ს მიერ დაგეგმილი შტურმი ვთქვათ, რომელიმე მეფის ძეგლის გაცოცხლების შემთხვევაში? კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენ ვცხოვრობთ მკაცრად განსაზღვრულ პატრიარქალურ კულტურაში, თავისი კონიუნქტურითა და მართვის ფორმებით, რაც მამრს, როგორც დომინანტს, საშუალებას აძლევს იძალადოს ქალზე, როგორც ამ კულტურის მიერ ფუნქციებშეზღუდულ სქესზე. მოვითხოვ დაუყოვნებლივ დაიკითხოს მოქალაქე მედეა, რათა გაირკვეს მისი, როგორც ქალის, როგორც პიროვნების ფსიქო-ემოციური მდგომარეობა იმდენად, რამდენადაც ჩვენი ორგანიზაციის...

**წამყვანი** (აწყვეტინებს): უკაცრავად, ქალბატონო ანა-მარია, გადაცემის დასრულებამდე სულ ცოტა დრო რჩება და სიტყვა ჩვენს მეორე სტუმარსაც უნდა გადავცე.

**ანა-მარია სისინაშვილი:** ჰო, პრინციპში, მე მოვრჩი უკვე. დანარჩენი საპროტესტო აქციებზე გაჟღერდება.

**წამყვანი:** კეთილი. ახლა კი ბატონ კობას მოვუსმინოთ. შექმნილი საგანგაშო სიტუაციიდან გამომდინარე, ის ექსკლუზიურად დაგვთანხმდა გადაცემაში მონაწილეობის მიღებაზე. გთხოვთ.

**ნათელმხილველი კობა:** დიდი პატივისცემის მიუხედავად, მე ვერ დავეთანხმები ქალბატონ ანამარიას ამ მეტად პრობლემატური საკითხის ფემინისტურ ჭრილში განხილვის შესახებ. დავიწყოთ იმით, რომ ჩემი ღრმა დაკვირვებით, პრობლემის არსი არა ქალის ფიზიოლოგიაში, არამედ დროში მოგზაურობის მეტად სპეციფიკურ ასპექტშია. დიახ, მეგობრებო. აღნიშნული ძეგლი გაცოცხლდა მხოლოდ და მხოლოდ იმ მარტივი მიზეზის გათვალისწინებით, რომ ის რეალური მედეაა, კოლხი მედეა, ისტორიული პერსონაჟი.

**წამყვანი:** დაუჯერებელ რაღაცას ამბობთ.

**ნათელმხილველი კობა:** ყოფილა შემთხვევა, ვაშინგტონში ლინკოლნის ქანდაკებას თვალი ჩაუკრავს მოქალაქისათვის. მართალია, ეს ფაქტი ბოდვით ჰალუცინაციად ჩათვალეს, მაგრამ დიდი ალბათობით, ესეც მსგავს კატეგორიაში გადის. შესაბამისად, მე მგონია და დარწმუნებულიც ვარ, რომ აღნიშნული ძეგლი გახლავთ რეალურად არსებული მედეას რეინკარნაცია, რომელიც ჩემთვის დაუდგენელი მიზეზით აღმოჩნდა საკუთარ სამშობლოში, თუმცა, მაქვს საფუძვლიანი ჰიპოთეზა,რომლის მიხედვითაც იგი ჰელიოსის მიერ გაგზავნილი ეტლის წყალობით მოხვდა პარალელურ რეალობაში. რაღაც აერიათ. გასაგებად ვამბობ, ხომ? კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ნებისმიერი სახის ძალადობრივი ან მასობრივი აქტი გამოიწვევს მეტად სავალალო მდგომარეობას.

**ანა-მარია სისინაშვილი:** საპროტესტოც?

**ნათელმხილველი კობა:** მომისმინე, გენაცვალე. ახლა ყაყანის დრო ნამდვილად არაა. ხალხი პანიკაშია. დაბნეულები არიან. მათ მითითებები ჭირდებათ, გესმის? ვთქვათ, დაგეგმეთ აქცია. ძეგლი რომ გალიზიანდეს? რომ გაგსრისოთ? შენ შეიძლება ღირსიც იყო, მაგრამ გვინდა ჩვენ ზედმეტი თავის ტკივილი?

**ანა-მარია სისინაშვილი:** შენც ამ პატრიარქალური კულტურის ნაწილი ხარ, კობა. შენ ღუპავმ ხალხს, ქალებს უფრო. გგონია არ ვიცი, რამდენი ქალი დაეთრევა შენთან ჯადოს გასაკეთებლად? დასაორსულებლად? ექსპლუატაციაა ეგ და ღორობა. ღორი ხარ შენ, კობა, ღორი და ახლა მე თვალებს გამოგთხრი.

***ანა-მარია წამოფრინდება და კობას მივარდება.***

მიმდინარე ტრანსლაციას მორიგი, ახლა უკვე პოლიტიკური გადაცემა ცვლის.

*საქართველოს პრემიერმინისტრის პირდაპირი ჩართვაა საფრანგეთიდან*

***პრემიერმინისტრი:*** წინა ხელისუფლებამ დააშავა ჩვენი თანამოქალაქეების წინაშე, დააშავა თაობების წინაშე. დააშავა ჩვენი პარტრიარქის წინაშე! ეს იყო არამიზნობრივად დახარჯული ბიუჯეტის, სრული უგემოვნობის და უნიჭობის ზეიმი! კადრებს ვუყურებდი, თვალებს არ დავუჯერე. ხალხო, რა დღეში ხართ მანდ, რა ამბავია! მიეცით საშუალება შსს-ს აკეთოს თავისი საქმე. ძეგლის უფლებების დაცვის დროა ახლა? შოკირებული ვარ. არა, მედეა ცალსახად მნიშვნელოვანი ფიგურაა და პატივს ვცემ, ევრიპიდეც წავიკითხე თავის დროზე, მაგრამ ახლა კულტურული პრეფერენციების დრო ნამდვილად არაა. ტურისტული სეზონია, საფრთხე ექმნება როგორც ცალკეული რეგიონის, ასევე მთლიანი სახელმწიფოს სტაბილურობას. კი ბატონო, არ ჩამოდის ჯერჯერობით სვეტიდან, გავარკვიე უკვე -სიმაღლის შიში აქვს, მაგრამ რომ ჩამოხტეს? ხომ ხვდებით რა შედეგებამდე მივალთ? ჩვენ ყველანი შოკში ვართ. ტრავმირებული ერი ვართ, ბოლობოლო: რა არ გვინახავს, რა არ გამოგვივლია, ომები, პუტჩი, რევოლუცია, მაგრამ ასეთი არაპროგნოზირებადი შემთხვევის წინაშე პირველად აღმოვჩნდით და იმედი მაქვს, უკანასკნელად. სულაც არ მესიამოვნება გორგასლის ძეგლის ჭიხვინი შუაგულ რუსთაველზე. ისედაც საცობებია...

(წყალს მოსვამს)

ხომ გახსოვთ ჩვენი პარტიის სლოგანი: ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა. ხოდა, არავითარ შემთხვევაში, ვიმეორებ, არავითარ შემთხვევაში არ ავყვეთ პანიკას. ვაგრძელებთ ჩვეულებრივ ცხოვრებას. სატელევიზიო ბადე ისევ ამოქმედდა. გასართობი გადაცემებიც გავა. ნუ ივლით ქალაქში. მიანდეთ საქმე პროფესიონალებს.

*პრემიერმინისტრის საუბრის პარალელურად ირთვება მეორე ეკრანი: მედეას ძეგლის ირგვლივ, სვეტთან, სპეცოპერაციაა დაგეგმილი. რამდენიმე წუთში ბრძანებას გასცემენ და დაიწყება ძეგლის*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*შტურმით აღების პროცესი. კადრში ვხედავთ ძეგლს, რომელიც სვეტზეა ჩამომჯდარი და ოქროს საწმისი მუხლებზე უდევს, ფეხებს აქანავებს.*

*აი, ბრძანება გაცემულია, მოსახლეობა ევაკუირებული და სროლებიც იწყება...*

*რამდენიმეწუთიანი ინტენსიური იერიშის შემდეგ კადრში კვლავ ძეგლი ხვდება. დაუზიანებელია. თითქოს, ყოველი ტყვია სხეულმა შეიწოვა. მედეა სვეტის თავზე დამონტაჟებულ ოქროსფერ ფრაგმენტს მოგლეჯს და მანქანას ესვრის.*

*პირდაპირი ჩართვა და მიმდინარე „ლაივი" მომენტალურად წყდება. ეკრანი ირთვება.*

## II სცენა

***გულახდილი საუბრები***

***ერთ-ერთი რეიტინგული „თოქშოუს" პირდაპირი ეთერი. ექსკლუზივი. კადრში ვხედავთ სახანძრო კიბეზე მდგარ გადაცემის წამყვანს, რომელიც მედეასთან აჰყავთ.***

***წამყვანი:*** ძვირფასო ტელემაყურებლებო, ეთერშია გადაცემა  გულახდილი საუბრები", რომლის წამყვანი მე, ელეონორა თარხნიშვილი გახლავართ. შექმნილი სიტუაციის ექსტრემალურობიდან გამომდინარე, ინტერვიუს ჩაწერა სტუდიის გარეთ, შემთხვევის ადგილიდან გვიწევს. ჩემთვის, როგორც ჟურნალისტისთვის, საკმაოდ სარისკო სიტუაციაა. პრაქტიკულად, ესაა ისტორიული ინტერვიუ, რომლის ანალოგიც მსოფლიო ჟურნალისტიკაში არც არსებობს.

მაშ ასე, ჩვენ ვიწყებთ!

(პაუზა. მიმართავს მედეას)

პირველი კითხვა, რაც სრულიად სპონტანურად დამებადა, ეხება შენი, როგორც ქალის, როგორც მოქალაქის მდგომარეობას. რას გრძნობ ახლა, საკუთარ სამშობლოში, რამდენიმე წლიანი თუ საუკუნოვანი განშორების შემდეგ.

*ხანგრძლივი პაუზაა.*

*ძეგლი ფეხებს აქანავებს.*

***წამყვანი:*** გთხოვ, შენ არამხოლოდ საქართველო, უკვე მთელი მსოფლიო გისმენს.

პაუზა.

**მედეა:** (ემოციადაუდგენელი ხმა აქვს. ლაპარაკობს ქართულად!)  აღასრულებდა მედეას სიტყვას. რომელიც კოლხთა დედოფალს აღმოხდა უკვდავ ბაგეთაგან".

**წამყვანი:** (აბნეულია) უფრო კონკრეტულად?

**მედეა:** (შეშდება) მამავ, სამშობლო, მე გიღალატეთ,

ძმაც გავიმეტე... როგორ მრცხვენია!

**წამყვანი:** ანუ ნანობ ღალატს?

**მედეა:** მეუბნება: შეჩვენებულო დედაკაცო! ო, როგორ მძულხარ, მოძულებულო ღვთისგან, ჩემსგან, კაცთა მოდგმისგან, როგორ გაბედე საკუთარი შვილების მოკვლა?

***პაუზა.***

როგორ გავბედე?

*იღიმის.*

მე ის მიყვარდა, ჰო, მიყვარდა ჩემ თავზე მეტად. არ ვიცი, როგორ, რანაირად დამასნეულა. სიყვარული სნეულებაა, ავადმყოფობა, რომელიც გწამლავს. მე ის მიყვარდა... უფრო სწორად, მისი სიყვარული უფრო მიყვარდა, როგორც გაირკვა.

ო, ღმერთებო! ხედავთ, რას ვითმენ? როგორ გატეხა დიადი ფიცი ერთგულმა ქმარმა! მეზიზღება! ორგანულად მძულს!!!

**წამყვანი:** თქვენს სიყვარულზე ლეგენდები დადის. იქნებ ამის შესახებაც გვიამბო.

**მედეა:** ლეგენდები? სასაცილოა! პირველ წელიწადს ცხოველივით მოძვრებოდა ჩემს სარეცელში, მხეცივით მკბენდა. მკერდის თავებს აგემოვნებდა, თუმცა ვითმენდი, უფრო სწორად, მას ვაფასებდი, ჩემი მომავალი შვილების მამას. ჯერ კიდევ კოლხეთში, მამაჩემის სასახლეში დაეწაფა ჩემს რძისფერ სხეულს, უმანკოს და ხელშეუხებელს. ჰო, კოლხეთის მეფის, დიდებული აიეტის სასახლეში, ჩემი ძმის ოთახის გვერდით.

მერე კი, კორინთოში დაფუძნებისას, ორჯერ მომაშლევინა მუცელი. მცემდა. ერთხელ, ორსულობისას, მთვრალმა თიხის ლარნაკი მესროლა, ჩემი საცოდავი ძმის, აფსირტოსის ბავშვობის საჩუქარი. სისხლი მდიოდა. ძიძა რომ არა, სულს დავლევდი. ახლა კი, ვნანობ. ნეტა იქვე მოვმკვდარიყავი სისხლში, ნარწყევში...

**წამყვანი:** რას გრძნობდი იმ დროს, როცა ქმარმა ლარნაკი გესროლა?

**მედეა:** ამქვეყნად რაც კი რამ არსებობს, სუნთქავს, აზროვნებს,

მათ შორის სხვებზე უბედურნი ვართ ჩვენ, ქალები:

უპირველესად საჭიროა უდიდეს მზითვად
ვიყიდოთ ქმარი, ვინც სულ მალე დაეუფლება
ჩვენს სხეულსა და ეს ხომ დიდი ბოროტებაა,
მაგრამ მთავარი სხვა რამ არის: კაცად ვარგა თუ
არ ვარგა ქმარი... ჩვენთვის გაყრა სამარცხვინოა,
თანამეცხედრის დაწუნება-შეუძლებელი.
და აი, იმ ქალს, სხვის ოჯახში რომ შეაბიჯებს,
სადაც სხვა ზნე და ადათია, რაც არ სჩვევია,
მართებს იმისნოს, რით აამოს თავის მეუღლეს.

**წამყვანი:** ანუ, გამოდის, რომ ფემინისტი ხარ, არა?

**მედეა:** ჩვენ არ ვიცით ხოლმე, სარეცლის გაზიარებისას გვერდით კაცი გვიწევს თუ მხეცი. მე იღბლიანი ვარ. მხეცად ქცეული კაცი შემხვდა.

**წამყვანი:** სად გირტყამდა? რითი გცემდა?

**მედეა:** მეორე შვილზე ორსულობისას, სახლიდან ხშირი გასვლები დაიწყო.

სად მიდიხარ?" - ვეუბნები.  საქმეზე" - მეუბნება. სხვა გაიჩინა, ჩემი ალტერნატივა. სუნამომიპკურებული სახლის დესპოტი თავის ჯაგრისივით უხეშ წვერს სამ დღეში ერთხელ მაინც იპარსავდა. ვხვდებოდი, შინ უცხო ქალის სურნელი შემოჰქონდა. არც იმდენად სულელი ვარ, ეგ რომ ვერ მეგრძნო, მიუხედავად იმისა, რომ მე მათთვის ბარბაროსი ვიყავი, უცხო, მისანი. შესაბამისად, საშიში და, რაც მთავარია, ასოციალურობისთვის განწირული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე ჩემზე იმასაც ამბობდნენ, ქმარს გონებას ურევს, საჭმელში ბალახეულს უყრის და მორალურად სპობსო. სასაცილოა. ყველამ იცოდა ვისთანაც დაეთრეოდა, ყველამ. ეს იყო დესპოტის ქცევის ლეგიტიმაცია მათი მხრიდან, ხალხის მხრიდან, უმრავლესობის მხრიდან...

პაუზა.

რა აკლდა? ფრიგიდული გავხდი? არამგონია. ეთქვა და ამ მეორეს არ გავუჩენდი. ხომ მომაშლევინა ორჯერ მუცელი. ხომ ვენდე. ახლაც საკუთარი ხელით მოვგუდავდი მორიგ ნაყოფს. სხვა გყავს?" - ერთხელ გავბედე და ვკითხე. ბავშვიც ისმენდა, კალთაში მეჯდა. ჰო რომ ვთქვა, ამით რამე შეიცვლება?" - მეუბნება. მითხარი თუ ვერ გაკმაყოფილებ, არ მეწყინება. ნაყენს დაგიმზადებ, კირკემ მასწავლა, მამაჩემის დამ". ყბაში გამარტყა. გადავყირავდი... ირგვლივ ყველაფერი დატრიალდა. სახე მიხურდა. ბავშვმა ისტერიული ტირილი მორთო. ეს ადგა და გავიდა.

შვილის თვალწინ მცემა. საკუთარი ვაჟის თვალწინ.

**ჟურნალისტი:** გიყვარდა საკუთარი შვილები?

**მედეა:** რომ არ მყვარებოდა, საკუთარ ქმარს მოვკლავდი.

***პაუზა.***

***ჟურნალისტი:*** მაშინ ასე გკითხავ: რატომ დახოცე? არ გაგიჭირდა?

**მედეა:** დავხოცე მხოლოდ იმიტომ, რომ ის მეტანჯა.

**ჟურნალისტი:** და შენ ქმარს რა რეაქცია ქონდა?

**მედეა:** ჩემთან მოვარდა, ხაილით: როგორ გაბედე საკუთარი შვილების მოკვლა? როგორ დამტოვე უშვილძიროდ, როგორ დამღუპე!". მლანძლა: ძუ ლომი ხარო და ტირსენიის ზღვაში მობობოქრე სკილაზე უფრო საშინელი რამ. სასაცილოა! ო, ყველაფრის მხილველო ზევსო, გესმით? კაცი, რომელმაც სარეცელი წაბილწა, კაცი, რომელმაც საკუთარი ვაჟის თვალწინ მცემა, კაცი, რომელმაც ჩემი საცოდავი ძმის ლარნაკით თავი გამიტეხა, კაცი, რომელმაც საკუთარ სახლში გამაუპატიურა, მე მთვლის სკილაზე საშიშ არსებად! ვეუბნები:

შენ სარეცელი წამიბილწე, მე არ დაგაცალე
ჩემი აგდება სასაცილოდ, არ გაზეიმე.
ვერც დედოფალი, ვერც კრეონი, რომელმაც შენ დაგაქორწინა,
ჩემს გაძევებას დაუსჯელად ვერ გადაურჩა.
ახლა რაც გინდა ის მიწოდე: გინდა ძუ ლომი,
და გინდაც, სკილა, ტირსენიის ზღვად მობობოქრე,
რაც მოხდა, იმან შენ ხომ შეგძრა გულის სიღრმემდე.

**წამყვანი:** კმაყოფილი ხარ შურისძიებით?

**მედეა:** არ არის განა კმაყოფილება, როცა შენი ცხოველი ქმრის წაშლილ სახეს ხედავ?

მეუბნება: კი, მაგრამ შენც ხომ იტანჯები, შენც ხომ განიცდი. ვეუბნები: დიახ, და შენ რომ არ ზეიმობ, ლმობას მიამებს!

მანამდე კი, ახალი ცოლი დავუნვი თვალწინ. ჰო, ის კახპა. ჩემი პეპლოსით.

პაუზა.

ამაზრზენი ვარ? რატომ მანჭავ მაგ ლამაზ სახეს? შენც გეზიზღები? შენც ვერ მიტან?

**წამყვანი (ყალბად იღიმის):** აქ კითხვებს მე ვსვამ.

***პაუზა.***

სარეკლამო პაუზამდე სულ რამდენიმე წუთია დარჩენილი და მინდა ერთი კითხვაც მოვასწრო: რამეს ხომ არ ეტყოდი ტელემაყურებლებს?

**მედეა** (ოქროს საწმისს აღმართავს): ამის ბრალია ყველაფერი. ამან დამღუპა: მეც, მამაც, ხალხიც. სიამოვნებით მოვგუდავდი ჩემი ორი ნაყოფივით, აქვე მოვახრჩობდი ან ჩავცემდი დანას, მაგრამ არ შემიძლია. თქვენ უნდა მიხსნათ.

**ჟურნალისტი:** კი, მაგრამ როგორ?

**მედეა:** მე მას გიბრუნებთ, ის თქვენია. მართალია, ეგ ვერც მამაჩემს გამიცოცხლებს და ვერც საბრალო აფსირტოსს, მაგრამ ოქროს საწმისი კოლხეთს ეკუთვნის.

**ჟურნალისტი** (ეცინება): ის ხომ ნამდვილი არაა? არც შენ... ( იბნევა) როგორ ვთქვა, არ ხარ ნამდვილი. მართლა, უჩვეულო სიტუაციაში ვარ. ძეგლს ვართმევ ინტერვიუს, ამას მყარი ფსიქიკა ჭირდება...

*(ნერვიულად იცინის)*

***მედეა:*** შენ რა, დამცინი?

**ჟურნალისტი** (ყურში პროდიუსერი რაღაცას ატყობინებს)**:** ახლა კი სარეკლამო პაუზა. არ გადართოთ. ჩვენ მალე დაგიბრუნდებით.

## III სცენა

**ინტერმედია**

გულახდილმა საუბრებმა" რეკორდი მოხსნა. აჩვენებს BBC, CNN და სხვა სატელევიზიო თუ ბეჭდური მედია.

მედეაზე უკვე მთელი მსოფლიო ლაპარაკობს.

გადაცემამ საქართველოში 3 000 000-ზე მეტი ნახვა დააგროვა. გადაცემის ფეისბუქ გვერდზე სრული ორგიაა:

**Irakli Khichikashvili:** rakhdeba too? Ra ambebia? Mamaos vusmine im dges. Martalia, bozishviliviko. Meored mosvlaa.

**Matsatso fantsulaia:** ფილმს ხო არ იღებენ, რამეს? შოკში ვარ, შოკში!!!: დდდდდ

**jemali gelbakhidze:** ამათი დედასშევეცი მაგარი უტრაკო მთავრობა გვყავს ბიჯო ხო ტქვეს უკვე არაქრისტიანულად აიგო ეგ ძეგლი დაჟე ნაკურთხიც არ ყოფილაო. აილეთ ძმაო ვერტალიოტი, დასვით მღვდელი, ჩაუსხით შლანგში ნაკურთხი წყალი და დაასხას რა თავზე ამ დედააფეთქებულს იქნება ქრისტეს რჯულზე მობრუნდეს და გვეშველოს რამე ვაააააახ.

**Gauqmebulia gauqmebulia:** ხალხს კი არა უკვე ძეგლებსაც ეტყვნებათ ტვინი ჩვენი გოიმი პრეზიდენტის გადამკიდე ჰაჰაჰაჰაჰა::დდდდდდდდდ

**ცელქი მარინა:** კადრების ყურებისას ისე ავნერვიულდი ნაადრევი მშობიარობა დამეწყო... გოგო მეყოლა მედეა დავარქვი მომილოცეეეეეეეეეეეეეთ!!!!!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**Mama malkhazi:** Gagtskvitat chirma ert dges!........................................................................

**ზაზა შამათავას (კერძო ფსიქიატრის!) ფეისბუქ პოსტიდან:** ვნახე კადრები! აჰაჰაჰაჰაჰა! ვიცინე! მთავრობამ ჩაიჯვა! (ახალი ამბავი!). ისე, ბოდიში, ჩემი პოსტის მკითხველთან, მაგრამ მე მგონი, რეფლექსიის რეცეპტორები მოგვიჩლუნგდა. :დდდდდ ხალხო, გაანძრიეთ ცოტა ტვინი. დაგუგლეთ მაინც - არგონავტები, ევრიპიდე, აიეტი, რამე... ნუ პანიკიორობთ! შეგჭამთ არა - კვახი! ტრავმების ბრალია, ეგ! ჰო, ტრავმების და ქსენოფობიის. „უცხოს" მიუღებლობის კომპლექსი გვაქვს, თუმცა ეგ ქალი ჩვენიანია. პრაქტიკულად, პირველი ემიგრირებული ქალია. ჩვენი ემიგრანტების დიდი დედა! არქი დედა! ჰაჰა!

ისე, მე მგონი, ცოტა ფროიდიც რომ ჩავრთოთ, კლასიკური ვაგინალურ-ფალოსური დისკურსია: სვეტი, ვითარცა ერეგირებული პენისი. ხოლო მედეა, ვითარცა უძლები დაი, რომელიც გამოვიდა ძეგლის სტატიური ფრიგიდულობიდან და ახურუშდა... პრაქტიკულად, ქალაქის პენისზე ზის...:დდდ

დიდი დედა-გამანაყოფიერებელი!

პ.ს. ისე, ფემინიზმის ტალღა რომ აგორდეს... ვაჲა!

........................................................................

........................................................................

## IV სცენა

აქციები, ათენი და სხვა...

*ბათუმი. თავისუფლების (ყოფილი ერას) მოედანი. ცენტრალური ქუჩები გადაკეტილია. მობილიზებულია: პოლიცია, სპეცდანიშნულების რაზმი, სასწრაფო, სახანძრო, სამღვდელოება, ჟურნალისტები დადაგეგმილი აქციის ორგანიზატორ-მონაწილეები.*

*სვეტთან, აქციის სიახლოვეს, ოქროს საწმისის ნამსხვრევები ყრია.*

*მონაწილე ქალები სვეტის ირგვლივ დგანან, წრიულად. ხელში ტრანსპარანტებით: „ქალიც ადამიანია! „ „ძირს მასკულინური ჰეგემონია!", „ჩვენც მოგვისმინეთ!", „ნუ გვკლავთ!" „უთხარი არა ოჯახის დესპოტს!" და ა.შ.*

აქციის ლიდერი ანა-მარია სისინაშვილი (მეგაფონით სკანდირებს):

დაუბრუნეთ მედეას სრულფასოვანი მოქალაქის უფლება!

ისმის ქალთა ქოროს ხმები:

**პირველი ხმა:** მედიკოს არ დავთმობთ!

**მეორე ხმა:** ისიც ძალადობის მსხვერპლია, ჩვენსავით!

**მესამე ხმა:** დაუყოვნებლივ გადაეცეს საცხოვრებელი სივრცე.

**მეოთხე ხმა:** მედეა, გვიყვარხარ!

**ერთხმად:** მედიკო! მედიკო! მედიკო! მედიკო! მედიკო!

*მედეა სვეტზეა ჩამომჯდარი და ქალებს აკვირდება.*

***ანა-მარია სისინაშვილი (მეგაფონში):*** დაგველაპარაკე!

**მედეა:** იმ დღეს, როცა ბავშვის თვალწინ ყბაში გამარტყა, ცერბერივით შემომიღრინა და ისე გავიდა. უფროსი უკვე მამას გავდა. გენეტიკურად დაბოხებული ხმით და დეპრესიული ბლვერებით. რა უნდოდა? საკუთარ შვილებში ცდილობდა რეალიზებას? არა! არ დავუშვებდი! იქნებ, ამიტომ დავხოცე! უფრო სწორად, ეგ იყო მიზეზი! ჰო, მას რომ არ დამსგავსებოდნენ! არ ვიცი, მინდოდა, ეტანჯა. ჩემსავით... (პაუზა) ერთხელ, სახეჩალურჯებული, საფენებს ვიდებდი, ყვრიმალებზე. ძიძა შემოვიდა. სილურჯის მიზეზი აინტერესებდა. შევბრუნდი. არ მინდოდა, ასეთი მახინჯი ვენახე. „ყველაფერი ვიციო" - მითხრა. „ბავშვმა მითხრაო". ჩავიკეცე და ავქვითინდი.

ნეტავი, აკვანშივე გავეგლისე მამაჩემს...

*(პაუზა)*

ჰელიოსმა მიხსნა. ეტლით... ჰო, ეტლმა ამიტაცა ცაში, ჩემ შვილებთან ერთად. მკერდზე მივიხუტე, ორივე. თითქოს ძუძუს ვაწოვებდი. რატომღაც, იმ მომენტში არ მიტირია... არც მერე. ახლაც ვერ ვტირი. არ ვიცი, რატომ! ცუდი დედა ვარ?

**ქალები ერთხმად:** არა!

**ანა-მარია სისინაშვილი:** შენ ჩვენ გვჭირდები! ორგანიზაციის ლიდერად გაქცევთ! ჩვენი სახე იქნები!

**მედეა:** არ ვიმსახურებ აქ დარჩენას. გიღალატეთ... დამნაშავე ვარ...

*(ხელებს მაღლა აღაპყრობს)*

საღ ხარ, ჰელიოს! გთხოვ, წამიყვანე!

**ანა-მარია სისინაშვილი:** მედეა, დარჩი!

**ქალთა ქორო:** - ნუ მიგვატოვებ!

- ათენში წავალთ!

-შენც წაგიყვანთ!

-მოხუცს მოვუვლით!

- ჩვენთან იქნები!

- გვიშუამდგომლე!

- სხვა არავინ გვყავს!

- თუ გვიპოვეს, მოგვკლავენ ქმრები! არ გვაცოცხლებენ!

**ანა-მარია სისინაშვილი:** რა გადაწყვიტე?

***ხანგრძლივი, დაძაბული პაუზა.***

***მედეა (პაუზის მერე, განწირული ხმით):*** ნუთუ ღმერთებმაც ზურგი მაქციეს?!

***მედეა სახეს ხელებში ჩარგავს და ტირის.***

*V სცენა*

*დემონტაჟი ანუ DeusEx machina*

***პირდაპირი ეთერია. კადრში ვხედავთ 2 ვერტმფრენს, რომელზეც თოკებით მედეას ძეგლია მიბმული.***

***მედეა:*** ვიცოდი, არ მიმატოვებდი, მაღალო ჰელიოს! წამიყვანე ერეხთევსის სამფლობელოში, იქ პანდიონის ძე ეგევსთან ერთად ვიცხოვრებ.

***ძეგლი ნელ-ნელა სცილდება სვეტს და ჰაერში იჭრება.***

*დასასრული*

*2019 წელი, ნოემბერი*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გიორგი კეკელიძე

## დუმილის სიმღერა

*„ჩვენ ვართ ის, რაზეც ვდუმვართ"*
*უ. ფოლკნერი*

*„სულ ჩუმათა ვარ, ასე ვტირი"*
*მეეზოვე ვილიამა*

პირში დუმილი დავიგუბეთ,
მალე დალპა,
ჩვენში წვეთავს და ძარღვებში სისხლთან ერთად მიედინება.
„ადამიანის სხეული ხომ უმეტესად წყლისგან შედგება" - გვითხრა ერთხელ მასწავლებელმა და არ იცოდა,
რომ ეს წყალი ის წყალია, ნაწილ-ნაწილ ჩაყლაპული, ჩაგუბებული -
ჩვენში წვეთავს და ძარღვებში
სისხლთან ერთად მიედინება
და
ძარღვებს ფხაჭნის
და გაკაწრულ, უთხელეს ძარღვებს
სისხლში სულ სხვა სისხლი ეღვრებათ.
არავინ იცის ამ მღვრიე და სუნიან წყალზე,
დუმილის წყალზე -
გულს რომ ეს წყალი ამოძრავებს,
ესვე აჩერებს.
ჩვენ ჩავყლაპეთ ჩვენი უხმო და ოცნებებგამოფატრული
შორი ბავშვობა
და მერე მკვდარი ახალგაზრდობა,
ნაწილ-ნაწილ დავჭერით და გადაეადნეთ - წყლად ვაქციეთ
და ჩავყლაპეთ.
ჩავყლაპეთ მზერა -
მეტროსადგურის ჩასასვლელთან მდგარი გოგოს და გოგომ ბიჭის - რადგან შუაში ბევრმა ხალხმა, ჭრელმა ხალხმა გამოიარა - ცოტა ხანი დავიგუბეთ, ვერ ვიპოვეთ ერთმანეთი და ეს მზერაც წვეთ-წვეთობით სხეულის ჭაში ჩაგვეღვარა.
ყველა უარი სიყვარულზე,
ყველა წასვლა,
ყველა ზურგის ცივი თვალები.
ფეხის ყველა გადაბრუნება.
ვიყოთ სასტიკი და ესეც ვთქვათ,
ფიქრის ყველა გადაბრუნებაც:
ყველა კაცი და ყველა ქალი,
ვისი მოკვლაც მოგვინდა და ვერ შევძელით ან არ შევძელით -
ცოდვის შიშში გავაწყალეთ - ისე ჩავყლაპეთ!
ასეა, ჩემო გულუბრყვილო მასწავლებელო!
შენც წყალი ხარ,
მეც წყალი ვარ,
ისიც წყალია.
დაგუბებული და დამპალი, უფერო წყალი.
უცნაური ამ საქმეში მხოლოდ ის არის -
რომ წყალი ვართ და ოდესმე მიწად ვიქცევით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თოვლის სიმღერა

შენ ძლიერ გიყვარს იისფერ თოვლის კალოშებიდან გამობერტყვა,
როცა ღამეა,
როცა მე მძინავს და შენ იწყებ ფრთხილ ჩურჩულს ღმერთთან:
„ღმერთო ხმა თუ არ, ფიქრში ფიქრი მაინც გამეცი!"
და ღმერთი ფრთხილობს, ღმერთმა იცის კაცთან ლაპარაკს,
ხანდახან მოსდევს კაცის ზურგზე უცები ფრთები
და კაცმა იცის უცხო გზებზე ფრთებით გაპარვა
და მერე ფრთები მიუჩვევი სიცხისგან დნება.
და ამიტომაც ღმერთი გინდობს, ღმერთი ჩუმია,
შენ აშრობ კალოშს და უღმერთოდ გაყინულ ღამით,
როგორც დამხრჩვალი ოცნებების თბილი მუმია,
გვერდით მიწვები, ფეხებს მითბობ და ღიმილს გალობ.
ბნელა - მე ვხედავ და მე მესმის ღიმილის ხმები,
ვთბები და მხოლოდ გვიან ვხვდები, რარიგ ძნელია,
როცა ძარღვებში გადაღლილი სისხლი უხმებათ,
ფიქრი უხმებათ და სიტყვები სულ სხვას მღერიან.

## ღმერთის სიმღერა

ცხადმა იმდენი ქვა მესროლა
- ძილი გამიტყდა - გატეხილი ძილის წვრილი ნაპრალებიდან, ლოგინზე ფრთხილად დაიღვარნენ ჭრელი
სიზმრები.
ერთი სიზმარი იქ დაგუბდა,
სადაც თავში შენზე ფიქრის კედელი იდგა -
კედელმა ტანი მიუშვირა, არ გამოუშვა.
და იმ სიზმრით დამესიზმრა,
რომ მე ღმერთი ვარ.
რომ ღმერთი ვარ და რახან ღმერთი,
გადმოვჯექი ჩემი დაღლილი მანქანიდან ცეცხლოვან ეტლზე და ანგელოზებს მოვუწოდე:
წამიყვანეთ კვირიკეთის სასაფლაოზე!
- მამა, გამოვედ გარე!
მამა გამოვიდა ჩემი ნაქონი ბათინკებით,
სხვა დანარჩენი უკვე თითქმის შემოხეოდა,
ხელში მალავდა სიგარეტის დაჭმუჭნულ კოლოფს,
სიგარეტზე დაჭმუმჭნულ ხელში -
არ ვიცი
ვინმე მეზობელმა მკვდარმა მიაწოდა თუ ჩემმა ლოცვამ.
ხელში მალავდა წითელ კოლოფს და მზერაში გაკვირვების ნაფაზს მალავდა.
ის არ უკვირდა, რომ გაცოცხლდა,
უფრო ის - რომ ამდენი ხანი არ მივედი,
არ გავაცოცხლე - მამაჩემს ხომ აქამდეც კი ღმერთი ვეგონე.
მოვდიოდით მე და მამა ჩქარი ნაბიჯით,
მოგვკიოდნენ მეზობლები საფლავებიდან - ამოგვთხარე და გაგვაცოცხლე!
მეზობლები კი არადა, ბებიაც და პაპაჩემიც იქვე დავტოვე.
ვიფიქრე - მაინც ხომ ღმერთი ვარ, ხვალ გამოვივლი.
მივედი სახლში, გადმოვიღე ბავშვობა და ყველა რძიანი შოკოლადი,
რაზეც მაშინ მიოცნებია, ერთად შევჭამე.
მერე გათენდა და სკოლისკენ გავეშურეთ მამაჩემის თეთრი მანქანით,
რომელიც მამაჩემს არასდროს ყოლია.
და გზაზე ისე მიხაროდა შურიანი მზერის ქარი,
არც არავის გავუჩერეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლაში უცებ ავუხსენი სიყვარული იმ ლამაზ გოგოს
და იმ გოგონამ საპასუხოდ ჩუმად მითხრა, მეც ხომ მიყვარხარ.
ნუთუ? - ვკითხე და მიპასუხა - შენ ხომ ღმერთი ხარ!
მაშინ ვიფიქრე და ვუთხარი: თუ ასეა, აქ დამელოდე!
აქვე, ახლო სკოლებს მოვივლი, იქნებ უფრო ლამაზი და კარგი ვიპოვო!
მივედი ჩემი ბავშობის მტრებთან -
ზოგს ჯინსის ქურთუკი დავუხიე,
ზოგს ველვეტის ლურჯი შარვალი.
იდგნენ და ხმასაც ვერ იღებდნენ,
უცნობი შიშით მიყურებდნენ
და ერთმანეთს ფრთხილი და ზუსტი მუჯლუგუნით ახსენებდნენ -
ის ხომ ღმერთია.
როცა სახლში დავბრუნდი და წამოვწექი,
ამდენი დიდი, საოცარი საქმით დაღლილს ჩამეძინა
და გამეღვიძა. გამეღვიძა ადამიანად.
ისევ იგივეს გაკეთება მომინდა და ველარ შევძელი.
არაფერია უფრო საშიში და საზარელი
ვიდრე ჩემი ღმერთად ყოფნა და ალბათ შენიც,
ჯობს იმ გოგომ არ მიპასუხოს,
ჯობს შოკოლადი მენატრებოდეს
და მე ფორმის, მათ ველვეტის შარვალი ეცვათ,
ჯობს მამაჩემი ისევ იქვე, კვირიკეთის პაწაწინა ღობეში იწვეს,
ახალ მეზობლებთან ერთად.
განა იმიტომ, რომ ძალიან კეთილი ვარ,
განა იმიტომ, რომ
იმიტომ, რომ
იმიტომ.
უბრალოდ ამას ისე ვიზამ,
როგორც ადამიანი -
ამას, რაც ღმერთად ყოფნისას ვქენი.
უფრო ნელა, წვალებით და დამარცხებით.
მაგრამ ვიზამ.
რადგან არაფერია უფრო საშიში და საზარელი, ვიდრე ადამიანი.
და უფრო საინტერესო.



## უკვდავების სიმღერა

ჩვენ დავიბადეთ შუა თებერვლის მზის დაბრეცისას,
როცა ცაზე ღრუბელია და ღორის სისხლზე დაქცეული არყის სუნით სალამოვდება.
ჩვენ დავიბადეთ იქ,
სადაც ადამიანები უცნაური ყვავილებივით ამოდიან
მშობლების ოფლიდან და პირველივე ქარი, როგორც სარეველებს,
ისევ ოფლში აწვენს პირქვე.
ჩვენი სახლის შესასვლეთან ეკიდა თოკი, თოკზე ხაჭო იწრიტებოდა
და ხანდახან თავსაც იხრჩობდნენ.
ჩვენ დავიბადეთ ცალ-ცალკე
და მაინც ერთად, რადგან ჭიპლართან ერთად ჟანგიანი
მაკრატლებით ფრთები მოგვაჭრეს -
არაფერია მოჭრილ ფრთებზე უფრო მძიმე, თუნდაც ზურგზე ამ სამყაროს მთები გეკიდოს.
ამიტომაც მოხრილები დავიბადეთ და
გავიზარდეთ და მიწაზე მუდამ თვალებს ვადგამთ ყავარჯნად.
ოთახში იდგა გარდაცვლილი ტელევიზორი და ეკრანზე, მონაცრისფრო სიმრუდეში ვირეკლებოდით:
პირში დამწვარი ხაჭაპურით და ჯიბეში ნაკლეიკებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელში ჩანთით და იმ ჩანთაში სიცარიელით,
რომელსაც თითქოს წიგნები ერქვა.
ამ წიგნებში ეწერა წარსული, რომელიც არც ანმყოს ჰგავდა
და მით უფრო, უცნობ მომავალს.
ამიტომაც ცარიელი იყო ეს წიგნები,
ცარიელი იყო ჩანთაც და ძალიან, ძალიან მძიმე.
იმ მოჭრილი, თხელი ფრთებიეით.
მეზობლად გვყავდა მოხუცი ქალი,
ნესტიანი ხალათის სუნით, ბაცი თმისარჭით და ვრცელი ვარცლით,
სადაც 40 წლის წინ დაკარგული ქმრის ტანსაცმელს,
ყოველკვირა, ჩუმად რეცხავდა.
ამ ქალისგან გადმოგვედო უიმედო ლოდინის გრიპი.
ჩვენ მოლოდინის თაობა ვართ და ამ ლოდინს ყოველკვირა ვრეცხავთ და ვაშრობთ.
და ლოდინი არც ძველდება და არც მთავრდება.
ჩვენ დავიბადეთ და კედელზე ჩვენს ჩრდილებს გვავართ,
ლამფის შუქზე რომ იწელება,
იწელება და სადღაც წყდება,
როცა ბავშვი ვართ და ზეპირი შელამებიასას,
მოღლილ ოთახში, უფროსების გასახარად,
საკუთარ თავს ასე ვაჯავრებთ.
ჩვენ დავიბადეთ და არასდროს აღარ მოვკვდებით -
რადგან ასეთი დაბადება სიკვდილისგან დიდად შორსაა -
ჯერ სიცოცხლემდეც არ მივსულვართ და არვინ იცის,
მივალთ თუ არა.
უკვდავებისთვის ღირდა ჩვენი დაბადება -
გაუსაძლისი და ძვირფასი უკდავებისთვის.
უკვდავებისთვის.

## გამონაცვლის სიმღერა

მე ვიწექი გამონაცვალ თეთრეულში.
ვიწექი
მეზობლის გამონაცვალი სიცხით, რომელსაც ცოტა წავუმატე
- 38.5
ბიძაშვილის გამონაცვალი მაისურით,
რომელსაც ცოტა დედაჩემმა ნაუმატა
- სახელოებზე.
დილით ვდგებოდი და ვიცვამდი ვიღაცის გამონაცვალ შარვალს
და ვსვამდი რძეს
და მეოთხე დღეს მივდიოდი სკოლაში
გამონაცვალი ჩანთით
და ჩანთაში გამონაცვალი წიგნებით
და გზაზე მოდიოდნენ ჩემი სკოლელები
და მათაც ეცვათ გამონაცვალი და
გვხვდებოდნენ მასწავლებლები გამონაცვალი პიჯაკებით
და გამონაცვალი სახეებით
და ცაზე მზეც თითქოს გამონაცვალი ეკიდა.
არაფერი იყო ახალი,
გარდა მთვარისა,
ისიც წელიწადში რამდენჯერმე მოდიოდა,
მაშინ, როცა გვეძინა
და ძილში ცხადის გამონაცვალ სიზმრებს ვხედავით.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნათია გიორგაძე

## ბავშვობა

ალარ ყეფს ძაღლი,
როგორც სოფლის საძიებელი,
გატბევდა ზღვარი ზამთარ-
ზაფხულ არიან სხვაგან,
ამ ეზოს ჰქონდა
მწვანე ღობე,
მწვანე ჭიშკარი
და ფრთაგაშლილი
ხელისგულზე ჭიამაია.

* * *

ეს ჩემი სიტყვა
როგორც ტყეში პირველი შესვლა,
იყო ჰაერი მოსალოდნელ
შედეგებს შორის,
არ გავდა შაშვის ნაღვლიან სტვენას,
შავი შაშვისთვის დაგებულ მახეს
და მონადირეს მშიშარას შაშვზე
და მონადირეს სულგანაბულს
და მეთვალყურეს,
დას, სიკვდილისგან დაბრუნებულს
იკრავდა გულში,
ეს ჩემი სიტყვა, მოსასმენად შეუძლებელი
და შესახედად შეუძლებელი
მზის ქვებით სავსე,
გამომშრალი, მეტაფორები,
როგორც ზოგადი უნარების
არ მცოდნე ტიპი, დიდ პოეტებში
უდიდესი და უცაბედი,
ბრონეული, ამ შავ-ბნელ ტყეში
აყვირებული ბრონეული, ამ შავ-ბნელ ტყეში
გარეთ - ატლასი შიგნით - სამშობლო
მოსაწყენი და ულამაზესი,
ეს ჩემი სიტყვა ყინვაგამძლე,
საფრთხეში მყოფი,
ტყვე ქალივით გამოსახსნელი,
ენით უთქმელი, ეს ჩემი სიტყვა...



* * *

*ზვიად რატიანს*

ამ ხელებიდან დაპურებულ
მგლებს კბილებს ვუთვლი,
მიწაში ჩაძვრნენ ყვავილები
თან ჩაიტანეს
ვისაც გააჩნდა პოეტები,
სურვილი სუნთქვის,
იმას გააჩნდა ვიღაც
ღმერთზე ამბოხებული.
ჩვენ ვამბობთ ახლა
რასაც სხვები აღარ იტყვიან,
რასაც ღრმა ძილშიც დამალავენ
საგულდაგულოდ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რადგან არ ახდეს,
რაც ძნელია შესაგუებლად,
რომ სანამ მტერი მოვიდოდა
მეფე დაუწვა მანამ და მისცა
მას ყველაფერი...



წყალში თავჩაყოფილ პოეტს,
უკვე დასაღრჩობად - მართალს,
ხედავს ჩემი თვალის ფსკერი,
სახით თვალთმაქციერს
ვწვდები და ვუყვირი:
იგი ჩემი ძმაა, გაუშვი,
მე მზე გამიშავდეს უმისოდ!

ხელს ვშლი ვარსკვლავების ქიმივით
ელავენ მშვიდობის ეშვები.
ელავენ და როგორც შუქნიშანს,
ვერც გაქრობ, ვერც წუთით გელევი.

* * *

როცა გზად ტოვებ ადამიანს
და თავს იმართლებ: - ლამე საშიში
სულ არაა, მღვრიეც არაა,
ღამის მთეველი მლოცველები -
მწვანე, სწორფრთიანი კალიები
თავდახრილები...
მზეს შევესიეთ და დავიწვით,
ყავა მოვხალეთ, დალევა კი
ვერ მოვაწარით
და ტყვიისფერი ფოთლებიდან
თეთრ ყვავილებზე
გადავიტანეთ საუბარი,
მაინც გვახსოვდა, რომ დავტოვეთ,
რომ ყაეარჯენიც არ მივუტანეთ,
ის მკვდარი იყო, მაგრამ მაინც,
მაგრამ ყოველთვის ...
ჩვენი სასჯელი შეტანილი
სჯულის კანონში
არ იყო დიდი,
ადამიანებს ღმერთმა მისცა
ხმოვნები, მხოლოდ თანხმოვნებთან,
წერილობითი თუ სიტყვიერი
გაფრთხილებები,
გაფრთხილებები,
როგორ მიყვარხარ მკვდარო,
გზაში მიტოვებულო,
შენთან გასამხელ დარდებს
ვიტევ და ვემზადები...

* * *

ქარს ვაკვირდები,
რაღაც შეიცვალა,
მისმა ხმამ რაღაც დაიტია,
თითქოს ქარაბაკი აყვავდა,
გამხმარი, უსიცოცხლო ქარაბაკი,
თითქოს ეს ამბავი
გუშინდელი,
უნდა მიიტანოს



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინმემ გულთან,
უნდა უთვალთვალოს
მთვარის სეზონს,
ბავშვის დაბადებას
ბაკმიანი ღმერთი
დაიშურებს,
ისევ შემოკარავს
ვარსკვლავებით ეზოს,
ეს ხომ ყველაფერი იყო,
როგორც ყველა იყო,
და ყველას ვიცნობდით.
ეს ხომ ნებისმიერ ჩვენგანს შეეძლო,
ვირთხებს და თვითმფრინავებს აყოლოდა,
ერთზეც ეფიქრა და მეორეზეც,
რადგან განსაცდელი მოვა
უთუოდ შიგნიდან...



* * *

ის ხეიბარი გენიოსი,
სულფამიდური წარმოშობის
აბებს რომ ყლაპავს,
ცოცხლად რომ მღერის
და ჩემს გულში ყიამათს ათბობს
გზას მივამატე, როგორც უცხო
ქვეყნის სავალზე, ქალაქებს შორის
უდიდესი, როგორც დამასკო.
... წინ მიიწევდა წმინდანებით
სავსე ნანგრევი, უთავისქალო,
უფარისევლო, უმზაკვრო...
დედა-მიწა, მამა-ღმერთი,
ქალწულებმა ქალწულებს
უგანეს...

* * *

ხეებზე ფოთლები ცეკვავენ
მე სახლის კარს ისევ ვამოწმებ,
შენს ხმაში თანდათან შეპარულ
სიტყვებს, მეხი არ დაეცეს,
გამხმარი პურივით ვინახავ,
სულ ზედა, სამზეო თაროზე,
სადაც გადავმალე ქარვები,
ჩემი ბედნიერი დღეები,
როცა წამალივით ვიტირებ,
თვალებს ავიფარებ ხელებზე,
ბრმა ვარ, ვიტყვი: თვალუწვდენელი
არც ზღვა, არც მინდორი არა მაქვს,
მხოლოდ დასანახი ფანჯრიდან,
ის რაც გაანათა ახლა ცამ:
ჯვარზე - კაცი და
ავაზაკი...
(მგონი ინვიმებს),
თავდახრილი,
დგახარ საწოლთან,
მესამე დღეა,
დედა კვდება,
ისევ ვამოწმებ
სახლის კარებს,
მესამე დღეა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სქოლასტიკ მუკასონგა

# აქა ამბავი ძროხათა ქებისა

*ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ*



*სქოლასტიკ მუკასონგა (დ. 1956 წ.) - რუანდელი მწერალი. ცხოვრობს საფრანგეთში, ნორმანდია-ში. არის 2 რომანის, მოთხრობების კრებულისა და მოგონებების 3 წიგნის ავტორი.*

შვიდი წლის ასაკში ძალიან ვამაყობდი იმით, რომ მამაჩემის ნახირის პატარა მწყემსი ვიყავი. ყოველ დილას, როდესაც მამა ჩვენი დიდი ქოხიდან გადიოდა, მელვიძებოდა და თავს მწარედ ვსაყვედურობდი იმის გამო, რომ ასე ღრმად მეძინა, თუმცა, შემეძლო, ჩემი უფროსი ძმების მსგავსად, მასზე უფრო ადრე ავმდგარიყავი და კრაალში მყოფ ძროხებზე მეზრუნა. მწამდა, რომ მამას არასოდეს ეძინა, რომ ყოველთვის ფხიზლობდა. ნიადაგ ფრთხილობდა, რომ მისი საქონელი არ მოეპარათ. რუანდაში ძროხის ქურდობა სპორტის გავრცელებული სახეობა იყო. მწყემსებს ამ ავაზაკებისა ეშინოდათ, თუმცა, მათი გამბედაობა აღაფრთოვანებდათ. ძროხის ქურდები ძალიან მზაკვრები იყვნენ: საგანგებოდ დამზადებული წამლებით აძინებდნენ კრაალის მკვიდრთ, ტეხდნენ ღობეს და თითქოს მონუსხული ძროხები თან მიჰყავდათ. კვალს არ ტოვებდნენ, რადგან ყოვლისშემძლე ჯადოქრები იყვნენ. ფარული ბილიკებით, ჭაობების გავლით ბურუნდიში გადადიოდნენ, სადაც მოპარულ ძროხებს ყიდდნენ და ახლებს ყიდულობდნენ. რუანდაში ზოგიერთი ნახირის სულადობა გასაოცრად სწრაფად იზრდებოდა, მაგრამ ამის მიზეზის გარკვევას ვერავინ ბედავდა.

ისიც უნდა გითხრათ, რომ მამაჩემმა იცოდა, როგორ დაეცვა ძროხები მონუსხვისგან: აკაციის ლობეში თილისმებს დებდა. რისი უნდა მშინებოდა? მამაჩემს თავისი კომბალი და შუბი საწოლთან ედო. იმ დროს ყველა ადამიანი ატარებდა შუბს, მის გარეშე შინიდან არავინ გადიოდა. ბელგიელები ჯერ კიდევ არ კრძალავდნენ შუბის ტარებას, ეს, ჩვენი დამცი-

ეროვნული

რების მიზნით, მხოლოდ მოგვიანებით მოიმოქმედეს. მამაჩემის მშვილდი და ისრები ჩვენი ქოხის შემოსასვლელთან ეკიდა. მამაჩემის გვერდით - როდესაც ის შეიარაღებული იყო თავისი შუბითა და მშვილდ-ისრით, მე კი პატარა კომბლით - ქურდებისა და მათ ჯადოქრობისა არ მეშინოდა. მხოლოდ მრცხვენოდა, რომ ყოველ ღამე მაგრად მეძინა, იმის ნაცვლად, რომ, მამაჩემის მსგავსად, ძროხებისთვის მეყარაულა.

ბაკში შესვლისას მამას არ სჭირდებოდა ძროხების დათვლა: თვალის ერთი შევლებითაც ხვდებოდა, აკლდა თუ არა რომელიმე მათგანი. ძროხები იწვნენ ბალახის საგებელზე, რომელსაც დედაჩემი და ჩემი და აფენდნენ მიწაზე, სანამ ძროხები საძოვარზე იყვნენ. ჩემი ძმები მსუბუქად უტყაპუნებდნენ ჯოხს ნახირის წინამძღოლს, რომელიც მაშინვე დგებოდა, მას კი დანარჩენები მიჰყვებოდნენ. მამაჩემი თვალ-ყურს ადევნებდა, რომ ძროხებს ერთმანეთი რქებით არ დაეზიანებინათ. ხან ერთ ძროხასთან მიდიოდა, ხან - მეორესთან, და კომბლით იცავდა თვინიერ საქონელს ოჩანი ან მფრთხალი თანამოძმეებისგან (განსაკუთრებული აგრესიით გამორჩეულ ძროხებს რქებს ფრთხილად მოვუწვავდით ხოლმე). ყველაზე თავნება ძროხებსაც კი არ ეპუებოდა. ხელით სინჯავდა ისეთებს, რომელთაც წამოდგომა არ შეეძლოთ, ყურებს, თვალებსა და ენებს უთვალიერებდა, ამოწმებდა ნაკელს - მის ფერს, ზომასა და კონსისტენციას და მხოლოდ ამის მერე გადაწყვეტდა, რომელი წამალი უნდა მიეცა ძროხებისთვის. რომელ ძროხებსაც სისუსტის გამო კრაალიდან გასვლა და ძოვა არ შეეძლოთ, მათ კრაალში ტოვებდნენ და თივითა და ახალმოთიბული ბალახით კვებავდნენ.

- კარეკეზი, - მითხრა მამამ, - ინტამატის მიხედე.

მაშინვე ინტამატისკენ გავეშურე. ამ ჯიშის ძროხებს იზინეს" ვეძახდით. მბზინვარე შავი ბეწვი ჰქონდა. როგორც ჩანს, მამაჩემმა ამ ხბოს მოვლა იმიტომ დამავალა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ის მთელ ნახირს თან გაიყოლიებდა. ალბათ, მამას იმედი ჰქონდა, რომ ინტამატი იღბალს მომიტანდა. ვიცოდი, როგორ უნდა მოვქცეულიყავი: კისერზე ვეფერებოდი და ვჩურჩულებდი: ინტამატი, ინტამატი!" შემდეგ ნამიანი ბალახით ფრთხილად ვუწმენდდი ბეწვს იქ, სადაც სხვა ძროხებს მისთვის ტალახი შეეშხეფებინათ; იმდენ ხანს ვწმენდდი, სანამ ბეწვი აბრეშუმივით მბზინვარე გაუხდებოდა. სანაცვლოდ, ინტამატი უხვად შარდავდა. მამაჩემი სწორედ ამას ელოდა. ყოველთვის ღელავდა, როდესაც ძროხა დიდხანს არ შარდავდა. ძროხის კუდს მაღლა სწევდა და წინ იხრებოდა - არ ეშინოდა, რომ შარდის წვეთებით ტანსაცმელი დაუსველდებოდა. გაცინებას ვერავინ ბედავდა. ძროხის ურინა - ამაგანგა"- ძლიერმოქმედ წამლად ითვლებოდა. ძროხის დილანდელ შარდს ვასმევდით ბავშვებს, რომელთა გაბერილი მუცლები მოწმობდა, რომ ჭიები ჰყავდათ.

ჩემი ერთ-ერთი ძმა ხსნიდა მსხვილი ტოტებისგან ოსტატურად დაწნულ დიდი კრაალის კარს, დანარჩენებს კი, მამაჩემის ბრძანებით, ნახირი შემოჰყავდათ. მცირე კრაალთან ბამბუკის ორი ჭოკი იყო ჩარჭობილი და ძროხებს მათ შორის უნდა გაევლოთ. ინტამატის გვერდით მივყვებოდი, რადგან მასზე მე პასუხს ვაგებდი. თვალს ვადევნებდი, რომ სხვა ძროხებს არ ერქინათ. დანარჩენს რაც შეეხება, ინტამატიმ ისევე კარგად იცოდა გზა, როგორც - მე. ვტკბებოდი მისი მსუბუქი მოძრაობებით, ლამაზად დაგრეხილი რქებით, მეოცნებე ფართო თვალებით. ინტამატი... ჩემი სიამაყე და სიხარული ...

მცირე კრაალში, ძროხებისგან რამდენიმე ფუტის მანძილზე, სველი ბალახისგან უზარმაზარ კოცონს ვანთებდით; მისი სქელი კვამლი აფრთხობდა ბუზებს, რომლებსაც შეიძლებოდა გაეწამებინათ საქონელი. ახლა უნდა მოგვეშორებინა ძროხების ყურებთან და თვალებთან, ასევე - კუდებქვეშ ჩამჯდარი ტკიპები და დაგვეთვალიერებინა მათი ჩლიქები და ამოგველო მათში ჩარჭობილი კენჭები ან ეკლები. ნაკაწრებზე მამაჩემი ბანანის ხის ტოტის ლაფნისგან დამზადებულ მალამოს უსვამდა. ო, როგორ სიამოვნებას გვანიჭებდა ძროხების ბეწვის წმენდა, მათთვის ალერსიანი სიტყვების ჩურჩული.

შემდეგ ნახირი მცირე კრაალიდან აწეულზე გამოგვყავდა, სადაც ძროხები ნამიან ბალახს ძოვდნენ.

როდესაც მზე მაღლა ადიოდა ცაზე, მაგრამ დილის სიგრილე ჯერ კიდევ იგრძნობოდა, დგებოდა წველის დრო - აგასუსურუკო.

დედაჩემი და ჩემი დები გვიერთდებოდნენ და ხის ვედროები მოჰქონდათ. ამ ვედროებს ცეცხლოვანი ხეებისგან თლიდნენ, რომელთა წითელი ყვავილების ჩრდილები კრაალებს ეფინებოდა. უმცროსი გოგონები ცეცხლთან სხდებოდნენ საკუთარი პატარა - საგანგებოდ მათთვის გამოთლილი - ვედროებით.

შემდეგ იწყებოდა წველა. ეს იყო საზეიმო მომენტი ყველასთვის, ერთგვარი რიტუალი. ცოტათი ღვთისმსახურებას წააგავდა - რომელსაც ყოველდღე ვესწრები ახლა, როდესაც ძროხები აღარ მყავს - და ამ დროს მამაჩემი მღვდლის როლს ასრულებდა. ძროხებს ერთიმეორის მიყოლებით იძახებდა. მაგალითად, სონგა! სონგა!" და სონგა ზანტად მიდიოდა მასთან. მამა იმეორებდა ძროხის სახელს, ეფერებოდა, ეუბნებოდა: ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო!". შემდეგ სონგას ხბო ბოსლიდან გამოგვყავდა და მცირე კრაალში შეგვყავდა. ვინაიდან ხბოს დაბადებისთანავე სახელს ვარქმევდით, ახლა მივმართავდით: რუტამუ! რუტამუ! ხბოს შეკავება ძნელი იყო. როგორც კი ხელს ვუშვებდით, დედასთან მირბოდა და ცურს ხარბად წოვდა. როდესაც დრუნჩზე თეთრი ქაფი მოედებოდა, საწყალ ხბოს დედას ვაშორებდით და ძროხის ცურს ვედროს შევუდგამდით ხოლმე. ჩემი ძმა მთელი ძალ-ღონით იჭერდა ნახევრად დანაყრებულ ხბოს. მას ლელქაშს და ლობიოს ვთავაზობდით. წველის დასრულების შემდეგ ხბო დედას უბრუნდებოდა და დარჩენილ რძეს წოვდა.

მამაჩემს ხის ვედრო მუხლებს შორის ედგა. დაოსტატებული მწველავი იყო. კარგ მწველავს რძის ჩხრიალის თანაბარი რიტმით იცნობდით. როგორ მენატრებოდა ეს ხმა ნიამატაში!

თავდაპირველად იმ ძროხას ვწველიდით, რომელსაც ახალდაბადებული ხბო ჰყავდა. ასეთი ძროხა ყველაზე მეტ რძეს იძლეოდა - ტკბილ, ცხიმიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

რძეს. ვედროებში სწრაფად ვასხამდით და მაშინვე ვასმევდით პატარა ბავშვებს. მაგრამ ასეთ საუკეთესო რძეს წველის ძველებური წესით ვერ მიიღებდით. კი არ უნდა ჩაგემუხლათ, არამედ უნდა დამჯდარიყავით და ფეხები და წელი გაგემართათ. ამგვარ პოზაში მოწველილ რძეს დედაჩემი ბავშვებს ასმევდა და ჩურჩულებდა: აკირა ამატა! ნიაკუგირა ამატა" ( აი თქვენი რძე! დაე, ყოველთვის გქონდეთ რძე!)!" ბავშვებს ძროხისადმი მოწიწების ნიშნად რძით სავსე პაწია ვედროები ორივე ხელით უნდა დაეჭირათ. მღვდლებს ჰგავდნენ, ზარძიმები რომ უკავიათ ხოლმე ეკლესიაში. ჩვენთვის რძე მართლაც მაცოცხლებელი სითხე იყო. ბავშვები მას სულმოუთქმელად სვამდნენ. დედები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რძე ბავშვებს ყოველგვარი დაავადებისგან იცავდა. როდესაც მათ ლოყები და ცხვირები რძის ქაფით ესვრებოდათ, ცურის მწოველ ხბოებს ემსგავსებოდნენ. ცარიელ ვედროებს ბავშვები დედაჩემს უბრუნებდნენ. თვალები სიამოვნებისგან უბრწყინავდათ.

დედას და ჩემს დებს რძით სავსე ვედროები დიდ ქოხში მიჰქონდათ და საპატიო ადგილას დგამდნენ ურუჰიმბიზე - ერთგვარ თაროზე, რომელიც სახლის მომრგვალებულ კედელზე იყო მიშენებული. უამრავი ხაფანგი იცავდა რძეს ვირთხებისაგან, რადგან თუ ვირთხა რძეში ჩავარდებოდა, რძის ნახდენით მიყენებული ზარალი ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე წყევლა, რომელიც აუცილებლად თავს დაატყდებოდა ოჯახს. ურუჰიმბი თითქოს საკურთხეველი იყო, ხოლო დიდი რძის ვედროები, რომლებსაც წვეტიანი ხუფები ეხურათ, ისევე გვიცავდნენ, როგორც - წმინდანთა ქანდაკებები ეკლესიაში. რისი უნდა გვშინებოდა? რძე - ჩვენი სიცოცხლის წყარო - ბლომად გვქონდა.

თუკი მამაკაცი ძროხებს უვლის, ქალი რძეს განაგებს. სანამ პატარა ვიყავი და ჩემს ძმებს საქონლის მოვლაში ვერ ვეხმარებოდი, დედაჩემის ყოველდღიურ საქმიანობას ვაკვირდებოდი. დილის ახალმოწველილ რძეს, რომელსაც ჩვენ არ ვსვამდით, ის დიდ, ფართოყელიან ქვაბში ასხამდა. ურუჰიმბიზე რამდენიმე ასეთი რძიანი ქვაბი რამდენიმე დღის განმავლობაში იდგა. დედა ხის პატარა კოვზით ნაღებს იღებდა და ნელ-ნელა ავსებდა პატარა შავ ქოთანს - აკაბიას" . საკმარისი რაოდენობის ნაღების დაგროვების შემდეგ დედა ფრთხილად და მონინებით იღებდა სადღვებელს ცხაურიდან, რომელიც პამაკივით იყო გადაჭიმული ურუჰიმბის თავზე. ის ბოთლისებრი გოგრისგან იყო დამზადებული და მზის სხივებში უფრო მეტად ბრწყინავდა, ვიდრე - ეკლესიაში სანაწილე. ყოველი გოგრა როდი გამოდგებოდა სადღვებლად. მხოლოდ ცოტაოდენ მათგანს ჰქონდა სათანადო თვისებები. დედაჩემის თქმით, სადღვებლად ვარგის გოგრას ქალწულის თეძოები და გვირგვინოსანი წეროს ყელი უნდა ჰქონოდა და ბავშვის კანივით გლუვი უნდა ყოფილიყო. წყლით ასეთი გოგრის ნაბილწვა არ შეიძლებოდა და ისევე, როგორც ძროხებს, მას იშინგეთი" - რბილი ბალახით (რომელსაც ქალიშვილები სთავაზობდნენ ხოლმე პატივსაცემ სტუმრებს) ამშრალებდნენ. გოგრა მასშივე წარმოქმნილი ცხიმისგან პრიალებდა. წელში გამართული დედაჩემი ჯდებოდა ტიხართან, რომელიც ეფარებოდა ჩემი მშობლების დიდ საწოლს, წელში იმართებოდა და ფეხებზე სადღვებელს იდებდა, შემდეგ აქეთ-აქით აქანავებდა, ისე, როგორც ჩვილ ბავშვს აქანავებენ ხოლმე. მე და ჩემი პატარა დები მონუსხულებივით ვაკვირდებოდით სადღვებლის მოქანავე მუცელს და გვაინტერესებდა, გამოვიდოდა თუ არა სადღვებლიდან, კარაქთან ერთად, საბრალო ობოლი, რომელიც, დედაჩემის მონათხრობი ზღაპრების თანახმად, იქ ბოროტ დედინაცვალს გამოემწყვდია.

მოწველის შემდეგ ძროხები საძოვარზე გაგვყავდა. იმხანად რუანდაში ქოხები და ყანები შორიშორს იყო მიმოფანტული და ძროხებს უამრავი საბალახო ადგილი ჰქონდათ. ზოგჯერ მამაჩემი მოგვყვებოდა ხოლმე, მაგრამ უმეტესად ის ჩემს უფროს ძმას ანდობდა ნახირის მწყემსვას, რადგან თვითონ უამრავი სხვა საქმე ჰქონდა. ბრძენი კაცი იყო. ერთგვარი ცოცხალი ისტორია" იყო იმ ოჯახებისა, რომლებიც ჩვენს მიწაზე ცხოვრობდნენ. იცოდა მათი წარმომავლობა, ნათესაური კავშირები; იცოდა, ვინ იყვნენ მათი მტრები. ვინ არ მოდიოდა მასთან რჩევის საკითხავად. ყოველგვარ კონფლიქტს ადვილად განმუხტავდა ხოლმე მარჯვედ შერჩეული ანდაზის მეშვეობით. ჩვენი ტომის მამაკაცები სხდებოდნენ მაღალი ფიკუსის ხის ჩრდილში, ბალახში, რომელსაც აგაკაკას" უწოდებდნენ, და ჰყვებოდნენ ახალ ამბებს, რომლებიც ქალაქ ნიანზაში და მეფის სასახ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეში მომხდარიყო ან მსჯელობდნენ თეთრკანიანთა უახლესი ტაქტიკის შესახებ, რომელიც რუანდელებისა და მათი საქონლის კიდევ უფრო მეტად შევიწროებას ისახავდა მიზნად. რაც მთავარია, ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ, რათა დაედგინათ თითოეული მათგანის კუთვნილი საძოვრის საზღვრები (რაც ხშირად დაუსრულებელ კამათში გადაიზრდებოდა ხოლმე) და, ასევე, თანმიმდევრობა, რომლითაც თითოეული ნახირი წყლის სასმელად უნდა მიეყვანათ, რათა თავიდან აეცილებინათ დავა და ჭიდილი ცხოველთა ან მესაქონლეთა შორის.

არ შეიძლებოდა, რომ ოჯახის უფროსს დროის უმეტესი ნაწილი კრაალში ცოლთან ერთად გაეტარებინა. ყოველ შემთხვევაში, დედაჩემი ამის წინააღმდეგი იყო - იცოდა, რომ მეზობლები დასცინებდნენ და ზურგსუკან გაჭორავდნენ, ქმარი კი არა, ძაღლია, სახლ-კარს არ სცილდებაო. მამაკაცის დანიშნულებაა ოჯახის ინტერესების დაცვა სახლს გარეთ, თითქმის ისევე, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი იცავს უცხოეთში თავისი ქვეყნის ინტერესებს. ისეთი თვალსაჩინო პიროვნება, როგორიც მამაჩემი იყო, ხშირად უნდა ხლებოდა ბელადს, მის ნვეულებებში მიეღო მონაწილეობა, მოესმინა, რასაც ბელადის სტუმრები ლაპარაკობდნენ ლუდის სმისას; ასევე, უნდა შეეთავაზებინა ან გაეცვალა ძროხები. მაგრამ როგორც კი დროს მოიხელთებდა, თავის ნახირს უბრუნდებოდა.

საძოვრები გადაჭიმული იყო ციცაბო ფერდობის გასწვრივ, სადაც კრაალის აგება გაჭირდებოდა. ბალახიანი მინდვრები ქვეყანაში ცოტა იყო და მხოლოდ პრივილეგირებული მესაქონლეებისთვის იყო განკუთვნილი. წვიმების სეზონის დროს - და ხომ იცით, როგორ ჭიანურდება ეს სეზონი რუანდაში - მწყემსები ისინდუს" აფარებდნენ თავს. ეს იყო ერთგვარი ინდივიდუალური თავშესაფარი, რომელიც, კაპიუშონის მსგავსად, შეგეძლოთ თან გეტარებინათ. ბანანის გამხმარი ფოთლებისგან დაწნული ისინდე მძიმე როდი იყო. მას კლდის ქვეშ გათხრილ ორმოში ვინახავდით, ისევე, როგორც კომბლებს, მშვილდ-ისრებს და სალამურებს. იქვე ვდებდით საკვების მწირ დღიურ ულუფას.

ჩვენს მოპირდაპირე ბორცვზე, ჭაობის თავზე, სხვა მესაქონლეები სხვა ნახირებს აძოვებდნენ. მწყემსებს ერთმანეთის ლანძღვა სჩვეოდათ. თავიანთ ძროხებს აქებდნენ და მეზობლების საქონელს დასცინოდნენ. ზოგიერთი მათგანი სალამურზე უკრავდა. ისეთ ადგილებზე სხდებოდნენ, საიდანაც მათი ლანძღვა-გინების, ტრაბახისა და მელოდიების ექო გაისმოდა, მაგრამ არასოდეს აცილებდნენ თვალს ნახირს. ფრთხილობდნენ, რომ ძროხები ახლოს არ მისულიყვნენ ციცაბო ფერდობებთან და არ ეძოვათ შხამიანი მცენარეები. ინტამატის ყოველთვის უკან მივდევდი. დედაჩემმა ბანანის შავ-ყვითელი ფოთლებისგან დაწნული ტომსიკა მომცა, რომელშიც ინტამატის ლამაზი, მომწვანო ნაკელი უნდა შემეგროვებინა. ზუსტად ისეთია, როგორიც მჭირდება დიდი კალათების ფსკერზე ჩასაფენად. ხომ იცი, ამ კალათებში სორგოს და მრავალძარღვას ვინახავ". ტომსიკას გულმოდგინედ ვავსებდი და მზეს ვარიდებდი.

როდესაც მზე ზენიტს მიაღწევდა, ერთ-ერთ მწყემსს ხბოები ბოსელში შეჰყავდა. საწყლებს ნოვა არ შეეძლოთ, რადგან დედებს ცურებზე თეთრი თიხა ჰქონდათ წასმული. ცხელოდა. ფხიზლად უნდა ვყოფილიყავი, რომ წყურვილის მოსაკლავად ძროხები ჭაობთან არ ჩასულიყვნენ. უნდა დაეცადათ, სანამ მწყემსი დასარწყულებლად წაიყვანდა.

ჩვენს ბორცვებზე მცხოვრები მესაქონლეები ძროხებს ჭაობების ბინძურ წყალს არიდებდნენ. საქონლისთვის ხის ვედროებით წყაროს წყალი მოგვქონდა და გამომწვარი ალიზის ვარცლებში ვასხამდით.

მოპირდაპირე ბორცვებზე მცხოვრებ მესაქონლეებს შურდათ, რომ ასეთი სასწაულთმოქმედი წყარო გვქონდა. ამიტომ გამუდმებით თვალს ვადევნებდით წყაროსაც და ვარცლებსაც, რომ უცხო მწყემსებს არ წაებილწათ. როგორც კი ბოროტი ზრახვებით უახლოვდებოდა ვინმე, მაშინვე განგაშს ვტეხდით. მწყემსები შუბებს და კომბლებს იმარჯვებდნენ მიმტაცებელთა გასადევნად. ამ წყაროს წყლის ადუღება ან საკვების მოსამზადებლად გამოყენება იკრძალებოდა. ის გვიცავდა დაავადებებისა და ბოროტი გრძნებისგან. არა მგონია, რომ წყლიანი პატარა ბოთლი, რომელიც ლურდში მღვდლებმა მომცეს, ისეთივე ძლიერმოქმედი ყოფილიყო.

წყურვილის მოკვლის შემდეგ ძროხები ისვენებდნენ და ზანტად იცოხნებოდნენ ჩრდილოვან ტყეში ან მზის ქვეშ, ფერდობზე. რა უნდა იყოს უფრო სასიამოვნო მწყემსებისთვის, ვიდრე ის დრო, როდესაც კომბალს მხრებზე გადაიდებდნენ, ისვენებდნენ და სიამოვნებით ათვალიერებდნენ თავიანთ ნახირს.

დაბინდებისას ძროხები კრაალში ბრუნდებოდნენ. ყოველ საღამოს ზეიმი იმართებოდა - მწყემსები ცეკვავდნენ და მღეროდნენ ძროხების საპატივცემულოდ, ხოტბას ასხამდნენ ნახირის წინამძღოლს. ხანდახან საქონელი ყველა კრაალიდან გამოგვყავდა და მათი საზეიმო მსვლელობა - ერთგვარი აღლუმი - იმართებოდა. ბავშვები ტაშს უკრავდნენ, ქალები კი სიხარულისგან ტიროდნენ. ეს ზოგჯერ დიდხანს გრძელდებოდა, მაგრამ რა მშვენიერი სანახაობა იყო რქების ტყე! ჩვენს ბორცვებზე მცხოვრები ადამიანები ამ სანახაობით ვერ ძღებოდნენ.

კრაალში დაბრუნებულ მწყემსებს შიოდათ, მაგრამ თავდაპირველად (დილის რიტუალის მსგავსად) ძროხები უნდა მოეწველათ. შემდეგ შევდიოდით დიდ კრაალში, სადაც სველი ბალახის კოცონი გიზგიზებდა და ჰაერი კვამლით იყო გაჟღენთილი. ძროხები წვებოდნენ რბილ საგებელზე და თითოეულ მათგანს ბალახის მწვანე კონებით ვასუფთავებდით. მწყემსები ქოხის კართან იდგნენ ხოლმე. ზოგჯერ დედაჩემს ხის თეფშით მოჰქონდა იბირუნგე" - ზეთიანი ლობიო. მწყემსებისთვის ყოველთვის გვქონდა შენახული ერთი ვედრო დო - იკივუგუტო" - რომელიც მათ დაღლილობას ავიწყებდა და ახალი ენერგიით ავსებდა. ამ დროს უკვე მეძინა ხოლმე. ქოხის შესასვლელთან, ახალდაბადებულ ხბოსთან ერთად, ჭილოფზე ვიწექი და საკუთარ თავს ვპირდებოდი, რომ მომდევნო დილას, სანამ მამას და ჩემს ძმებს გაეღვიძებოდათ, პირველი დავიწყებდი ძროხების მოვლას.

ნიამატაში მამაჩემი ყოველდღე ესწრებოდა მესას. იმ დღეებში, როდესაც სკოლაში არ დავდიოდი, ეკლესიიდან შინ დაბრუნებული მამაჩემი - მას კალისას ეძახდნენ - მეუბნებოდა: კარეკეზი, ახლა უკვე მამაკაცი ხარ. დროა, ისწავლო ძროხების მოვლა". რა თქმა უნდა, ნიამატაში ძროხები არ იყო - ყოველ შემთხვევაში, აქ გადმოსახლებულ ტუტსის ტომელებს ნახირები არ ჰყავდათ. მაგრამ მამაჩემი მთელი დღეების განმავლობაში მწყემსავდა მოლანდებულ ძროხებს მეხსიერებისა და სინანულის მინდვრებზე.

შეხედე", - ამბობდა ის, როდესაც ჩავუვლიდით ხოლმე მაღალ ბანანის ხეებს, რომლებსაც დედა უვლიდა (ბანანები ბავშვებს ძალიან გვიყვარდა) - შეხედე, საბრალო დედათქვენი ისე უვლის ამ ბანანის ხეებს, თითქოს ჩვენი ხბოები იყვნენ. ღმერთო ჩემო! ლობიოს წვენს უსხამს და ნეშომპალას უყრის - ისე იქცევა, თითქოს ჯერ კიდევ ჰყავდეს ძროხები, მაგრამ ახლა მხოლოდ ბანანის ხეების მოვლა შეუძლია".

ნიამატაში მამაჩემი ქათქათა თეთრ პაგნეს[1] ატარებდა. ძველ მოკლე შარვალსა და პერანგს მხოლოდ მაშინ იცვამდა, როდესაც შავ" სამუშაოს ასრულებდა, მაგალითად, ძირხვენებს ასუფთავებდა ან ნერგებს რგავდა. ჩვენ, ტუტსის ტომელებს, აქ ყავის პლანტაციების გაშენება მოგვიხდა და როდესაც მათ დასათვალიერებლად აგრონომები მოდიოდნენ, მამა თავის პაგნეს იცვამდა, ამაყად ეყრდნობოდა კომბალს, ჰორიზონტს გაჰყურებდა და ყალიონს ეწეოდა, თან ახალგაზრდა სპეციალისტებს ლაპარაკს აცლიდა, ბოლოს კი ეკითხებოდა: ესე იგი, ვეტერინარები არ ხართ?"

იმ გზაზე დავდიოდით, რომელიც ჩვენს - დევნილთა - სოფელზე გადიოდა. მამაჩემი თითქოს ვერაფერს ხედავდა - ვერც ერთნაირი ქოხების მწკრივს, ვერც ყავის ბუჩქებს თითოეული მათგანის წინ. უკან მივდევდი. მას თითქოს სადღაც ეჩქარებოდა და არც ერთი წუთის დაკარგვა არ სურდა. თუკი თანაკლასელს შევხვდებოდი, მხოლოდ ვესალმებოდი. იჩქარე" - მეუბნებოდა მამაჩემი. - ჟუვენალს ხვალ დაელაპარაკები სკოლის სპორტულ მოედანზე. შინდა, რაღაც გიჩვენო".

როდესაც ციოჰოჰას ტბიდან მომავალი გოგონები გვხვდებოდნენ, მამაჩემი ბრაზობდა: შეხე, რა დღეში ჩაგვაგდეს! ამ გოგონებს წყალი ბოთლისებრი გოგრებით მოაქვთ. შინ, რუანდაში, ასეთ გოგრებს მხოლოდ სადღვებლად ვიყენებდით, მასში წყალს არასოდეს ვასხამდით! რა სამარცხვინოა! ვიცი, ვიცი, როგორ იქცევა დედაშენი, მაგრამ თვით რუგანზუ ნდორის წყალიც კი ვერ შეედრება ჩვენი ძროხების რძეს".

მართლაც, დედა გვასმევდა რვაკიბირიზის წყაროს წყალს, რომელმაც, მითის თანახმად, მიწიდან ამოხეთქა მას შემდეგ, რაც აქ მეფე რუგანზუ ნდორომ მიწას შუბი დაარტყა. დედას იმედი ჰქონდა, რომ ამ წყაროს წყალს ისეთივე მაცოცხლებელი ძალა ექნებოდა, როგორც - რძეს. ამიტომ ისეთივე რიტუალი უნდა შეგვესრულებინა: გამართულად დავმსხდარიყავით, ფეხები წინ გაგვეჭიმა და ერთბაშად დაგველია წყალი. მამას აზრით, დედაჩემის ქცევა მკრეხელობა იყო. ეს იგივეა, რომ ჩვენმა მღვდლებმა თავიანთ ბარძიმებში ლუდი ჩაასხან", - ამბობდა ის, მაგრამ ამ მკრეხელობის ჩადენის უფლებას მაინც აძლევდა დედას. მართლაც, სად უნდა ეშოვა ჩვენთვის რძე? გარდა ამისა, მამა მადლიერი იყო, რომ დედას არასოდეს წაუბილწავს გოგრები და არ გამოუყენებია ისინი ციოჰოჰას ტბიდან წყლის მოსატანად. ამის ნაცვლად დედა მათ თაროზე აწყობდა და მხოლოდ დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ მიანდო ადამიანს, რომელსაც რვაკიბირიზის მდინარიდან წყალი უნდა მოეტანა ჩვენთვის. ღვთის რისხვა ენეოდა მეთულუხჩეს, რომელიც წმინდა გოგრას დაამტვრევდა: ამგვარ ტლანქ საქციელს შეიძლება საშინელი უბედურება გამოეწვია. უბედურების თავიდან ასაცილებლად დედაჩემი ლოცულობდა, რათა სწრაფად განედევნა ბოროტი სულები, შემდეგ კი ჩვენი ოჯახის წევრებს, ჩვენს სახლსა და მიმდებარე ადგილებს ნაკურთხ წყალს ასხურებდა.

სოფლის ერთადერთი გზა ქოხების გასწვრივ გადიოდა. მამაჩემი თვალს არიდებდა ხოლმე იმ ქოხს, რომელიც ეკუთვნოდა ნიკოდიმეს, სოფლის პარიას, რათა არ ეხილა ამ უკანასკნელის შეუსაბამო ქცევა ყოველ დილა-საღამოს. ნიკოდიმე თავდაპირველად თავის ძროხებს მისტიროდა, ახლა კი თხები ჰყავდა. ამ თხების მოსაპოვებლად ნიკოდიმე დაუმეგობრდა ლეონ მუგესერას[2] ახლობელს, ვინმე სეკაგანდას და შეძლო დაერწმუნებინა ის, რომ საერთო წარმომავლობა ჰქონდათ. სეკაგანდა იმდენად ამაყობდა თავისი წარმომავლობით, რომ ნიკოდიმეს ორი ულამაზესი თხა აჩუქა. ყოველ დილა-საღამოს ნიკოდიმე ამ თხებს წველიდა. რა არის თხების წველაზე უფრო სამარცხვინო? ნიკოდიმე საერთო უბედურებამ მიიყვანა ამ მდგომარეობამდე. ამის შემდეგ მას მხოლოდ სეჰენეს", ანუ ვაცს ვეძახდით (რა თქმა უნდა, ისე, რომ ნიკოდიმეს არ გაეგონა). გარდა ამისა ნიკოდიმე თავისი თხების რძეს გამომშრალ გოგრაში - კალაბასში ინახავდა, რის გამოც ყველამ აითვალწუნა და კალაბასის იგიკორვა" - ხელშეუხებელი - დაარქვა. დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ეს წყეული კალაბასი უბედურებას მოუტანდა ყველა ძროხას - იმათ, რომლებიც აღარ გვყავდა და, აგრეთვე, იმათ, რომლებიც შეიძლება ოდესმე გვყოლოდა. ზოგიერთი ჩვენგანი იმასაც აპირებდა, რომ ერთ საღამოს წასულიყო და ეს ავბედითი კალაბასი დაემტვრია, მაგრამ ბოროტმოქმედების ჩადენა ვერავინ გაბედა, რადგან კალაბასს შეიძლებოდა შური ეძია და და-

---

1 - აფრიკელთა ტანსაცმელი - მართკუთხა ჭრელი ქსოვილი, რომელსაც სხეულზე იხვევენ, ისე, რომ მისი ბოლოები თავისუფლად ჰკიდია.

* - ლეონ მუგესერა - ცნობილი რუანდელი პოლიტიკოსი, რომელიც 1992 წელს ჰუტუს ტომებს ტუტსის ტომების გენოციდისკენ მოუწოდებდა. გენოციდი მართლაც განხორციელდა 1994 წელს. მას მილიონამდე ადამიანი ემსხვერპლა, რომელთა უმრავლესობას ტუტსის ტომელები შეადგენდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეწყევლა კადნიერი ადამიანი. და ვინ შეეხებოდა იგიკორეას, ხელშეუხებელს?

ზოგიერთი ქალი - და მათ შორის დედაჩემი - იცავდა ნიკოდიმეს. მისი მცირეწლოვანი შვილი გამუდმებით ავადმყოფობდა. სწორედ ამ ბიჭის გამო წამოიყვანა თხები და წველიდა მათ, მიუხედავად იმისა, რომ ეს სამარცხვინო იყო. ნიამატას კლინიკაში ნიკოდიმეს უთხრეს, თხის რძე ბავშვებისთვის სასარგებლოაო. ამან ჩვენი მამაკაცები დააფიქრა: ვაითუ ჩვენმა ცოლებმა თხები შეიძინონ, თუკი შვილები ავად გაუხდებათო. მათ თავი დაანებეს ნიკოდიმეს და მის თხებს, მაგრამ აგრძნობინეს, რომ თხებს თავისუფლად არ უნდა ეხეტიალათ მინდვრებში. სხვა შემთხვევაში საბოლოოდ მოგიძულებთო, დაემუქრნენ.

ციოპოჰას ტბისკენ მიმავალი გზიდან რუკორერას მიტოვებული ნაკვეთი მოჩანდა. ამ ნაკვეთზე ყავის ბუჩქებს ვერ ნახავდით, მაგრამ ძველისძველი წნული ღობის მიღმა დიდი კრაალი იყო. რუკორერა! დევნილი ტუტსი, რომელსაც ჯერ კიდევ ჰყავდა ძროხები! ის, ვინც ცოტა ხნით მაინც შემოიტანა სიხარული ჩვენს სოფელში! რა თქმა უნდა, ეს ჩვენი ნახირი არ იყო. რუკორერას ეკუთვნოდა. მაგრამ ვიცოდით, რომ ძროხები აქვე იყვნენ, მათი სუნი და თვით რძის სურნელიც ჰაერში ტრიალებდა, ხოლო ახალი ნაკელი გზაზე ეყარა. ამიტომ ასე გვეგონა, თითქოს რუანდის მცირე ნაწილი დაგვიბრუნდა, რათა ნუგეში ეცა ჩვენთვის - დევნილებისთვის.

ვერავინ შეძლო იმ დღის დავიწყება, როდესაც ჩვენს სოფელში რუკორერა მოვიდა. მზე ჯერ კიდევ არ ამოსულიყო. გაგვაღვიძა ნაცნობმა ხმაურმა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არ გაგვეგონა, მაგრამ ვყოყმანობდით, გავსულიყავით თუ არა გარეთ. იქნებ, ავი სული დაგვეუფლა სიზმარშიო, ვფიქრობდით. იქნებ, ჩვენი (რა თქმა უნდა, უკვე მოკლული) ძროხების აჩრდილები გვდევნიდნენ? ან, იქნებ, ჯარისკაცები მოვიდნენ, რათა დაეცინათ საბრალო ტუტსის ტომელებისთვის? არ გახვიდე" - უთხრა დედაჩემმა კალისას. ალბათ, ეს, უბრალოდ, კამეჩების ფეხის ხმა ან ჯარისკაცთა ჩექმების ხმაურია".

ბოლოს ქუჩაში გამოსვლა გავბედეთ და ყავის ბუჩქებქვეშ ფრთხილად გავძვერით გზის პირამდე. ახლა დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ძროხების ბღავილი, მათი ჩლიქების ხმა და მწყემსების შეძახილები გვესმოდა. იმ სახელებს გაჰყვიროდნენ, რომლებსაც მხოლოდ ძროხებს არქმევენ. ძროხები დაბრუნდნენ!

მამაკაცები, რომლებსაც მალე ქალები და ბავშვები შეუერთდნენ, გაემართნენ იქითკენ, საიდანაც ეს არაჩვეულებრივი ხმები ისმოდა. სოფლის გარეთ მიწის რამდენიმე დაუსახლებელი ნაკვეთი იყო, სადაც ამ დილას, მზის ოქროსფერ სხივებში ნამდვილი ძროხები ძოვდნენ. ოთხი ახალგაზრდა კაცი ჩინჩხვარს აგროვებდა. მტვრიან პაგნეში გახვეული კიდევ ერთი კაცი კომბალს ეყრდნობოდა. იქვე ქალს გაეშალა თავისი ჭილოფი, რომლითაც, ალბათ, თავისი ოჯახის მთელი ავლა-დიდება მოჰქონდა. მის გვერდით, წნული ბალახის ნეჭაზე, პატარა გოგონას ეძინა.

გათოგნებული სოფლელები გზის პირას შექუჩდნენ. მამაკაცი, რომელიც, როგორც ჩანს, ოჯახის უფროსი იყო, მოგვიახლოვდა: რუკორერა მქვია. თქვენსავით კიბირიზიდან ვარ. შორი გზა გამოვიარეთ. ჩემს ძროხებს სწყურიათ. წყალს ხომ არ დაალევინებთ?"

რა თქმა უნდა, დავალევინეთ. რუკორერამ საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა. ჭეშმარიტი ტუტსი იყო: უპირველეს ყოვლისა, თავის ძროხებზე ზრუნავდა.

სოფლის ყველა ბავშვს სხვადასხვანაირი ჭურჭლით რვაკიბირიზის წყაროდან ძროხებისთვის წყალი მოჰქონდა, რადგან მათ წვიმის წყალს ვერ შევთავაზებდით.

ამიტომ რუკორერამ გადაწყვიტა, ჩვენს სოფელში დასახლებულიყო თავის ძროხებთან ერთად.

- ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ ერთმანეთისა გვესმის. - თქვა რუკორერამ. - ყველას გვიყვარს ძროხები.

რუკორერამ გვიამბო, რომ მასობრივი სისხლისღვრების დროს, 1962 წელს, მისი კრაალი გადარჩა. არავინ იცოდა რატომ მოხდა ასე, მაგრამ დამსჯელთა მხრივ ეს აშკარა დაუდევრობა იყო, რომელსაც, ალბათ, მალე გამოასწორებდნენ. ამიტომ რუკორერამ ამჯობინა, თავის ოჯახითა და ნახირით გასცლოდა იქაურობას, სანამ მკვლელები თავიანთი საქმის დასასრულებლად მოვიდოდნენ. მან თავი შეაფარა დიდ ჭაობებს, რომლებიც ბურუნდისა და რუანდას შორისაა გადაჭიმული. რუკორერა და მისი ოჯახი ნადირობისა და ძროხების რძის წყალობით გადაურჩნენ დაღუპვას. როდესაც წვიმების სეზონი დაიწყო, ისინი ჭაობებს გაეცალნენ. რუკორერას გაგონილი ჰქონდა, რომ ბევრი ტუტსი ნიამატაში გადაასახლეს, და გაიფიქრა, მათთან ვიპოვი თავშესაფარს ჩემი ოჯახისა და ძროხებისთვისო.

მთელმა სოფელმა სიხარულით მიიღო რუკორერა და, განსაკუთრებით, მისი ძროხები. ჩვენი დახმარებით მან ააგო ქოხი თავისი ცოლისა და პატარა გოგონასთვის, მეორე ქოხი - ოთხი ვაჟიშვილისთვის და ბოსელი - ძროხებისთვის. მთელი სოფელი ეხმარებოდა ღობის დაწვნაში. როდესაც მივხვდით, რომ მას ქრისტიანული სახელი არ ერქვა და მონათლული არ იყო, არავის შეუქცევია ზურგი, თვით ჩემს ღვთისმოსავ მამასაც კი. პირიქით, მოგვწონდა გმირული სახელები, რომლებიც რუკორერამ დაარქვა თავის გოლიათ ვაჟიშვილებს - ეს იყო ეპიკური პოემების პერსონაჟების, სახელგანთქმული ძველი მეომრების სახელები: იმპანგაზამურეგო, რომელიც მძლავრი მშვილდ-ისრით იყო შეიარაღებული; რუგერამიბუნგო, რომელსაც სახელოვანი მიზანი ჰქონდა; რუტირუკაიიმპუნზი, რომელიც უკან არასოდეს იხევდა; და რვასაბაჰიზი, დამპყრობთა მძლეველი.

სოფლელებმა კვლავ იგრძნეს, რომ ძროხების რიტმში ცხოვრობდნენ. დილაობით რუკორერას კრაალთან მივდიოდით, რათა გვენახა, როგორ დგებოდა საწოლიდან და წველიდა მათ. ო, როგორ მოგვწონდა ცეცხლის კვამლი, რომელსაც ბუზები უფრთხოდნენ. ქალები რუკორერას სთხოვდნენ ძრო-

ხების თბილ ურინას - ძიების საწინააღმდეგო საშუალებას, რომელიც ნიამატაში არ იშოვებოდა - და დაუყოვნებლივ ასმევდნენ ბავშვებს. ნახირს უკან მივყვებოდით ხოლმე და ვკამათობდით იმაზე, თუ ვის უნდა შეეგროვებინა ახალი ნაკელი. ბავშვები ერთმანეთს მუჯლუგუნებს კრავდნენ, რომ შეხებოდნენ ძროხებს, რომელთა შესახებ მშობლები ამდენს უამბობდნენ და რომლებიც აქამდე არ ენახათ. ბუნებრივია, რუკორერას ყველანი უცვლიდნენ რძეში ტკბილ კარტოფილს, ლობიოს ან ბანანებს. მაგრამ მისი ათი ძროხა მთელი სოფლის მოთხოვნილებებს ვერ დააკმაყოფილებდა. უხუცესებმა გადაწყვიტეს, რომ ფეხმძიმე ქალების, პატარა ბავშვებისა და მოხუცებისთვის უპირატესობა მიენიჭებინათ, თუმცა, რა თქმა უნდა, ვიცოდით, რომ ამ მკაცრი წესის მიუხედავად, რამდენიმე სურა ლუდის სანაცვლოდ, დამატებით რძეს მივიღებდით. ყველა სთავაზობდა რუკორერას, რომ ძროხები მათ ნაკვეთებზე მიეყვანა, არა მარტო იმისთვის, რომ მიწა გაეპატივებინათ და სანაცვლოდ რძე მიეღოთ, არამედ იმისთვისაც, რომ ძროხების სიახლოვეს ბედნიერებას ვგრძნობდით. დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს ძროხები ჩვენს ოჯახებს იღბალს მოუტანდნენ.

საღამოს წველისას ყველაზე მრავალრიცხოვანი ბრბო გროვდებოდა, განსაკუთრებით - ქალები და ბავშვები. ახალგაზრდებს სურდათ, ახლოს მისულიყვნენ და ძროხების ცურებს შეხებოდნენ, მაგრამ რაკი არავინ ეპატიჟებოდა, თავმოყვარეობის კარნახით თავს შორს იჭერდნენ. რუკორერა და მისი ვაჟები წველის კეთილშობილურ საქმეს არავის უთმობდნენ. კარგი მწველავები იყვნენ, რასაც რძის ჩხრიალის თანაბარი ხმა - შიუ-შიუ-შიუ - მოწმობდა. რუკორერას ცოლი მათ რძის ვედროებს აძლევდა - ეს საგანძური თავიანთი ჭილოფებით წამოეღოთ - და როდესაც ვედრო ივსებოდა, გადასცემდა ამ ვედროს ქალებს, რომლებიც გვერდიგვერდ წელგამართულნი ისხდნენ, როგორც ამას რიტუალი მოითხოვდა. ყოველი ქალი ფრთხილად აწვდიდა რძიან ვედროს თავის მეზობელს, ლოცავდა სიცოცხლის ამ წყაროს, და ოჯახსა და მთელ სოფელს წარმატებასა და ბედნიერებას უსურვებდა. რიგში უკანასკნელი ქალი ვედროს აწვდიდა რუკორერას პატარა ქალიშვილს, რომელსაც ვედრო ქოხში შეჰქონდა. ამის შემდეგ გვიჭირდა ჩვენს ქოხებში დაბრუნება, სადაც ძროხების არავითარი მომჟავო სუნი არ ტრიალებდა.

რუანდას მირაჟი, რომელიც რუკორერამ და მისმა ძროხებმა გააცოცხლეს დევნილთა სოფელში, მალე გაქრა. ერთ დილას ბრბომ, რომელიც აპირებდა ენახა, როგორ მიმდინარეობდა წველა, აღმოაჩინა, რომ რუკორერას კრაალი ცარიელი იყო. ის, თავის ოჯახსა და ძროხებთან ერთად მალულად, ღამით წასულიყო. ჩვენ, დევნილი ტუტსის ტომელები ძალიან შევწუხდით, მაგრამ რუკორერას წასვლა არ გაგვკვირვებია. ვიცოდით, რომ საფრთხის მოახლოებას გრძნობდა, რომ ჯარისკაცები აპირებდნენ, გაენადგურებინათ მისი ნახირი. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ რუკორერა ოჯახთან ერთად საზღვარზე გადასულიყო და თავისი ნახირიანად ბურუნდისთვის შეეფარებინა თავი. იღბლიანი კაცი იყო და თავისი ძროხების გადარჩენა შეძლო.

როდესაც რუკორერას ნაკვეთს გადაჭრიდით, ბილიკი ქრებოდა და ეკალ-ბარდებში უნდა გევლოთ. კალისა თავის კრიალოსანს მარცვლავდა და " ავე მარიას" ბუტბუტებდა, მაგრამ სხვა რამეზე ფიქრობდა: თავისი კომბლით მიჩვენებდა მცენარეებსა და ბალახს, რომლებიც უნდა შემეგროვებინა. დიდხანს აკვირდებოდა მათ, თავს აკანტურებდა, ფოთოლს ან ღეროს ღეჭავდა: იცი რა, აქ ძნელია ძროხების გამოკვება. რუანდა ნუ გგონია. ბუგესერას ხალხს უნდა დავეკითხო. მაგრამ, ჩემი აზრით, ბუგესერებმა სულაც არ იციან, როგორ უნდა მოუარონ თავიანთ ძროხებს".

მამაჩემი აღშფოთებული იყო იმით, თუ როგორ ეპყრობოდნენ ბუგესერები თავიანთ საქონელს. საწყალი ძროხები", - წუწუნებდა ის, - მათ არაფრად აგდებენ და ამიტომ საქონელი სხვადასხვა სენით ავადდება. ბუგესერას რეგიონი დაწყევლილია. ახლა უკვე ვიცი, რატომ ასახლებდა აქ მეფე მეამბოხეებსა და მოღალატეებს: ბუგესერაში სიცოცხლე ინავლება. ალბათ, იმედი ჰქონდათ, რომ ჩვენც ეს ბედი გვეწეოდა. ბუგესერები პატივს არ სცემენ თავიანთ საქონელს: ერთად აძოვებენ თხებსა და ძროხებს, კომბლებით სცემენ და ერთმანეთისგან არ განარჩევენ. ძროხას მისი სახელით უნდა მიმართო, მიეფერო, ეჩურჩულო, შეაქო. ზეიმის დროს უნდა მორთო ყვავილების გირლანდებით და მძივებით. მაგრამ როდესაც ბუგესერები აძოვებენ საქონელს, ეს სამარცხვინო სანახაობაა: მწყემსებს, თეთრკანიანი ბიჭებივით, მოკლე შარვლები და დაფლეთილი პერანგები აცვიათ. ისიც კი არ იციან, როგორ უნდა ჩაიცვან მწყემსის პაგნე. გასაკვირი არაა, რომ ბუგესერების ძროხები ასე მცირე რძეს იძლევიან. ამ ხალხისთვის უცნობია ანდაზა: შაკა ინკა არიამა ნკაზო" ( კარგი მწყემსი თავის ნახირთან ერთად იძინებს და იღვიძებს").

კალისა აღიარებდა ბუგესერას ხალხის ერთადერთ დადებით თვისებას: მათ ოსტატურად გამჭყავდათ წყალსადენი ღარები. ყოველთვის ცდილობდა, რომელიმე მათგანის სიახლოვეს ვყოფილიყავით. თავის კრიალოსანს წყალში ასველებდა, ლოცულობდა და ხოტბას ასხამდა როგორც თავის ძროხებს, ისე - ღვთისმშობელს. შემდეგ ბარდებში ვძვრებოდით და დაჭაობებული ნაკვეთისკენ მივემართებოდით. აქ მიწა მშრალი სეზონის დროსაც კი ნამიანი იყო. კალისა კომბალს ეყრდნობოდა და ტბორების უძრავ წყალს დიდხანს ათვალიერებდა. შესანიშნავი ადგილია ძროხებისთვის", - ამბობდა ის. - აქ ყოველთვის ბევრი მწვანე ბალახია. წყალიც არის. არავის უთხრა, განსაკუთრებით - დედაშენს. აქ ლობიოსა და ტკბილი კარტოფილის მოყვანას მოინდომებს. ეს ადგილი ჩვენი საქონლისთვისაა. კარეკეზი, ეს ჩვენი საიდუმლო იყოს. როდესაც ძროხები დაგვიბრუნდებიან, სწორედ აქ ვაბალახებ. აქ ბევრი ბალახია. თუმცა, რუანდაში კიდევ უფრო მეტია. გახსოვს ჩვენი ძროხების სახელები? კირეზი, კაგაჟუ, გატარე, მიჰიგო, რუგინა, ნდოტი, რუტამუ... როდესაც ძროხები დაბრუნდებიან, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ დროა სამშობლოსკენ, რუანდისკენ გაეწიოთ".

ბიბლიოთეკა

მამაჩემს უჭირდა წამოსვლა ამ საძოვრიდან, სადაც მისი ძროხების აჩრდილები ძოვდნენ. სანამ მოვდიოდით, ჭრიდა ტოტებს, რომლებისგანაც კარგი კომბლები გამოითლებოდა. ყოველთვის თან უნდა გქონდეს დამატებითი კომბალი", - მირჩევდა ის. - კომბლები ადვილად ტყდება". შინ კი დედაჩემი ბანანის ბრინჯაოსფერ-მოწითალო ფოთლებისგან მექანიკურად წნავდა ინტუმვას" - სადღვებლის ხუფს. ინტუმვა დიდხანს უსარგებლოდ იდო კალათაში, ურუჰიმბიზე. არავის ჰქონდა უფლება, ხელი ეხლო მისთვის.

შუადღისას სოფელში ვბრუნდებოდით - ის დრო იყო, როდესაც რუანდაში ხბოები შემოგვყავდა. წადი, შეშა მოიტანე", - მეუბნებოდა დედა. - მალე ლობიოს ხარშვა უნდა დავიწყო". და, სანამ ჩინჩხვარს ვაგროვებდი, ხმამაღლა ვიმეორებდი გაკვეთილებს, რომლებიც სკოლის მასწავლებლისგან ავითვისე. ვიცოდი, რომ მამაჩემი მალე ნიამატაში უნდა ნასულიყო. მისი თქმით, იქ რაღაც საქმეები უნდა მოეგვარებინა, მაგრამ მე ვიცოდი, რომ ის ხშირად უბრალოდ დახეტიალებდა და დაკარგულ ძროხებს თავისი კომბლით მწყემსავდა.

როდესაც ღამდებოდა, მამაკაცები მაღალი ფიკუსის ქვეშ იკრიბებოდნენ, ერთმანეთს ახალ ამბებს უზიარებდნენ, საუბრობდნენ შესაძლო საშიშროებების შესახებ და ეძებდნენ მათი თავიდან აცილების ხერხებს, ხოლო როდესაც ამ თემებს ამოწურავდნენ, კვლავ ძროხებს იხსენებდნენ. ყოველ ადამიანს ჰქონდა თავისი სათქმელი ძროხებზე, რომლებიც ოდესღაც ჰყაედა და იმათზე, რომლებიც, შესაძლოა, ჰყოლოდა. ისინი იხსენებდნენ ძროხას, რომელიც ოდესღაც აჩუქა ამა თუ იმ ბელადმა ან თვით მეფემ, აღწერდნენ ძროხის ბეწვს, რქებს, ჩვევებს და მის ხბოებს; კითხულობდნენ ლექსებს, რომლებიც მის საპატივცემულოდ შეთხზეს. ვუსმენდი და მათი ნაცნობი სიტყვები საყვარელ დაკარგულ ძროხებზე ერეოდა ფრანგულ სიტყვებს, რომელთა სწავლაც მასწავლებელმა დამავალა... ამ უცნაურ ლიტანიას ხმამაღლა წარმოვთქვამდი.

* * *

სხვა მრავალი რუანდელი ტუტსის მსგავსად, დევნილობის მძიმე გზა განვვლე. შეძლებისდაგვარად გავიხანგრძლივე სწავლა, რადგან მოქალაქეობა არ მქონდა და სამსახურს ვერ ვიშოვიდი. ბოლოს მასწავლებლად დავიწყე მუშაობა ჯიბუტის რესპუბლიკაში, შორეულ სოფელში, რომელიც წვეტიანი შავი კლდეებით იყო გარშემორტყმული. ჩემი პირველი ხელფასი მამას გავუგზავნე. მან დიდი ხნის შემდეგ მომწერა ის, რასაც ვვარაუდობდი - რომ თანხის უმეტესი ნაწილი ძროხის შესაძენად დაეხარჯა.

მამაჩემი, დედა და ჩემი ოჯახის დანარჩენი წევრები გენოციდმა იმსხვერპლა, ისევე, როგორც სხვა ნიამატელი ტუტსის ტომელები. ვერასოდეს შევიტყობ, რა დაარქვა კალისამ თავის ერთადერთ ძროხას. არც ის მინდა ვიცოდე, ხომ არ იქეიფეს ამ ძროხისგან დამზადებული კერძებით მკვლელებმა.

რუანდაში რომ დავბრუნდი, არცერთი ძროხა არ მყავდა. ვიმედოვნებ, მამაჩემი ამის გამო არ განრისხდება სულთა საუფლოში. რუანდის დედაქალაქში, კიგალიში ვცხოვრობ, ნიამბირამბოს რაიონში, და კერძო უნივერსიტეტში ვასწავლი. ცოლად შევირთე ქვრივი, რომელსაც გენოციდის დროს ქმარი დაეღუპა. ჩვენს პირველ შვილს უკვე დაბვდა და-ძმა - ჩემი ცოლის ორი შვილი, რომლებიც გადარჩნენ. ლუდს ვსვამ ხოლმე ჩემს მეზობელ ჰუტუს ტომელთან ერთად. ჩემი მეზობელია და მის შესახებ მეტი არაფრის ცოდნა არ მსურს. ხშირად წარმომიდგება ხოლმე მეფე გიჰანგა: ლეგენდის თანახმად, ის ჩვენი პირველი მეფე იყო და ძროხები შემოიყვანა რუანდაში. ჩემს სიზმრებში მეფე გიჰანგა ყოველთვის ერთსა და იმავეს კითხულობს: განა თქვენ, ტუტსის ტომელები, მესაქონლეები არა ხართ?" მე კი იაეთ გამომეტყველებას ვიღებ, თითქოს მეფის მიერ დასმული კითხვა არ გამიგონია.

© The New Yorker, 5 ნოემბერი, 2018



ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიო ვარგას ლიოსა

# კირჩხიბის ტროპიკი

## *ბედნიერი ნიჰილისტი*

*ინგლისურიდან თარგმნა დათა ხარაიშვილმა*

ნათლად მახსოვს, როგორ წავიკითხე პირველად „კირჩხიბის ტროპიკი". ეს იყო 30 წლის წინ: ერთ ღამეში, გამალებითა და მომეტებული მღელვარებით ჩავიკითხე. ამ maudit რომანის ფრანგული თარგმანი, რომლის შესახებაც ლიმაში ამბავი ამბავზე მოდიოდა, ჩემს ესპანელ მეგობარს ჩაუვარდა ხელთ. შემატყო, წაკითხვის ჟინი რომ მწვავდა და რამდენიმე საათით დამითმო. ფრიად უცნაური გამოცდილება იყო - ჩემი წარმოდგენებისაგან სრულიად განსხვავებული. წიგნი ერთობ სკანდალური გამოდგა, თუმცა არა იმდენად ეროტიულ სცენათა მიზეზით, როგორც ამბობდნენ, არამედ უფრო ვულგარულობისა და ბედნიერი ნიჰილიზმის გამო. იგი მახსენებდა სელინს, ვის რომანებშიც მყრალი ენა და უხამსობა პოეზიად არის ქცეული. მაგონებდა ბრეტონის „ნადიას", სადაც „კირჩხიბის ტროპიკის" მსგავსად, ყოველდღიური რეალობა ანაზდეულად გარდაიქმნება ღამეულ კოშმარად და ზმანებისეულ სურათ-ხატებად.



წიგნმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, თუმცა არ მოვხიბლულვარ. მწამდა და მწამს ახლაც, რომ რომანები უნდა ჰყვებოდნენ ამბებს, რომლებსაც დასაწყისი და დასასრული აქვს, რომ მათი უშუალო მოვალეობა ყოფიერების ქაოსთან დაპირისპირება და მის ნაცვლად გამოგონილი, ნატიფი, დამაჯერებელი წესრიგის შექმნაა. „კირჩხიბის ტროპიკი", როგორც მილერის მომდევნო წიგნები - ქაოსის წმინდა ფორმა, მძვინვარე ანარქიაა. იგი დიადი, რომანტიკული, უხამსი კარნავალური წარმოდგენაა, რომელიც მნახველს გულისრევითა და სევდით ამძიმებს, ადამიანური ყოფიერების მიმართ კი საბოლოოდ უცრუებს გულს. ამ ყაიდის თავისუფალი, უფორმო ლიტერატურის შექმნა რისკიანი საქმეა, რადგან შესაძლოა, ჭკვიანურ სახანაობად იქცეს, ჰენრი მილერი კი - მისი maudit თანამედროვის, ჟან ჟენეს მსგავსად ხშირად გაბმულა ამგვარ მახეში. საბედნიეროდ, „კირჩხიბის ტროპიკი" - მისი პირველი რომანი, ამ საფრთხეს დაუსხლტა. ეჭვგარეშეა, რომ ეს მისი კალმით შექმნილი საუკეთესო წიგნია - ომთაშორის პერიოდის ერთ-ერთი გამორჩეული ლიტერატურული ქმნილება, რომელიც მილერის შემოქმედებაში ყველაზე მეტად მიუმსგავსება შედევრს.

სულ ახლახან რომანი სიამოვნებით გადავიკითხე. დრო-ჟამმა და ჩვენში ფეხმოკიდებულმა უკეთურებამ შეასუსტა წიგნში აღწერილი ძალადობა და ის, რაც აქამდე მწერლურ გამბედაობად აღიქმებოდა. ახლა უკვე ვიცით, რომ კუილიცა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გონორეაც შეიძლება იყოს მშვენიერი. თუმცა ჟამთა დინებამ ვერ გაალარიბა მილერის პროზის გრძნეულება, ვერ დააკნინა მისი გავლენა. მოხდა კი პირიქით, დრომ მას სიმშვიდე და სიმწიფე შესძინა. 1934 წელს, როდესაც იატაკქვეშ გამოცემულმა რომანმა პირველად იხილა დღის სინათლე, იგი უკვე ტაბუსა და მორალურ-ეთიკური თავდასხმების სამიზნედ იყო ქცეული. ალტაცებისა და ზიზღის მიზეზი, ერთი მხრივ, იყო ხატმებრძოლეობა და თავხედობა, რაც დახვეწილი, გემოვნებიანი ენის ყველაზე უარესი, შეურაცხმყოფელი ლექსიკით ჩანაცვლებაში გამოიხატებოდა, ხოლო მეორე მხრივ - წიგნის წრეგადასული ესქატოლოგია. დღეს რომანის ეს ასპექტი მკითხველთა მცირე რაოდენობას თუ აძრწუნებს, რადგან თანამედროვე ლიტერატურამ წარმატებით აითვისა  კირჩხიბის ტროპიკში" მიგნებული სიახლის ელემენტები. გავლენა კი ისე ძლიერი გამოდგა, რომ ბანალურობად იქცა, იმგვარ ბანალობად, როგორც მეთვრამეტე საუკუნეში გეომეტრიისადმი აღძრული ლტოლვა ან რომანტიზმის ეპოქაში - ბურჟუაზიის ლანძღვა. სულ ცოტა ხნის წინ, უხამსმა სიტყვებმა უხამსობა დაკარგა, სექსი კი მთელი თავისი აელადიდებით პოპულარობის მწვერვალებს მიწვდა. ცხადია, ყველაფერ ამას ნაკლოვანებებიც ახლავს, თუმცა იკვეთება ერთი მკაფიო უპირატესობაც - ერთხელ და სამუდამოდ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ჰენრი მილერზე, არა მხოლოდ ბობოქარ მწერალსა და ეროტიზმის მეხოტბე რომანისტზე, არამედ როგორც გენიალურ ხელოვანზე.

ეს კი უეჭველია. იგი იყო ჩინებული შემოქმედი, რომელსაც საკუთარი სამყარო და კაცობრიობისა და ლიტერატურის თავისებური ხედვა, თავისი თაობის მწერლებისაგან გამოარჩევდა. ჩვენს ეპოქაში, სელინისა და ჟან ჟენეს მსგავსად, იგი ხატმებრძოლეობის სატანურ ტრადიციას წარმოადგენდა; ინდივიდს - სრულიად განსხვავებული ტემპერამენტით, ვისთვისაც წერა, ისტორიის ყველა ეპოქის წესთა უკუგდებას, სოციალური ჰარმონიის ხელყოფას, იმ ჭუჭყისა და სისასტიკის გაშიშვლებას ნიშნავდა, რასაც სოციუმი - ზოგჯერ კეთილი, ზოგჯერ კი უკეთური ზრახვებით - იძულებით ამკვიდრებს. ლიტერატურის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია სწორედ ესაა: შეახსენოს კაცსა და ქალს, რომ თუმცა უშიშრად დააბიჯებენ მყარ ნიადაგზე და კაშკაშა შუქი აბრწყინებს მათს ქალაქებს, ირგვლივ კვლავაც დაძრწიან იდუმალი დემონები, რომლებიც მძვინვარე ცვლილებებს იწვევენ.

კატაკლიზმი, აპოკალიფსისი - აი, სიტყვები, რომლებიც  კირჩხიბის ტროპიკზე" საუბრისას ამოტივტივდება, თუმცა კი სისხლისღვრა ერთხელ, ისიც ლოთურ შეხლა-შემოხლას მოჰყვება, ომის კვალი კი პერსონაჟთა მრუშობაში (მუდამ ძალადობრივ) თუ იკვეთება. თუმცა რომანის ფურცლებზე გამუმდებით იგრძნობა გარდაუვალი კატასტროფის მოახლოება, განცდა იმისა, რომ ყოველივე, რაზეც ჰყვებიან, სულ მალე უნდა გაქრეს. სწორედ ამგვარი მოლოდინი იწვევს წიგნის მშვენიერ და ნაირგვარ პერსონაჟებში თავაშვებული ცხოვრებისაკენ ლტოლვას. ეს მომაკვდავი სამყაროა, რომელიც ნელინელ იხრწნება მორალურად, სოციალურად კი ისტერიულ ჟრიამულში ინთქმება - როგორც ჟამიანობისა და სიკვდილის მოლოდინში გაყუჩებული ქვეყნიერება, ბოსხის შემაძრწუნებელ ქმნილებებს რომ მოგაგონებთ. ისტორიული თვალსაზრისით, ყოველივე ეს ზედმიწევნით ზუსტი სურათია. მილერმა რომანი პარიზში, 1931-33 წელბში დაწერა. სწორედ მაშინ, როცა ძალას იკრებდა ხანძარი, რომელიც რამდენიმე წე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიწადში მთელ ევროპას მოედო. ეს იყო ჟამი აყვავებისა და დროსტარებისა, ჟამი ჭკუამხიარულებისა და სხივმოსილი შემოქმედებისა. სწორედ იმხანად იფეთქა მრავალმა ესთეტიკურმა მოძრაობამ; სიურეალისტებმა კი თავიანთი პოეტური წარმოსახვებითა და ფერადი სათვალით" მოხიბლეს თანამედროვედ მოაზროვნენი. პარიზი ხელოვნებისა და ბედნიერი ადამიანების დედაქალაქი იყო.

კირჩხიბის ტროპიკში" კი ამ ამბის მიღმა მხარეს ვხედავთ. ეს სამყარო პარიზულია, თუმცა იგი სინათლის წელიწადითაა მოწყვეტილი გამარჯვებული და წარმატებული მეოცნებეებისგან: ამ სამყაროში განდევნილები, ფსევდო-მხატვრები, ფსევდო-მწერლები, ჩარეცხილები და პარაზიტები ცხოვრობენ. განაპირა უბნებში ბინადრობენ, არ ესწრებიან ნადიმებს, მხოლოდ ნასუფრალს სჯერდებიან. ეს უსამშობლო ხალხია, თავიანთ ფესვებს რომ მოწყდნენ - შტატებს, რუსეთს... - მათი საძირკველი პარიზიდან შორს, სულ სხვა მიწაზეა, ახლა კი კულტურულ სალხინებელში იმყოფებიან. გეოგრაფიული თვალსაზრისით, მათი საყრდენი წერტილი საროსკიპოები, ბარები, იაფფასიანი სასტუმროები, ტურტლიანი ოთახები, შემზარავი რესტორნებია. როგორც ნამდვილ მანანწალებს შეეფერებათ, იზიდავთ პარკები, სკვერები, ქუჩები. ამ დაუნდობელ ქვეყანას რომ გადაურჩნენ, ყველაფერზე მიდიან. არ ეთაკილებათ არანაირი საქმე, მოსაწყენიც, მონოტონურიც - საგაზეთო სტატიების კორექტირება თუ მათხოვრობა, თაღლითობა და სუტენიორობა. მრავალი მათგანი საკუთარი არსებობის გასამართლებლად ხელოვნებაზე უცნაურ აზრებს ჩმახავს: მნიშვნელოვანი რომანი უნდა დავწერო, ღირსეული ნახატები შევქმნა" და ა.შ. თუმცა სინამდვილეში ერთადერთი სერიოზულობა, რომელიც ჯგუფს ახასიათებს,- უწესრიგობის, მორჩილი გულგრილობისა და ნელი ხრწნის კვალდაკვალ, სერიოზულობის დეფიციტია.

ეს არის ქვეყანა, უფრო სწორად ქვესკნელი, რომელიც ორმოცდაათიანი წლების ბოლოს თავადაც ვიხილე. მჯერა, იგი სულაც არ განსხვავდებოდა ქალაქისაგან, ასე ხშირად რომ სტუმრობდა მილერი და რომელმაც ოცი წლით ადრე შთააგონა კიდეც კირჩხიბის ტროპიკი". შევძრწუნდი, როცა ბოჰემური პარიზის ნელი და ამაო კვდომის მომსწრე გავხდი; ქალაქთან კი გარდაუვალმა აუცილებლობამ დამაკავშირა, სხვა არჩევანი არც მქონდა. ალბათ ამიტომ ვიხრი ქედს იმ ოსტატობის წინაშე, ადამიანები, რიტუალები, მთელი ეს მხუთავი სიცარიელე რომანის დრამატულ, ჰეროიკულ პერსონაჟებად რომ გარდასახა. აღსანიშნავია, რომ ამ უძრაობითა და ფატალიზმით განადგურებულ გარემოში, შესაძლებელი აღმოჩნდა კირჩხიბის ტროპიკის" მსგავსი ამბიციური და ნაყოფიერი ლიტერატურული პროექტის სრულყოფა (წიგნი სამჯერ გადაიწერა, საბოლოო ვერსია კი გამესამედდა).

რადგან რომანი უფრო გამონაგონია, ვიდრე რეალურ ამბავთა ანარეკლი, არც მისი დოკუმენტური ღირებულებაა სარწმუნო. კაცმა რომ თქვას, ისტორიული ფაქტების ნამდვილობას არავინ დაეძებს, კირჩხიბის ტროპიკის" ლიტერატურული ღირსება ხომ სწორედ მილერის გამონაგონში, მის მდიდარ წარმოსახვასა და ფანტაზიაშია თავმოყრილი. წიგნის ავტობიოგრაფიული ელემენტებიც კი რეალობის აჩრდილია, რაც თხრობის ერთგვარი სტრატეგიაა; იგი მხატვრულ ტექსტს გულწრფელობის ელფერს ანიჭებს. ეს რომანის აუცილებელი თვისებაა, რომელიც არ ემორჩილება ავტორის ზრახვებს. როგორც ჩანს, მილერმა საკუთარი პერსონის თხრობაში ჩართვითა და სრული სიშიშვლის დემონსტრირებით, სასცენო წარმოდგენის ნაწილად ქცევა მოისურვა. შედეგად, ის იმ ავტორს ჰგავს, სიფრთხილით რომ განერიდება თავისივე გამოგონილ სამყაროს და მონდომებით ცდილობს დეპერსონიზაციას. კირჩხიბის ტროპიკის" ანრი გამოგონილი პერსონაჟია, რომელიც მკითხველის კეთილგანწყობასა თუ ზიზღს ინდივიდუალური ქმედებებითა და შეხედულებებით იწვევს. თხრობის ამ ჩარჩოში, იმისათვის, რომ ირწმუნო - დაინახო, იგრძნო და უფრო მეტიც, გესმოდეს მისი - სულაც არაა აუცილებელი, იგი რეალურ არქეტიპს, პერსონაჟის ცოცხალ ანარეკლს შეადარო. მთხრობელსა და მწერალს შორის ყოველთვის არის დისტანცია; ავტორი გამუდმებით ქმნის მთხრობელს, როგორც უჩინარ მოუბარსა თუ ამბის უშუალო მონაწილეს; როგორც ყოვლისშემძლე ღმერთს - მდუმარესა და ყოვლისმცოდნეს, თუ მავანს, ვინც შეზღუდული თვალსაწიერით ცხოვრობს სხვა ამფსონ-პერსონაჟთა გარემოცვაში. ნებისმიერ შემთხვევაში, მთხრობელი მწერლის ცხოველი წარმოსახვის ნაყოფია.

კირჩხიბის ტროპიკში" მთხრობელი-პერსონაჟი ტექსტის უმთავრესი ფიგურაა. იგი უსათუოდ არის მილერის, როგორც რომანისტის, უზენაესი მიღწევა. ეს ნარცისიზმით შეპყრობილი ამაზრზენი ანრია, რომელიც მთელ სამყაროს ზიზღით შეჰყურებს; კაცი, რომელსაც მხოლოდ საკუთარი ფალოსი და სტომაქი ანაღვლებს და ყველაფერთან ერთად, უტყუარი გრძნობით, რაბლეანური ვიტალიზმით საზიზღრობასა და სიბილწეს ხელოვნების ნიმუშად აქცევს; იგი თავისი დიდებული პოეტური ხმით, ფსიქოლოგიური წიაღსვლებით, წვრილმანებითა და ჭუჭყით, ვულგარულობას სულიერებასა და ესთეტიკურ ღირსებას ანიჭებს. ცდება ის, ვინც მიიჩნევს, რომ რომანის ყველაზე ღირსშესანიშნავი ნაწილი მწერლური თავისუფლება და უკიდურესი ნატურალიზმით აღწერილი ეროტიზმია, ან თუნდაც სიცხადის მიჯნასთან იმგვარი მიახლოება, თანამედროვე ლიტერატურაშიც რომ ვერ პოულობს ანალოგს. რომანის მთავარი ღირსება მისი ზნეობრივი პოზიციაა. ან იქნებ ჯობდეს, მის უზნეობაზე გვესაუბრა? არა მგონია! მიუხედავად იმისა, რომ მთხრობელის ქცევა და ფიქრები ეწინააღმდეგება მორალურ კანონებსა და ზნეობრივ ნორმებს, უსამართლობა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ იგი ამ გარემოებისადმი გულგრილია. აზ-

ი36/14



ეროვნული ბიბლიოთეკა

როვნებისა და ქცევის მისეული სტილი თანმიმდევრულია: მისი ზიზღი საზოგადოებრივი ნორმებისადმი ერთი მხრივ ღრმა განსჯის, მეორე მხრივ კი ადამიანის, სოციუმისა და კულტურის მისეული ხედვის გამოძახილია; რაც, მეტ-ნაკლები სიცხადით მთელ რომანს გასდევს.

ეს კი შესაძლოა, ვინმესთვის რომანტიკული ანარქისტის მიერ თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაზე მიტანილ ზნეობრივ იერიშს ნიშნავდეს, - ამბოხს იმ სოციალური წესრიგის წინააღმდეგ, რომელსაც მავანი ინდივიდუალური სუვერენულობის საფრთხედ მიიჩნევს. მილერი ხომ გააფთრებით ებრძოდა პროგრესსა და კაცობრიობის ავტომატიზაციის პროცესს, რომელსაც მოგვიანებით კონდიცირებული კოშმარი" უწოდა. მისი ეს პოზიცია ემთხვევა ლუი ფერდინანდ სელინის მიერ იმხანად გამოქვეყნებული წიგნების პათოსს - სავსეს ადამიანურობისგან გამოცარიელებული აწმყოს შეურაცხყოფითა და ლანძღვაგინებით; იგი ეხმაურება ეზრა პაუნდსაც, ვისთვისაც მერკანტილური" სოციუმი სულაც ცივილიზაციის დასასრულს მოასწავებდა. სელინსა და პაუნდს - დრიე ლა როშელისა და რობერ ბრაზიაკის მსგავსად, სწამდათ, რომ ინდუსტრიული საზოგადოება დეკადანსის სინონიმი იყო და უარყოფდა იმ შეუცვლელ სტანდარტებს, რომლებიც დასავლურმა სამყარომ წარსულის ამა თუ იმ მომენტში (რომი, შუა საუკუნეები, რენესანსი) დანერგა. წარსულის ეს რეაქციული განდიდება კი მათ ფაშიზმის მკლავებში აქცევდა. მილერი ამ საფრთხის წინაშე არასდროს მდგარა, რადგან თანამედროვე საზოგადოებაზე გალაშქრებისას, იგი არ იბრძვის არც იდეალიზმისა და არც ჩამქრალი თუ ალორძინებული ცივილიზაციების სახელით, მისი მახვილი ინდივიდია, ვისი უფლებებიც, ახირებებიც, ოცნებებიცა და ინსტიქტებიც, მწერლისთვის ხელშეუხებელი და უძვირფასესი ფასეულობებია. ეს ღირებულებები - გადაშენების პირას მისული, ზარ-ზეიმით უნდა აღინიშნოს, რადგან თანამედროვეობის ულმობელი გრიგალი დაღუპვას უქადის. მისი პოზიცია არანაკლებ უტოპიურია, ვიდრე იმ maudit მწერლებისა, რომლებმაც შერისხულ პროგრესს შეუტიეს; თუმცა მილერი გაცილებით მომხიბვლელი და, საბოლოო ჯამში, უფრო პირნათელია, ვიდრე ცივილიზაციისა და ტრადიციების დაცვის მოტივით ნაცისტებად ქცეული ავტორები. იგი ამ ხიფათისაგან თავისივე მძვინვარე ინდივიდუალიზმმა იხსნა. სოციალური წესრიგის არც ერთი სახე, განსაკუთრებით კი კოლექტივიზმი, არ ყოფილა მისაღები ამ მეამბოხისთვის, რომელმაც ხელი აიღო სამსახურზე, ოჯახსა და ყოველგვარ პასუხისმგებლობაზე, რადგან ისინი მორჩილების სხვადასხვა ფორმად ესახებოდა. მიუხედავად იმ უსიამოვნებებისა და შიმშილისა, რომლებიც სატანჯველად ექცა, განმარტოება და განდეგილობა ინდივიდუალური თავისუფლების შენარჩუნების საუკეთესო გზად მიიჩნია. იმის განსჯა და ფიქრი, რომ მათხოვრის ბედის გაზიარება, ვალდებულებებისაგან გათავისუფლება, დამკვიდრებულ სოციალურ ნორმათა უარყოფა, იმაზე უფრო თავისუფალი და ჭეშმარიტი გზაა, ვიდრე მოქალაქეთა ლიანგში გარევა - სწორედ ეს აქცევს ანრის ირონიულ პერსონად, რომელიც ტკბება ცხოვრებით და ერთგვარი გაგებით, ბედნიერიც არის. ეს არაჩვეულებრივი ნაზავი პერსონაჟის ყველაზე ორიგინალური და მიმზიდველი მახასიათებელია და რომანის უმთავრესი ნეტარებაც, რადგან სწორედ ეს ფაქტორი ქმნის იმ დამთრგუნველ, ამორალურ, განაპირებულ და ბინძურ გარემოს, რომელშიც მთელი ეს ამბავი ვითარდება და იგი არა თუ ასატანი და სასიამოვნო, მაცდუნებელიცაა.

თუმცა კირჩხიბის ტროპიკის" დახასიათებისას, ამბავი" სათანადო შესატყვისად არ გამოდგება. უმჯობესი იქნება, თუკი განყვეტილ, ქრონოლოგიამორღვეულ სცენარზე, სურათ-ხატებსა და ეპიზოდებზე ვისაუბრებთ, რომლებსაც მათში გათქვეფილი მთხრობელი იმისთანა მოჭარბებული მამლაყინწობით აფრქვევს, რომ სხვა პერსონაჟები მხოლოდ ბუნდოვან დამატებებად მოჩანან. თუმცა ამგვარი განცალკევება ტყუილ-უბრალო როდია: იგი ირეკლავს მთხრობელის ხასიათს, ეხმიანება მის უიმედო ანარქიას, ალერგიულ რეაქციას წეს-წყობისა თუ წესრიგის მიმართ; მის უზენაეს თვითნებობას, როცა ვერ განურჩევია თავისუფლებისაგან. კირჩხიბის ტროპიკში" მილერმა მიაგნო რთულ ბალანსს, როგორც სპონტანურ ქაოსსა და წმინდა ინტუიციას, ისე მინიმალურ რაციონალიზმსა და მოწესრიგებულ კონტროლს შორის, რაც მხატვრულ ნაწარმოებს ამგვარ დამაჯერებლობას სძენს. (იმისდა მიუხედავად, რომ მხატვრული ქმნილება უფრო ინსტიქტებსა და ვნებებს აშიშვლებს, ვიდრე იდეებს, იგი ჯერ მკითხველის გონებას უნდა მიწვდეს, შემდეგ კი გრძნობებს). მომდევნო წიგნებში ყველაფერი სხვაგვარად იყო, და სწორედ ამ მიზეზით, ბევრი მათგანი, დასამახსოვრებელი ეპიზოდებისა და ბრწყინვალე მწერლური გაელვებების მიუხედავად, მკითხველის მისაზიდად მეტისმეტად ამორფული გამოდგა. ამასთან, კირჩხიბის ტროპიკი" მკითხველს პირველივე წინადადებიდან ითრევს, თხრობა კი სენის პირას ნატიფად გათამაშებულ უკანასკნელ სცენამდე არ წყდება.

ეს მართლაც დიდებული წიგნია, რომლის ნაივური ფილოსოფია აკრთობს სულს. ცხადია, თანამედროვე საზოგადოება ვერაფრით გაიზიარებს ამ უკომპრომისო და ექსტრემალურ ინდივიდუალიზმს, სანამ მზად არ იქნება იმ გარდასულ დღეებში დასაბრუნებლად, როცა კომბლებმომარჯვებული მამაკაცების ველური ღრიალი აყრუებდა არემარეს.

თუმცაღა, მიუხედავად ამისა, წარსულის ნოსტალგიით მაინც გვავსებს ავტორისეული წაქეზება თავმბრუდამხვევად ქაოტური ცხოვრებისა და სექსისკენ, რასაც გზას ულობავს სოციუმი, წესები, აკრძალვები, კანონები...

***ლიმა, 1988 წლის აგვისტო***

# აქ შეიძლება ყოფილიყო თქვენი რეკლამა

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge


